დანართი №2

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის - სსიპ - ქ. თბილისის № 18 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ზაზა ჭანტურია, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

წევრები:

მაგდა მიქაბერიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
ეთერი ბროლაძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
დავით ბოლქვაძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ია გაგნიძე - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ნაია ენდელაძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
ვერა გუდაძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
სოფიო ხვადაგიანი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
მზია დადვანი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
საბა დარსაველიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ნატო ხაჭაპურიძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	202057932

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი თბილისი
ფაქტობრივი მისამართი	დავით აღმაშენებლის გამზ. №180
საფოსტო ინდექსი	0112
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	skolebi.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	tbilisi18@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	(+995 32) 2 345813 (+995 32) 2 352700 5 77 33 79 55

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 0 24 0000419195, 11.04.2024 წ.
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	01 და 02 მაისი, 2024 წ.

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების **ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	ქალაქი თბილისი. დავით აღმაშენებლის გამზ. №180
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	ქალაქი თბილისი. დავით აღმაშენებლის გამზ. №180
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	ქალაქი თბილისი. დავით აღმაშენებლის გამზ. №180

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 11 აპრილის MES 0 24 0000419195 ბრძანების საფუძველზე, ,,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლით განსაზღვრული ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით 2024 წლის 01 და 02 მაისს განვახორციელეთ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სსიპ - ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლაში. (მისამართი; ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №180).

ვიზიტის ეფექტიანი წარმართვისთვის მიზნით ექსპერტთა ჯგუფმა წინასწარ დაგეგმა დისტანციური შეხვედრა და ერთობლივად შეიმუშავა დღის წესრიგი, განიხილა წარმოდგენილი დოკუმენტაცია და შეიმუშავა შესამოწმებელ დოკუმენტთა დამატებითი ნუსხა, რომელიც დაწესებულებას გადაეგზავნა ვიზიტამდე. ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვრა შემდეგი შემადგენლობით: ზოგადი განათლების ხარისხის ორი ექსპერტით, რომელთაგან ერთი თავმჯდომარეობდა ჯგუფს და საგნობრივი ჯგუფის ექსპერტებით.

დაწესებულებაში ვიზიტის პირველსავე დღეს სკოლის ადმინისტრაციამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ჯგუფი, (ბრძანება N 1-22, 2024 წ.) რომელთანაც ექსპერტებს გვქონდა კომუნიკაცია და სამიქმიანი ურთიერთობა. აღნიშნული ჯგუფის წევრები იყვნენ პასუხისმგებელნი ვიზიტის პროცესში წარმოსადგენი დოკუმენტაციის თაობაზე. ვიზიტის პროცესში ექსპერტები გაესაუბრნენ სკოლის წარმომადგენელებს - სკოლის დირექტორს, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელ პირებს, საქმისმწარმოებელს და სხვა პირებს. დისტანციური შეხვედრა - ინტერვიუ შედგა სკოლის მასწავლებლებთან. ვიზიტი განხორციელდა პირისპირ ფორმატში, ხოლო საგნობრივ ექსპერტებს (გარდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფისა) დისტანციურ რეჟიმში ჰქონდათ შესაძლებლობა ჩაეტარებინათ ინტერვიუები მასწავლებლებთან.

საავტორიზაციო ვიზიტი სკოლაში განხორციელდა საქმიან გარემოში. დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობის განხორციელებას და უზრუნველყო კონკრეტული დოკუმენტების ადგილზე წარმოდგენა. ვიზიტის ბოლოს ექსპერტთა კორპუსი ისევ შეხვდა სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს და გააცნო წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად დანახული კონკრეტული მიგნებები და რეკომენდაციები.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 880	**ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება** ☒	**აღწერა** *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა **სრული**

ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა **მეტწილი**

ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა **მეტწილი**

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო და საშუალო საფეხური)	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში;	• დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმით წარმოადგინა 2024 წლის 27 მაისის №577184 წერილი სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასრუქტურის განვითარების სააგენტოსთან. დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობით გათვალისწინებულ ვადებში გამწოვი კარადის დამონტაჟება. (27.05.2024 - 27.05.2025)

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი 1.2.1.1	სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;	**სკოლას მიეცა რჩევა,** რომ სასურველია გაასწოროს და შესაბამისობაში მოიყვანოს მეთოდოლოგიით განსაზღვრული მექანიზმების ქრონოლოგიური თანმიმდევრობა.
1.2.1.2	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;	**სკოლას მიეცა რჩევა,** რომ მკაფიოდ განსაზღვროს, როგორ აწარმოებს სტრატეგიული სამოქმედო გეგმისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგს.
1.2.2.1.	სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;	**სკოლას მიეცა რჩევა,** სასურველია მკაფიოდ განსაზღვროს მეთოდოლოგიით გათვალისწინებული სამუშაო ჯგუფის ფუნქცია-მოვალეობები.

1.2.2.4.	სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.	**სკოლას მიეცა რჩევა** მონიტორინგის და შეფასების პროცესის თითოეულ ეტაპზე შექმნას სათანადო მტკიცებულებები, რომელიც დაადასტურებს პროცესის მიმდინარეობას.
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი 3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ რგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოსმიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული	**სკოლას მიეცა რჩევა,** უზრუნველყოს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფა. **სკოლას მიეცა რჩევა,** უზრუნველყოს სახანძრო უსაფრთხოების ნორმების დაცვა.

	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);	
ინდიკატორი 3.1.2.1.	პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;	**სკოლას მიეცა რჩევა** დაარეგულიროს პერსონალის ინტერვენციული მართვის საკითხები.
3.3.2.1.	სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;	გამომდინარე იქედან, რომ სკოლა აქტუირად იყენებს სოციალურ ქსელებს, **სკოლას მიეცა რჩევა,** სასურველია დირექტორის ბრძანებით განისაზღვროს სკოლის ოფიციალური გვერდების - ვებ-გვერდის, სოციალური გვერდის ფუნქციურ გამართულობაზე კონკრეტულად პასუხისმგებელი პირი.
3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან	,,შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნების შესაბამისად სკოლას გამოყოფილი არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. მოცემული ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით სკოლას **მიეცა რჩევა,** სასურველია სკოლამ გამოყოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც უნდა ჰქონდეს შესაბამის აკრედიტებულ ორგანიზაციაში გავლილი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროგრამა. სკოლას განემარტა, რომ შეუძლია აიყვანოს ან დასაქმებული პირებიდან გამოყოს და

	შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);	სათანადოდ გადაამზადოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი ან უფლებამოსილია გააფორმოს ხელშეკრულება ორგანიზაციასთან, რომელიც სკოლას გაუწევს შესაბამის მომსახურებას შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით.
3.4.1.2.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;	სკოლებში მოსწავლეთა და სამედიცინო პერსონალის რაოდენობათა თანაფარდობის მიხედვით სკოლას უნდა ჰყავდეს 2 ექიმი, ვინაიდან სკოლა პირველადი ავტორიზაციის საფუძველზე მოთხოვნილი აქვს 880 მოსწავლეზე (საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტი ბრძანება №41/ნ/01-23/ნ 2022 წლის 21 მარტი). მოცემულ გამოვლენილ გარემოებებთან დაკავშირებით **სკოლას მიეცა რჩევა**, რომ დაიცვას საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტით დადგენილი მოთხოვნები და შტატით განსაზღვროს კიდევ ერთი თანამშრომლის - ექიმის პოზიცია.

3.5.1.4.	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;	**სკოლას მიეცა რჩევა,** რომ სასურველია სრულად უზრუნველყოს სკოლის ინფრასტრუქტურის მოწყობა ინკლუზიური გარემოს შესაქმნელად.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხური	*რჩევა*
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	**სახელმწიფო ენა** - სასურველია, მასწავლებლებმა მომავალი სასწავლო წლიდან ისე დაგეგმონ სასწავლო პროცესი, რომ აქცენტი გააკეთონ თემის ფარგლებში უფრო მეტი კომპლექსური ბუნების დავალების განხორციელებაზე ყველა სამიზნე ცნების გააქტიურებით. **საზოგადოებრივი მეცნიერებები** - სასურველია ყველა ის საქმიანობა, რომელიც ფორმალური და არაფორმალური განათლების მიმართულებით სასწავლო პროცესში იგეგმება და ხორციელდება მაქსიმალურად აისახოს საგნობრივ კურიკულუმებში. **უცხოური ენები** - სასურველია ინგლისური ენის კურიკულუმში, წარმოდგენილი კომპლექსური დავალებებისთვის აისახოს კომპონენტები „მაგალითები შედარებისთვის" და „კონტექსტ- მაგალითები".
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	**სახელმწიფო ენა** - მიზანშეწონილია დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში გასწორდეს ტექნიკური ხარვეზები, კერძოდ: I კლასის კურიკულუმში არ ჩანს ძირითადი ტექსტის გრაფა და შესაბამისად, ძირითადი ტექსტებიც. ზოგან საერთოდ არ არის კონტექსტმაგალითები. სამიზნე ცნებები არაა შესაბამისი ან უმეტეს შემთხვევაში აკლია და არ არის საკმარისი შედეგის მისაღწევად. **საზოგადოებრივი მეცნიერებები** - სასურველია „მე და საზოგადოების საგნის ყველა თემაში ჩანდეს ერთი ან რამდენიმე სამიზნე ცნება, „ჩვენი საქართველოს" მე-5 კლასის კურიკულუმში გამოჩნდეს ცნება „სახელმწიფო",

		ხოლო მე-6 კლასის კურიკულუმში დაზუსტდეს რომელი საკითხი რომელ ცნებასთან მიმართებით ისწავლება.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	**ფიზიკური აღზრდა და სპორტი** - სასურველია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები შემუშავედეს კურიკულუმში ასახული ყველა თემისთვის. **სახელმწიფო ენა** - სასურველია მონიტორინგის ამსახველ დოკუმენტებში მკაფიოდ წარმოჩინდეს ის პრობლემები და ხარვეზები, რომლებიც სწავლების პროცესში გამოიკვეთა და ასევე, მათი მოგვარების საშუალებები.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი საბაზო საფეხური	**რჩევა**
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	**სახელმწიფო ენის ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა:** სასურველია, მასწავლებლებმა მომავალი სასწავლო წლიდან ისე დაგეგმონ სასწავლო პროცესი, რომ აქცენტი გააკეთონ თემის ფარგლებში უფრო მეტი კომპლექსური ბუნების დავალების განხორციელებაზე ყველა სამიზნე ცნების გააქტიურებით. **უცხო ენის ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა:** სასურველია მე-7,8,9 კლასების ინგლისური ენის კურიკულუმში, წარმოდგენილი კომპლექსური დავალებებისთვის აისახოს კომპონენტები „მაგალითები შედარებისთვის" და „კონტექსტ- მაგალითები".
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	**საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა:** სასურველია, ისტორიის, გეოგრაფიის და მოქალაქეობის ზოგიერთ თემაში დაემატოს ერთი ან რამდენიმე ცნება, გეოგრაფიის კურიკულუმის კომპლექსურ დავალების იდეაში გამოიკვეთოს რა პროდუქტი უნდა შექმანან მოსწავლეებმა, 9-ე კლასის გეოგრაფიის კურიკულუმში სავალდებულო თემებში დაემატოს სხვა საკითხებიც ...)
ინდიკატორი 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი,	**სახელმწიფო ენების ექსპერტმა შესაბამის კათედრას მისცა რჩევა:** სასურველია მეტი აქცენტი გაკეთდეს თავად მოსწავლეებისა და მასწავლებლების მიერ რესურსების შექმნასა და მათ გამოყენებას სასწავლო პროცესში.

	უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	**სპორტის საგნობრივმა ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლამ წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების საგნობრივი რუბრიკები კურიკულუმში ასახული მხოლოდ ზოგიერთი თემისათვის, შესაბამისად სკოლას მიეცა რჩევა: შეიმუშაოს ყველა თემის შესაბამისი შეფასების მექანიზმი.**
სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** **საშუალო საფეხური**	**რჩევა**
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	**სახელმწიფო ენა** - სასურველია, მასწავლებლებმა მომავალი სასწავლო წლიდან ისე დაგეგმონ სასწავლო პროცესი, რომ აქცენტი გააკეთონ თემის ფარგლებში უფრო მეტი კომპლექსური ბუნების დავალების განხორციელებაზე ყველა სამიზნე ცნების გააქტიურებით. **საზოგადოებრივი მეცნიერებები** - სასურველია ყველა ის საქმიანობა, რომელიც ფორმალური და არაფორმალური განათლების მიმართულებით სასწავლო პროცესში იგეგმება და ხორციელდება მაქსიმალურად აისახოს საგნობრივ კურიკულუმებში.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	**ფიზიკური აღზრდა და სპორტი** - სასურველია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები შემუშავედეს კურიკულუმში ასახული ყველა თემისთვის. **სახელმწიფო ენა** - სასურველია შეფასების რუბრიკები კიდევ უფრო დახვეწოს, მოერგოს სასწავლო თემებს, შემუშავების პროცესში გაითვალისწინებულ იქას მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ცნებები და ქვეცნებები.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

სკოლამ გაიზიარა ექსპერტების დასკვნის პროექტში ასახული ფაქტობრივი გარემოებები. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ინდიკატორების მიხედვით გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები, საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსები, გათვალისწინებულია რისკები, გაწერილია აქტივობის დაწყების და დასრულების თარიღი. ექსპერტთა ჯგუფმა იმსჯელა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის რელევანტურობის შესახებ. აღსანიშნავია, რომ გარკვეული ინდიკატორები, რომლებიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც - ,,არ შეესაბამება", ექსპერტების მხრიდან შეფასდა როგორც ,,შეესაბამება" (მე-3 სტანდარტი, 3.4. კომპონენტი - 3.4.1. კრიტერიუმი) და ,,მეტწილად შესაბამისი" (მე-2 სტანდარტი, 2.2. კომპონენტი, 2.2.2. კრიტერიუმი - საბაზო და საშუალო საფეხური) ვინაიდან სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგინდა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს ცვლილებებს შესაბამისობის გეგმაში მითითებული ვადების (არაუმეტეს 12 თვე - 27.05.2025) მიხედვით. დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმით წარმოადგინა 2024 წლის 27 მაისის №577184 წერილი სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასრუქტურის განვითარების სააგენტოსთან. დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში გამწოვი კარადის დამონტაჟება.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ - ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლას მისია დეკლარირებული აქვს სასკოლო სასწავლო გეგმაში, მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. სკოლის მისიით გაცხადებულია, რომ სკოლა ორიენტირებულია შექმნას მრავალფეროვანი კულტურის, თანამშრომლობითი და უსაფრთხო სასკოლო გარემო, რომელშიც აღზრდის დამოუკიდებელ, განათლებულ, ინტელექტუალურ, ციფრული კომპეტენციების მქონე კანონმორჩილი მოქალაქეებს. სკოლის მისიით განსაზღვრული აქვს, რომ 2030 წლისთვის იქნება წარმატებული, კონკურენტუნარიანი საგანმანათლებლო დაწესებულება.
სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები არის სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილი, რომელიც 2023 წლის 07 სექტემბერს შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოს სხდომაზე (№12) და დამტკიცებულია 2023 წლის 07 სექტემბერს პედაგოგიური საბჭოს (ოქმი №7) სხდომაზე. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შესაბამისობაშია „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით და ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებით განსაზღვრულ პრინციპებსა და მიდგომებთან. სკოლის მისია და ხედვა თანხვედრაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“

2. სკოლის დირექციასთან, პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა საკუთარ თავს განიხილავს, როგორც სოციო-კულტურულ სივრცეს. სკოლა მდებარეობს მჭიდროდ დასახლებულ უბანში, სადაც თავს იყრის სხვადასხვა ეროვნების, ტრადიციისა და კულტურის

წარმომადგენელი, რომელთა ინტეგრაციითა და სოციალური ადაპტაციით ხელს ვუწყობთ სოციო-კულტურული სივრცის ჩამოყალიბებას. შექმნილია მრავალფეროვანი გარემო, რომელიც ემსახურება მათ მხარდაჭერასა და სწავლების ინოვაციურ მეთოდებზე დაფუძნებულ უსაფრთხო გარემოს შექმნას. ინტერვიუებითა და წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ სკოლა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კლასგარეშე დამატებით აქტივობებს - გასვლითი გაკვეთილები და ექსკურსიები, ბაღის აღსაზრდელების ვიზიტი სასკოლო გარემოს გასაცნობად, საქველმოქმედო და სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები, როგორც შიდა სასკოლო ასევე გასვლითი ხასიათის, შიდა სასკოლო გამოფენები, ინიციატივების წახალისება, დამატებითი მომსახურებები წრეების სახით. სკოლის დირექციასთან, პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა საკუთარ თავს განიხილავს, როგორც სოციო-კულტურულ სივრცეს. სკოლის მიერ ჩამოყალიბებული წესები (შიდა დოკუმენტები, სკოლის შინაგანაწესი, დასაქმებულთა ფუნქცია-მოვალეობები და სხვა) აყალიბებს განვითარებაზე ორიენტირებულ სისტემას, სკოლაში არის პოზიტიური თანამშრომლობითი გარემო (რაც დადასტურდა სასკოლო საზოგადოებასთან, პედაგოგებთან გასაუბრებით), რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების განვითარებასა და წინსვლას.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ინტერვიუების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლის მისია, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება განხორციელდა სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, რისთვისაც სკოლაში შეიქმნა და დირექტორის ბრძანებით დამტკიცდა სამუშაო ჯგუფი. აღნიშნული ჯგუფის კვლევის საფუძველზე, რომელშიც ჩართული იყო მოსწავლეთა და მშობელთა წარმომადგენლები, დადგინდა სკოლის ძლიერი მხარეები, განისაზღვრა კონკრეტული და მკაფიო პრიორიტეტები. ჯგუფის მიერ სკოლის პრიორიტეტების გათვალისწინებით შემუშავებულ და წარმოდგენილ იქნა სკოლის ახალი მისია, ხედვისა და ღირებულებების ჩარჩო. წარმოდგენილი ჩარჩო 2022-2023 სასწავლო წლის დასრულებამდე გაზიარებულ იქნა სასკოლო საზოგადოებასთან. მოხდება აღნიშნული პროექტის ყველა საგნობრივ კათედრაზე და სამეურვეო საბჭოზე განხილვა. პროექტის რევიზია და პედაგოგიური საბჭოსთვის წარდგენა /დამტკიცება.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“

4. წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ სკოლის მისია, ხედვისა და ღირებულებების პროექტი შეიქმნა სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. დასტურდება, რომ პროექტის შემუშავებას წინ უძღვოდა სასკოლო სასკოლო საზოგადოებასი ჩატარებული კვლევა და შედეგების ანალიზი. სკოლის ფილოსოფიის ამსახველი დოკუმენტების გაზიარებისათვის გამოყენებულია ელექტრონული საკომუნიკაციო არხები; სკოლის ვებ/გვერდი, სოციალური ქსელები და სხვადასხვა ბლოგები, რომელიც შექმნა სასკოლო საზოგადოებამ.

გარდა ამისა, სკოლის ფილოსოფიის ამსახველი დოკუმენტების ბეჭდური მასალები გამოკრულია სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილას.
ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებების საჯაროობას უზრუნველყოფს სკოლა, აღნიშნული ასახულია სასკოლო სასწავლო გეგმაში, რომელიც მტკიცდება სასწავლო წლის დასაწყისში. სასკოლო სასწავლო გეგმა თავის მხრივ საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებულ პირთათვის. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გამოქვეყნებულია სკოლის ვებ-გვერდზე, რომელიც შექმნილია მართვის საინფორმაციო სისტემის დახმარებითა და მხარდაჭერით, ასევე გამოკრულია სკოლის შენობის ყველა სართულზე, თვალსაჩინო ადგილას.
ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მის საქმიანობასა და კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს “ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანების მიხედვით. სკოლის სახელწოდებაა „სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლა“ და სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქმიანობას.
ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
2. 2023 წლის 07 სექტემბრის სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს ოქმი №12 (ფილოსოფიის განხილვა/შეთანხმება)
3. 2023 წლის 07 სექტემბრის სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს ოქმი №7 (ფილოსოფიის დამტკიცება);
4. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის დირექტორის მ.შ. 2023 წლის 07 აპრილის №2-53 ბრძანება „სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯაროსაჯარო სკოლის ფილოსოფიისა (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის საჭიროღონისძიებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ (ცვლილება 05.09.2023 წელი ბრძანება №2-191);
5.სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის ფილოსოფიისა (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმისმოსამზადებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის 2023 წლის 13 აპრილის სხდომის ოქმი №1 (დანართებით).
6.სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის ფილოსოფიისა (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმისმოსამზადებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის 2023 წლის 05 სექტემბრის სხდომის

ოქმი №2 (დანართებით).

7. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს 2023 წლის 18 აპრილის №3 ოქმი (ფილოსოფიისა და 2023-2030 წლების შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმის პროექტის განხილვა);
8. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანება "ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ".
9. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის Vა კლასი 2023 წლის 21 სექტემბრის მშობელთა კრების №1 ოქმი;
10. ონლაინ გამოკითხვის (Forms-ში) კითხვარები (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი);
11. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის ვებ-გვერდის მისამართი ვებ გვერდის ბმული
12. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის facebook გვერდი (მისამართი: https://www.facebook.com/profile.php?id=100057038696397
13. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის შინაგანაწესი.
14. 2023 წლის 18 აპრილის სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი №6 (უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკის დამტკიცება);
15. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 12 სექტემბრის ბრძანება №2-196 „სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის ფილოსოფიისა (მისია, ხედვა, ღირებულებები) და სტრატეგიული დაგეგმვის შემუშავების დამტკიცების შესახებ №2-54 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ".

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ სკოლას შემუშავებული აქვს მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესახებ დოკუმენტი. რომელიც განსაზღვრავს სტრატეგიული, სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და შემდგომში მათი განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის დირექტორის მ.შ. 2023 წლის 07 აპრილის №2-54 ბრძანებით (ცვლილება 2023 წლის 12 სექტემბრის №2-196 ბრძანება) დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია წარმოადგენს გრძელვადიანი დაგეგმვის დოკუმენტს. აღნიშნული მეთოდოლოგია განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების ძირითად ეტაპებსა და პროცესში ჩართულ მხარეებს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების, განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის და გაზიარების მექანიზმებს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, შეფასებისა და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებს. წარმოდგენილი დოკუმენტით განსაზღვრულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების საკითხები, რომელიც მოიცავს სასკოლო საზოგადოებისა და ჩართული მხარეების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს. წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, <u>რომ 2023 წლის 07 აპრილის №2-54 ბრძანებით დამტკიცდა სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს სამუშაო ჯგუფის შექმნას, რომელიც იმუშავებს სკოლის ფილოსოფიის კონცეპტუალურ დოკუმენტებზე, ხოლოდ თავად სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება თარიღდება 2023 წლის 07 აპრილის №2-53 ბრძანებით. წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე ბრძანებით შექმნილია ჯერ სამუშაო ჯგუფი, ხოლო შემდეგ თავად მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს აღნიშნული ჯგუფის შექმნის მექანიზმებს.</u> **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ სასურველია გაასწოროს და შესაბამისობაში მოიყვანოს მეთოდოლოგიით განსაზღვრული მექანიზმების ქრონოლოგიური თანმიმდევრობა.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

2. სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული განვითარების სამოქმედო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 15 სექტემბრის № 13 ოქმით. სტრატეგიული გეგმა მოიცავს სკოლის მისიას, ხედვას, ღირებულებებს. განსაზღვრავს სტრატეგიულ მიზნებსა და

მიზნის მისაღწევს გზებს. სტრატეგიული გეგმა არის ციკლური, კერძოდ განსაზღვრულია დოკუმენტის განხილვა/მომზადება ყოველ 7 წელიწადში ერთხელ. სტრატეგიული სამოქმედო გეგმა თანხვედრაშია მისიასთან, ხედვასა და ღირებულებებთან. ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს. წარმოდგენილი დოკუმენტებით დგინდება, რომ სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებამდე სკოლაში სპეციალური კითხვარების შევსებით ხდება საჭიროებების გამოვლენა. სკოლის განვითარების სტრატეგიული/ სამოქმედო გეგმის პროექტები წარედგინება სკოლის დირექტორს, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნულის სასკოლო საზოგადოებისათვის გაცნობას, განხილვას და უკუკავშირის შეგროვებას. უკუკავშირის საფუძველზე ხდება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების საბოლოო სახით ფორმირება და სკოლის სამეურვეო საბჭოსათვის წარდგენა. სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით დგინდება, რომ ბრძანებით დამტკიცებული სამუშაო ჯგუფი ახდენს სკოლის სტრატეგიული სამოქმედო გეგმისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შუალედურ და საბოლოო მონიტორინგს, რომლის საფუძველზეც ხდება აღნიშნული დოკუმენტის რევიზია. წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით სკოლაში არ დასტურდება აღნიშნული ჯგუფის არსებობა. ინტერვიუს დროს სკოლამ განმარტა, რომ ცვლილება შევიდა სტრატეგიული დაგეგმარების დოკუმენტში, რის საფუძველზეც სკოლას არ ყავს აღნიშნული ჯგუფი და სამოქმედო გეგმის მონიტორინგს აწარმოებს კათედრების ხელმძღვანელები. **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ სასურველია მკაფიოდ განსაზღვროს, როგორ აწარმოებს სტრატეგიული სამოქმედო გეგმისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგს.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

3. სკოლამ წარმოადგინა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც კონკრეტული ამოცანების გადაჭრას ისახავს მიზნად. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას. სკოლის ერთწლიანი გეგმა დამტკიცებულია სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას. სამოქმედო გეგმაში აღწერილია განსახორციელებელი მკაფიო ამოცანები და განხორციელების გზებს.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის დირექტორის მ.შ. 2023 წლის 07 აპრილის №2-54 ბრძანება „სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის ფილოსოფიისა (მისია, ხედვა, ღირებულებები) და სტრატეგიული დაგეგმვის შემუშავების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ 2023 წლის 12 სექტემბრის ცვლილება №2-196 ბრძანება);
2. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის დირექტორის მ.შ. 2023 წლის 07 აპრილის №2-53 ბრძანება „სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის ფილოსოფიისა (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“;
3. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს 2023 წლის 18 აპრილის №3 ოქმი (ფილოსოფიისა და 2023-2030 წლების შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმის პროექტის განხილვა);
4. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა;
5. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
6. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 15 სექტემბრის №13 ოქმი (2023-2030 წლების შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმისა და ერთწლიანი გეგმის დამტკიცება);
7. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის დირექტორის მ.შ. 2023 წლის 22 მაისის №2-101 ბრძანება „სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლაში ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ“;
8. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლაში ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის 2023 წლის 31 მაისის №1 სხდომის ოქმი;
9. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის 2023 წლის 19 ივნისის შემაჯამებელი სხდომის ოქმი №2;

10. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს 2023 წლის 19 ივნისის №6 სხდომის ოქმი;
11. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 08 დეკემბრის №20 სხდომის ოქმი (დირექტორის ანგარიში ფინანსური საქმიანობისა და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ).
12. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს, კერძოდ აღნიშნულ საკითხებს არეგულირებს დოკუმენტის მე-10 მუხლი, რომლის თანახმადაც მონიტორინგისთვის სკოლა იყენებს ანგარიშების წარმოდგენის მეთოდს. ყოველი წლის ბოლოს სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ წერილობით ანგარიშს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ. ასევე წარმოადგენე შესაბამის მტკიცებულებებს. დოკუმენტის მიხედვით, აღნიშნულ პროცესს კოორდინაციას უწევს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე (სამუშაო ჯგუფი იქმნება სკოლის დირექტორის ბრძანებით). სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში; მისი განხორციელების შუაში და ბოლოს. სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ნიშნავს მონაცემების შეგროვებას სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და აქტივობების შესრულების სტატუსთან დაკავშირებით, ასევე მოიცავს შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენას. შეფასება ნიშნავს შეგროვებული მონაცემების გაანალიზებას და შემდგომი რეაგირების საჭიროების განსაზღვრას. სამოქმედო გეგმის მონიტორინგისთვის სკოლა იყენებს ანგარიშების წარმოდგენის მეთოდს. მონიტორინგის პროცესის დასრულების შემდეგ იწყება შეფასების პროცესი. წლის ბოლოს სტრატეგიული გეგმის შესრულების შედეგები ფორმდება ანგარიშის სახით და წარედგინება სკოლის დირექტორს, რომელიც მიღებულ ინფორმაციას დასამტკიცებლად წარუდგენს სამეურვეო საბჭოს. მეთოდლოლოგიაში მითითებულია სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგისა და შეფასების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი. თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, მკაფიოდ არ არის განსაზღრული - ეს კონკრეტული ჯგუფი მისია/ღირებულებებისა და ხედვის შემუშავებაზე პასუხისმგებელი ჯგუფია თუ კონკრეტულად სტრატეგიული სამოქმედო გეგმის მონიტორინგზე პასუხისმგებელი ჯგუფი. **სკოლას მიეცა რჩევა,** სასურველია მკაფიოდ განსაზღვროს მეთოდოლოგიით გათვალისწინებული სამუშაო ჯგუფის ფუნქცია-მოვალეობები.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

2. სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას. ამ ეტაპზე სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესაბამისად სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეფასება განხორციელებული არ არის, თუმცა სკოლის მიერ შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის ანალიზით და სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუებით დგინდება

სკოლის მზაობა, მონიტორინგისა და შეფასების პროცესი იქცეს სასკოლო ცხოვრების განუყოფელ ნაწილად, რომელიც უზრუნველყოფს პროცესების ხარისხიან მიმდინარეობაზე ზედამხედველობასა და მხარდაჭერას.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

3. სკოლის დირექციის განმარტებით სკოლის მიერ სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები ყველა აქტივობისთვის ცნობილი და გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან. აღნიშნული ინფორმაცია დაინტერესებულ მხარეებს მიეწოდება სამუშაო შეხვედრებზე. წარმოდგენილი დოკუმენტებით დგინდება, რომ სკოლაში ყოველი წლის ბოლოს სამეურვეო საბჭოს სხდომაზე ხდება ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შეჯამება/განხილვა. ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში ემსახურება სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას და გამოიყენება მომავალი წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

4. წარმოდგენილ ერთწლიან სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების ვადები და პასუხისმგებელი პირები. ინტერვიუებით დგინდება, რომ სკოლის სტრუქტურული ერთეულები ეცნობიან სტრატეგიული გეგმის ამოცანებს, ვადებს და ზრუნავენ მათ განხორციელებაზე, მოკლევადიანი გეგმით განსაზღვრულია შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. შესრულების შედეგები ემსახურება სკოლის საჭიროებების სისტემატურ დადგენასა და სამომავლო განვითარებას. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით სკოლამ განსაზღვრა, რომ ყოველი სასწავლო წლის ბოლოს, სკოლა შეადგენს SWOT ანალიზს, რომლის მეშვეობითაც მოხდება სკოლის შესაძლებლობებისა და მომავალი განვითარების პერსპექტივების გამოვლენა. ცვლილებების განსახორციელებლად საჭირო გარემოებების შესწავლა. სკოლის დირექციის განმარტებით სკოლის სტრატეგიული განვითარების ხედვა დაგეგმვის ეტაპიდან იწყება, დაგეგმვის ეტაპზევე ხდება გეგმის შესრულების შეფასების კრიტერიუმებისა და ორიენტირების გამოკვეთა. სკოლას აქვს მზაობა სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესაბამისად უზრუნველყოს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. **სკოლას მიეცა რჩევა** მონიტორინგის და შეფასების პროცესის თითოეულ ეტაპზე შექმნას სათანადო მტკიცებულებები, რომელიც დაადასტურებს პროცესის მიმდინარეობას მაგ., თუ რომელიმე აქტივობა არ ან ვერ შესრულდა, რა რეაგირება მოჰყვა ამას: გეგმის კორექტირება, ჩანაწერების დაზუსტება, ვადების გადაწევა, აქტივობის ჩანაცვლება თუ სხვა. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოყენებული უნდა იქნას სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის დირექტორის მ.შ. 2023 წლის 07 აპრილის №2-54 ბრძანება „სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის ფილოსოფიისა (მისია, ხედვა, ღირებულებები) და სტრატეგიული დაგეგმვის შემუშავების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ 2023 წლის 12 სექტემბრის ცვლილება №2-196 ბრძანება);
2. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის 2023 წლის 03 ივლისის სამეურვეო საბჭოს №10 ოქმი (სამოქმედო გეგმის შესრულება).

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში დასაქმებული თანამშრომლების საშტატო ერთეულები განსაზღვრულია სკოლის დირექტორის მ.შ - ს მიერ დამტკიცებული საშტატო ნუსხით. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები განაწილებულია სკოლის დირექტორის მ.შ. 2023 წლის 12 აპრილის №2-59 ბრძანებით „სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ“, რაც უზრუნველყოფს სკოლაში ხარისხიანი განათლების თანაბარ ხელმისაწვდომობას მოსწავლეებისთვის და ზრუნავს მოსწავლეთა პიროვნული განვითარებისა და სწავლის შედეგების გაუმჯობესებაზე, უსაფრთხო, ინკლუზიური, წამახალისებელი, თანამშრომლობითი და კეთილგანწყობილი გარემოს შექმნაზე, სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებაზე.

სკოლაში დასაქმებულია დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, საინფორმაციო მენეჯერი, ფსიქოლოგი, ექიმი, დარაჯები, დამლაგებლები და სხვ. დასაქმებულ პირებთან შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრულია კონკრეტული ფუნქციები. სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები : სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვიმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, საგნობრივი კათედრები, მრჩეველთა საბჭო. სკოლა სტრუქტურული ერთეულების საქმიანობასა და მათ შორის კოორდინაცისთვის ხელმძღვანელობს ,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის და და ,,საჯარო სკოლის წესდების შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N 448 ბრძანების მიხედვით და თანაშმრომლებთან დადებული შრომითი ხელშეკრულებით, სადაც გაწერილია მათი უფლება-მოვალეობები. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმებით შემუშავებული და დამტკიცებულია (2024 წლის 07 თებერვლის №1-04 ბრძანება) საშტატო განრიგი, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია თანამდებობები/პოზიციები და რაოდენობა. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია თუ რა ეკრძალებათ დასაქმებულებს და რისი უფლება აქვთ მათ სკოლის ტერიტორიაზე. სკოლის თანამშრომლებს შესასრულებელი ფუნქციების შესახებ ეცნობებათ ხელშეკრულების გაფორმებამდე და მხარეთა შეთანხმების შემდეგ ფორმდება ხელშეკრულება.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებსა და პირებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები გადანაწილებულია დასაქმებულთა მიერ დაკავებული შრომითი პოზიციების მიხედვით. არ არის გადაფარული სხვადასხვა დასაქმებულთა ფუნქცია-მოვალეობები, დაკისრებული შრომითი მოვალეობები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან (შრომის კოდექსი, ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი და სხვა) რამაც შესაძლოა ხელი შეუწყოს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. სკოლის თანამდებობრივი სტრუქტურა შედგება: სკოლის დირექციის, ადმინისტრაციის, ტექნიკური პერსონალისა და მასწავლებლებისაგან. დასაქმებულთა უფლება-მოვალეობები და ვალდებულებები განისაზღვრება სკოლასა და დასაქმებულს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით,

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის სტრუქტურა;
2. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის დამტკიცებული შტატები (07.02.2024 №1-04 ბრძანება)

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილია შრომის შინაგანაწესი, რომელიც უზრუნველყოფს პროგნოზირებად სამუშაო გარემოს. აღნიშნული დოკუმენტი შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. 2023 წლის 12 აპრილის №2-59 ბრძანებით (სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ) განსაზღვრულია სკოლის სტრუქტურული ერთეულების თანამდებობრივი პოზიციები და უფლება-მოსილებები, რომელიც შემუშავებულია საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის, სკოლის შინაგანაწესისა და სხვა მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით. თანამდებობრივი ინსტრუქციები განსაზღვრავს სკოლაში დასაქმებული პირების უფლება–მოვალეობებს, საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, აღნიშნული დოკუმენტი ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ ყველა თანამშრომელზე და სავალდებულოა შესასრულებლად და წარმოადგენს სკოლასა და დასაქმებულებს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს.
სკოლაში შემუშავებულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომელიც დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 18 აპრილის №6 სხდომის ოქმით. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შემუშავების მიზანია სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტი არეგულირებს პერსონალის მართვის პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებს. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტით ან/და სხვა შიდა სასკოლო დოკუმენტით არ არის დარეგულირებული პერსონალის ინტერვენციული მართვის საკითხები, კერძოდ არ არის დარეგულირებული დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში როგორ უზრუნველყოფს სკოლა სამუშაოზე არ მყოფი დასაქმებულის ფუნქციების დელეგირებას სხვაზე ისე, რომ არ დაზარალდეს სკოლაში მიმდინარე პროცესები. მაგალითად, რა პრინციპით მოხდება მასწავლებლის გაცდენის ან/და საავადმყოფო ფურცელზე ყოფნის შემთხვევაში მისი შეცვლა კოლეგებით ან შემცვლელი მასწავლებლის დაქირავებით. **სკოლას მიეცა რჩევა** დაარეგულიროს პერსონალის ინტერვენციული მართვის საკითხები.
ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

2. დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუირების დროს გამოიკვეთა, სკოლას შემუშავებული აქვს მასწავლებელთა საჭიროებების დადგენის მექანიზმი, რომლის საფუძველზეც ხორციელდება მხარდამჭერი ღონისძიებები. კოლეგებს შორის ურთიერთობა თანამშრომლობითია - საუკეთესო გამოცდილების და პრაქტიკის გაზიარება მიღებული ფორმაა.სკოლაში მოქმედებს დისციპლინური კომიტეტი, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, იღებს საკუთარ უფლებამოსილებას მიკუთვნებულ გადაწყვეტილებებს საჭირო რეგულაციების შესაბამისი ინტერვენციების შესახებ. სკოლაში შემუშავებულია კონკურსის გამოცხადების წესი, რომლის საფუძველზე პერსონალი შეირჩვა გამჭვირვალედ. სკოლა ხელმძღვანელობს 2023 წლის 18 აპრილს სკოლის სამეურვეო საბჭოს (სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი №6) მიერ დამტკიცებულ „სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“ დოკუმენტით. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა არსებითად წარმოადგენს იმ მიზანთა ერთობლიობას, რომელთა მიღწევაც სურს სკოლას საკადრო მიმართულებებით და ამ მიზნების მისაღწევად შესასრულებელ ამოცანებს.
სკოლაში ადამიანური რესურსების განვითარება და მართვა ხორციელდება-სამუშაოს შესრულებაზე ორიენტირებული კადრების მოზიდვისა და შერჩევის აქტიური პროცესის განხორციელებით, საჭიროების შემთხვევაში, ხანგრძლივი და საჭიროებისამებრ დაგეგმილი ტრენინგებისა და მართვის განვითარების აქტივობების მიხედვით. ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობების გაღრმავებით, დასაქმებულთათვის საჭირო ინფორმაციის დროულად მიწოდების გზითა და პოზიტიური გარემოს შექმნით.
ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

3. სკოლაში დაცულია მასწავლებლის შერჩევის მიზნით გამოცხადებული ვაკანსიის კომისიის შექმნის ბრძანება, ვაკანსია გამოცხადებულია მასწავლებლის სახლის ვებ-გვერდზე, წარმოდგენილია საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმები. ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა საკონკურსო კომისიის საქმიანობის ამსახველი დოკმუნეტაცია, რომლიც შესაბამისობაში იყო კანონმდებლობასთან. ექსპერტების მიერ დოკუმენტების შესწავლისა და მართვის საინფორმაციო სისტემიდან პორტირებული მონაცემების საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების სისტემა, პერსონალის შერჩევის და დასაქმების პოლიტიკა დაფუძნებულია გამჭირვალეობასა და ობიექტურობაზე, აღნიშნული წესები გაწერილია სკოლის შინაგანაწესში.
ექსპერტების მხრიდან გადამოწმდა თანამშრომელთა პირადი საქმეები,პირად საქმეებში წარმოდგენილი იყო ცნობები ნასამართლობის და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ.
ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

4. დაწესებულებაში ვიზიტის პერიოდში ექსპერტები გაიცნენ სკოლის თანამშრომლების პირად საქმეებს. დოკუმენტების შესწავლისა და მართვის საინფორმაციო სისტემიდან პორტირებული მონაცემების საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლაში დასაქმებული პირები აკმაყოფილებენ დაკავებულ თანამდებობებს. მასწავლებლებთან შრომითი ხელშეკრულებები სტატუსების შესაბამისად არის გაფორმებული. სკოლას ჰყავს 9 წამყვანი, 33 უფროსი მათ შორის 1 დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე მასწავლებელი. 2 უფროსი სპეციალური მასწავლებელი და 1 მოწვეული, იტალიური ენის მასწავლებელი. სკოლაში მასწავლებლების მიღება ხდება კონკურსის საფუძველზე

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის" შესაბამისად. სკოლაში დასაქმებული ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები დასაქმებულები არიან კანონმდებლობით გათვალისწინებული კვალიფიკაციების შესაბამისად, კონკურსის წესით, საკონკურსო კომისიის მიერ შერჩევის შედეგად. სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციებით განსაზღვრულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები სკოლაში არსებული თითოეული საშტატო ერთეულის მიხედვით.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

5. წარდმოდგენილი დოკუმენტებითა და ვიზიტის პროცესში ჩატარებული ინტერვიუებით ზუსტდება, რომ სკოლაში ყველა პროცესი ეფუძნება მონაწილეობით და გუნდურ მუშაობას. სკოლის საგნობრივ კათედრებზე მიმდინარეობს საგნობრივი კურიკულუმების შემუშავება, აღნიშნული დადასტურდა საგნობრივ კათედრებთან ინტერვიუს დროს, სკოლის ადმინისტრაცია ერთობლივად , გუნდურად ხელმძღვანელობს სკოლის პერსონალს, სკოლის სტრუქტურული ერთეულების: სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოს. სკოლის საქმიანობა ეფუძნება თანამშრომლობით პრინციპებს.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

6. შენაგანაწესის მიხედვით სკოლას დადგენილი აქვს თანამშრომელთა წახალისების მექანიზმები: მადლობის გამოცხადება, ფულადი პრემია და სხვ. პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში არსებობს წარმატებული გამოცდილებების გაზიარების პრაქტიკის მაგალითები და მას განსაკუთრებული დატვირთვა აქვს სასკოლო სივრცეში.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. „სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ“ 12.04.2023 წლის №2-59 ბრძანება;
2. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის შინაგანაწესი;
3. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის ექიმის 2023 წლის 29 დეკემბრის №5-36 შრომითი ხელშეკრულება;
4. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის სპეციალური მასწავლებლის 2023 წლის 15 სექტემბრის №5-22 შრომითი ხელშეკრულება);
5. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის ფსიქოლოგის 2023 წლის 15 სექტემბრის №5-25 შრომითი ხელშეკრულება;
6. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის შინაგანაწესის გაცნობის აქტები;
7. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის დირექტორის 2022 წლის 01 სექტემბრის №2-136 ბრძანება „სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლაში ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის-ფსიქოლოგის შტატზე ვაკანტური ადგილის შესავსებად კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;

8. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 18 აპრილის №6 სხდომის ოქმი (ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დამტკიცება, უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკის დამტკიცება);

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება სკოლაში ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭრის ჯგუფის საქმიანობა, რომელიც მასწავლებელთა საჭიროებების დადგენასა და განვითარების მხარდამჭერ ღონისძიებებზეა პასუხისმგებელი. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა გაკვეთილზე დასწრება და შედეგების ანალიზის მიზნით სამუშაო შეხვედრების ჩატარება. სკოლაში ფუნქციონირებს ინკლუზიური განათლების მონიტორინგის ჯგუფი. ჯგუფის მიერ კონტროლდება სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრული აქტივობების განხორციელება, სასწავლო

პროცესის მიმდინარეობისას პერიოდულად განიხილება სსსმ მოსწავლეების სწავლის პროცესში წარმოქმნილი სირთულეები და მისი დაძლევის გზები.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

2. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, სკოლა გამოვლინილ საჭიროებებს ასახავს სამოქმედო გეგმაში, რომლის საფუძველზე ხდება პერსონალის პროფესიული განვითარება. წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე დგინდება, რომ მასწავლებელი ვალდებულია ყოველ სასაწავლო წელს გაიაროს მასწავლებლის სახლის მიერ ორგანიზებული სავალდებულო ტრენინგები. სკოლის ბაზაზე მასწავლებლების თანამშრომლობითი კულტურა მაღალია. ტარდება ურთიერთდასწრების გაკვეთილები, ხდება აზრთა გაზიარება. მოქმედებს კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

3. წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და სკოლის ადმინისტრაციასთან ინტერვიუებით ზუსტდება, რომ სკოლას აქვს მასწავლებელის კარიერის ახალ საფეხურზე გადასვლის მხარდაჭერის გამოცდილება. სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირის - ტუტორის ჩართულობით ხდება მაძიებელი მასწავლებლის სტატუსის ამაღლება. სკოლაში შემუშავებულია ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც ეხება ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშემწყობი ღონისძიებების ორგანიზებას (მასწავლებელთა ჩართულობას სხვადასხვა ტრენინგებსა და კონფერენციებში). პედაგოგებს გავლილი აქვთ ტრენინგი ახალი არჩევითი საგნის-მედიაწიგნიერება, რომლის დანერგვას სკოლა გეგმავს მომავალი სასწავლო წლიდან. ტრენინგი „აღდგენითი მეთოდები“, რომელშიც ჩართული იყო სკოლის დირექტორი, მასწავლებელი და სკოლის სოციალური მუშაკი, აღნიშნული ტრენინგი ტარდებოდა მანდატურის სამსახურის ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრის მიერ. სკოლის მიერ წარმოდგენილია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს პერსონალის კარიერულ ზრდასთან დაკავშირებულ საკითხებს, პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით, სკოლა ერთვება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელებულ სხვადასხვა პროგრამებსა და პროექტებში, პერსონალის მიზნობრივი პროფესიული განვითარების დაგეგმვისა და განხორციელებისას სკოლა თანამშრომლებს სთავაზობს პროფესიული განვითარების მრავალფეროვან მეთოდებს, როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე გარედან შემოთავაზებული სერვისებით. ექსპერტთა მოსაზრებით დასტურდება სკოლის მზაობა ხელშეწყობილი იქნას სკოლის ბაზაზე პერსონალის კარიერული ზრდა.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

4. სკოლაში თანამშრომლის სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციას უზრუნველყოფს სკოლის დირექტორი, დირექტორის მოადგილე და საგნობრივი კათედრა. ისინი აცნობენ ახალ თანამშრომელს სკოლაში დამკვიდრებულ წესებს და ტრადიციებს. სკოლის დირექტორთან ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ კათედრის წევრები ქმნიან თანამშრომლობით და კოლეგიალურ საზოგადოებას, რაც ხელს უწყობს ახალი თანამშრომელის ადაპტაციასა და ინტეგრაციას.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

5. სკოლის პედაგოგიურ კოლექტივთან და დირექტორთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში თანამშრომელთა ინიციატივები ყოველთვის წახალისებულია. დირექტორი აღნიშნავს, რომ სკოლა ხელს უწყობს პერსონალის პროფესიულ განვითარებას. უზრუნველყოფს ადამიანური და მატერიალური რესურსებით. სკოლაში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. რაც გამოიხატება დირექციის სრული გახსნილობით ახალი იდეების, ინიციატივების მიმართ. სკოლა ცდილობს შექმნას მასწავლებლებისთვის კომფორტული, კოლეგიალური სამუშაო გარემო და საჭიროების შემთხვევაში, მოახდინოს მათი ინფორმირება და ფასილიტაცია. სკოლას აქვს გამოცდილება მასწავლებლის პროფესიული საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით განსაზღვრული მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სასკოლო პრაქტიკის ფარგლებში მიღებულ პრაქტიკანტებზე.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 15 სექტემბრის №13 სხდომის ოქმი (ერთწლიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცება);
2. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის დირექტორის 2020 წლის 14 სექტემბრის №1-31 ბრძანება „სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლაში ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის შესახებ“;
3. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის დირექტორის მ.შ. 2020 წლის 30 ნოემბრის №2-198 „სსიპ - ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლაში ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულების დამტკიცების შესახებ“;
4. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის შინაგანაწესი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, (№2-58 ბრძანება „სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის დამტკიცების შესახებ“) რომელიც აღწერს და არეგულირებს სკოლის მმართველობით, ძირითად და დამხმარე პროცესებს. დოკუმენტის მიზანია სკოლის მისიის განხორციელება და ემსახურება სკოლის სტრატეგიული მიზნებისა და შესაბამისი ამოცანების შესრულებას, სწავლების ხარისხის მონიტორინგს და მის მუდმივი სრულყოფას, აკადემიური და მატერიალური პოტენციალის ეფექტურად გამოყენების და მათი განვითარების ხელშეწყობას. დოკუმენტი არეგულირებს ასევე ხარისხის უზრუნველყოფის პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

2. წარმოდგენილი მტკიცებულებების მიხედვით დასტურდება, რომ სკოლის მიერ იდენტიფიცირებულია საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობით, ასევე დამხმარე პროცესები. მოცემული საკითხები რეგულირდება ხარისხის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტით, სკოლის შინაგანაწესით, სასკოლო სასწავლო გეგმით, საქმისწარმოების წესით, პერსონალური მონაცემების დაცვის წესით, სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტითა და სხვა შიდა სასკოლო დოკუმენტებით. აღნიშნული დოკუმენტები მოიცავს საკითხებს თუ რა ნაბიჯების გადადგმით, რა ეტაპების გავლით ხორციელდება ესა თუ ის პროცესი.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“

3. წარმოდგენილი მტკიცებულებების მიხედვით დასტურდება, რომ სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების/განხილვის სისტემა.
სკოლის მიერ წარმოდგენილი შრომის შინაგანაწესი არეგულირებს საჩივრის განხილვის წესს. ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილია მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის შესახებ დოკუმენტი, აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის ინსტრუქციას. სკოლის მიერ დადგენილი გასაჩივრების მექანიზმები შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და შესაძლებლობას იძლევა, მოხდეს წარდგენილ საჩივრებზე ეფექტური რეაგირება.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

4. სკოლის პერსონალის და მშობლის, კანონიერი წარმომადგენლის, კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები სკოლას გაწერილი აქვს შინაგანაწესში, აღნიშნული დოკუმენტი არეგულირებს სკოლის პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დარღვევაზე სკოლის მიერ გასატარებელ ღონისძიებებს, აღწერილია დისციპლინური კომიტეტის საქმიანობა, უფლებამოსილების ფარგლები. სკოლის შინაგანაწესით დარეგულირებული საკითხები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. სკოლას ცალკე დოკუმენტის სახით დამტკიცებული აქვს მშობლებთან კომუნიკაციის სტრატეგია, სადაც დეტალურად არის მითითებული მშობელთა უფლებები, მათთან კომუნიკაციისა და ინფორმირების წესი. ექსპერტების მიერ ადგილზე ნანახი იქნა მშობლებსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულებები.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის შინაგანაწესი;
2. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 12 აპრილის №2-58 ბრძანება „სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის დამტკიცების შესახებ“;
3. „სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ“ 12.04.2023 წლის №2-59 ბრძანება;
4. „სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ 22.03.2023 წლის №2-46 ბრძანება;
5. „სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ 07.04.2023 წლის №2-55 ბრძანება;
6. სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება 15.09.2023 წელი;
7. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის დირექტორის მ.შ. 2021 წლის 12 თებერვლის №2-17 ბრძანება „სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის მშობლებთან ურთიერთობის დებულების (კომუნიკაციის სტრატეგიის) დამტკიცების შესახებ“

8. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის დირექტორის 2022 წლის 12 სექტემბრის №1-58 ბრძანება „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირების განსაზღვრის შესახებ

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილი მტკიცებულებებით, სკოლის დირექციის, მასწავლებლების განმარტებით, მართვის პროცესებთან დაკავშირებით საზოგადოების ინფორმირების მიზნით სკოლა აქტიურად იყენებს სხვადასხვა საკომუნიკაციო არხებსა და საშუალებებს. სკოლას გააჩნია სასკოლო საზოგადოების წარმომადგენელთა მიერ საგანმანთლებლო საქმიანობასთან დაკავშირებით ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების ეფექტური მექანიზმები. შემუშავებულია სკოლის საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი, მშობლებთან ურთიერთობის კომუნიკაციის (სტრატეგიის) დებულება. სასკოლო საზოგადოებისა და მშობლების ინფორმირება ხდება სოციალური ქსელების, სატელეფონო ზარების, სმს-ების, მშობელთა კრებებსის მეშვეობით. სკოლაში საქმიანობას ეწევა მანდატურის სამსახურის ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრის სოციალური მუშაკი, რომელსაც გამოყოფილი აქვს სივრცე ინდივიდუალური მუშაობისთვის. გამომდინარე იქედან, რომ სკოლა აქტუირად იყენებს სოციალურ ქსელებს, **სკოლას მიეცა რჩევა,** დირექტორის ბრძანებით განსაზღვროს სკოლის ოფიციალური გვერდების - ვებ-გვერდის, სოციალური გვერდების ფუნქციურ გამართულობაზე კონკრეტულად პასუხისმგებელი პირი.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

2. სკოლის კოლეგიალური ორგანოები დაკომპლექტებულია კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით მასწავლებლების, მოსწავლეების, მშობლების წარმომადგენლებით (მაგალითად, სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მრჩეველთა საბჭო). იკვეთება აღნიშნული ორგანოების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რაც დასტურდება კოლეგიური ორგანოების სხდომის ოქმებით.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 07 სექტემბრის №12 ოქმი (2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის განხილვა/შეთანხმება);
2. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს 2023 წლის 07 სექტემბრის №7 ოქმი (2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის განხილვა/დამტკიცება);
3. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის მშობელთა კრების 2023 წლის 21 სექტემბრის №1 ოქმი (2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის და შინაგანაწესის გაცნობა);
4. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის ისგ-ს ჯგუფის ოქმი 2023 წლის 28 სექტემბრის ოქმი №1.
5. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის დირექტორის მ.შ. 2022 წლის 12 სექტემბრის №2-146 ბრძანება „სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის კათედრის დებულების დამტკიცების შესახებ“;
6. „სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულების დამტკიცების შესახებ“ დირექტორის 2023 წლის 09 ოქტომბრის ბრძანება №2-232;
7. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურების მოსწავლეთა თვითმმართველობის გაერთიანებული სხდომის ოქმი №1 13.10.2023 წელი;
8. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 22 დეკემბრის №2-320 ბრძანება „სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლაში მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ“ სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის დირექტორის 2019 წლის 28 თებერვლის №2-33 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;
9. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის დირექტორის 2020 წლის 14 სექტემბრის №1-31 ბრძანება „სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლაში ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის შესახებ“;
10. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის დირექტორის მ.შ. 2020 წლის 30 ნოემბრის №2-198 „სსიპ - ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლაში ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულების დამტკიცების შესახებ“;
11. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის დირექტორის მ.შ. 2023 წლის 22 მაისის №2-101 ბრძანება „სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლაში ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ“;
12. სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი 2022 წლის 24 ივნისს (სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი №15) (პირველი ოქმი არჩეული წევრების).

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);
2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. თბილისის №18 საჯარო სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს მანდატური და სკოლის დარაჯები. სკოლა აღჭურვილია კანონმდებლობით დადგენილი პარამეტრების შესაბამისი ვიდეოსათვალთვალო სისტემით. სკოლა უზრუნველყოფილია 14 ვიდეო-სამეთვალყურეო კამერით, სართულების მიხედვით განსაზღვრულია მორიგე მასწავლებლები, რომლებიც აკონტროლებენ წესრიგის დცვას და მოსწავლეთა უსაფრთხო გადაადგილებას. ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით სკოლა აღჭურვილია ცეცხლმაქრებით და სხვა შესაბამისი საგანგებო სიტუაციების მართვის შესაბამისი ინვენტარით. ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია საგანგებო სიტუაციების სამსახურის ნომერი (112). ყველა სართულზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმა, მთლიანად შენობაში მოწყობილია „საევაკუაციო გზის“ მიმართულებებისა და გასასვლელების მანიშნებელი მანათობელი ნიშნები. სკოლაში ფუნქციონირებს რადიო-კვანძი, რომლის საშუალებითაც, საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მოხდეეს სასკოლო საზოგადოებისათვის საგანგებო მდგომარეობის შეტყობინება. სკოლის გარე პერიმეტრი მოწესრიგებულია, სკოლის ტერიტორია არის შემოღობილი. მიუხედავად ამისა, სკოლის ტერიტორიაზე ხშირია უცხო პირთა გადაადგილება. სკოლის შემოღობილ ტერიტორიას ორივე მხრიდან აქვს შემოსასვლელი კარები, რიმლითაც სარგებლობს ადგილობრივი მოსახლეობა, რაც ვიზიტის დროს დადასტურდა. სკოლის ადმინისტრაციის განცხადებით არა ერთხელ მიმართეს შესაბამის სამსახურებს, თუმცა ვერ გარე ფაქტორების გამო ვერ ხერხდება აღნიშნული საკითხის მოგვარება. **სკოლაც მიეცა რეკომენდაცია,** სასწავლო პროცესში ჩაკეტოს სკოლის ტერიტორიაზე შემოსასვლელი კარები ორივე მხრიდან ან დაავალოს სკოლის ტერიტორიის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირს, რომ დაიცვას სკოლის ეზო სასწავლო პროცესში უცხო პირთა შემოსვლისაგან.

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვით დაწესებულებამ გაასწორა აღნიშნულ ხარვეზი. სკოლამ წარმოადგინა შემდეგი სახის მტკიცებულებები; დანართი 1 - ფოტომასალა.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი ფასდება როგორც „შეესაბამება.“

სკოლამ წარმოადგინა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან (შესაბამის ტერიტორიულ ერთეულთან) შეთანხმებული და სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 29 დეკემბრის №1-84 ბრძანებით დამტკიცებულია („სსიპ - ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის საგანგებო მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ“) გეგმა, რომელიც შეთანხმებულია შსს-სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან.
სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 27 დეკემბრის №1-82 ბრძანებით („სსიპ - ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის საგანგებო შტაბის დამტკიცების შესახებ“) დამტკიცებულია საგანგებო შტაბი, რომელსაც ევალება დაიცვას სკოლაში თანამშრომელთა და მოსწავლეთა უსაფრთხოება. ასევე სკოლაში დირექტორის 2016 წლის 26 დეკემბრის №2-367 ბრძანებით არის განსაზღვრული სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირები.

2023 წლის 11 დეკემბერს (წერილი №1687063) სკოლამ მიმართა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობისა და მის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესწავლის მიზნით. 2024 წლის 15 იანვარს მიღებული დასკვნა (ექსპერტიზის დასკვნა №000195824), რომლითაც დგინდება, რომ სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის ტექნიკური

მდგომარეობა არის დამაკმაყოფილებელი, თუმცა არის საყურადღებო. სკოლას გადაგზავნილი აქვს წერილი სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოში დასკვნაში მითითებული პრობლემების მოგვარების მიზნით (2024 წლის 22 იანვრის წერილი №47088).

სკოლას აქვს მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად გასატარებელი ღონისძიებების შესახებ. სკოლის მიერ წარმოდგენილია სახანძრო უსაფრთხოების, საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრის თაობაზე ზედამხედველობის მიწერილობა MIA 1 21 00796344 (01/04/2021 წ), აღნიშნული დოკუმენტის თანახმად სკოლის შენობის მიზნობრივი სახანძრო-ტექნიკური შემოწმების (გამოკვლევის) დროს გამოვლენილია სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევა, რომლის აღმოფხვრისათვის სკოლას მიცემული აქვს შესაბამისი ვადა. სკოლამ მიმართა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს (წერილი №269766 05.03.24), სკოლას მიღებული აქვს პასუხი (წერილი №293015 12.03.24), რომელშიც აღნიშნულია, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმებული პრიორიტეტების საფუძველზე, სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სამოქმედო გეგმის ფორმირების პროცესში გათვალისწინებული იქნება სსიპ - ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის სახანძრო უსაფრთხოების ნორმების დაკმაყოფილების მიზნით გასაწევი სამუშაოების საკითხი. აღსაღნიშნავია, რომ სახანძრო უსაფრთხოების, საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრის თაობაზე ზედამხედველობის მიერ გაცემული ვადები დარღვეულია. **სკოლას მიეცა რეკომენდაცია,** რომ უზრუნველყოს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად გასატარებელი ღონისძიებები.

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვით დაწესებულებამ გაასწორა აღნიშნული ხარვეზი. სკოლამ წარმოადგინა შემდეგი სახის მტკიცებულებები; დანართი 2 - 2024 წლის 27 მაისის №577409 წერილი შსს სსდ-სააგენტოს სიტუაციების მართვის სამსახურს.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი ფასდება როგორც „შეესაბამება“.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 იანვრის „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობებს“ №06/ნ ბრძანების საფუძველზე სკოლას შექმნილი ჰყავს მრჩეველთა საბჭო. ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნების შესაბამისად სკოლას გამოყოფილი არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. მოცემული ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით სკოლას **მიეცა რჩევა** - გამოყოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც უნდა ჰქონდეს შესაბამის აკრედიტებულ ორგანიზაციაში გავლილი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროგრამა. სკოლას განემარტა, რომ შეუძლია აიყვანოს ან დასაქმებული პირებიდან გამოყოს და სათანადოდ გადაამზადოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი ან უფლებამოსილია გააფორმოს ხელშეკრულება ორგანიზაციასთან, რომელიც სკოლას გაუწევს შესაბამის მომსახურებას შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“

2. სკოლაში პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით არსებობს საჭირო ინვენტარი და პირველადი დახმარების საშუალებები, კერძოდ სკოლის პირველ სართულზე მოწყობილია ექიმის კაბინეტი. სკოლას გაწერილი აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. სკოლას შემუშავებული აქვს სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის დირექტორის მ.შ. 2023 წლის 22 მარტის „სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესის დამტკიცების შესახებ“ №2-48 ბრძანება. აღნიშნულ დოკუმენტში განსაზღვრულია პირველადი გადაუდებელი დახმარების ძირითადი ელემენტები და განსახორციელებელი ქმედებები. პირველადი დახმარების პროტოკოლი გაზიარებულია სკოლის საზოგადოებისათვის და გამოკრულია ექიმის კაბინეტში და სკოლის ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილას. სკოლის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოებს სკოლაში გაწეული სამედიცინო მომსახურების სააღრიცხვო ფორმას, სკოლა ასევე აწარმოებს სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალს. სკოლებში მოსწავლეთა და სამედიცინო პერსონალის რაოდენობათა თანაფარდობის მიხედვით სკოლას უნდა ჰყავდეს 2 ექიმი, ვინაიდან სკოლა პირველადი ავტორიზაციის საფუძველზე მოთხოვნილი აქვს 880 მოსწავლეზე (საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტი ბრძანება №41/ნ/01-23/ნ 2022 წლის 21 მარტი). მოცემულ გამოვლენილ გარემოებებთან დაკავშირებით **სკოლას მიეცა რჩევა** დაიცვას საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტით დადგენილი მოთხოვნები და შტატით განსაზღვროს კიდევ ერთი თანამშრომლის - ექიმის პოზიცია.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

3. სკოლამ წარმოადგინა უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირის დანიშვნის შესახებ ბრძანება. სკოლაში დამტკიცებულია დოკუმენტი - უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკა, რომელიც წარმოადგენს სკოლის უსაფრთხოების დაცვის სახელმძღვანელოს. აღნიშნულ დოკუმენტში მოცემულია რა მიზნების შესრულებას ემსახურება და რა ფორმებით ხდება სკოლაში უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მათ შორის, სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა. სკოლას განსაზღვრული ჰყავს უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე პასუხისმგებელი პირები, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში ახორციელებენ მოსწავლეთა უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებას სკოლაში აკრძალული ნივთის აღმოჩენის მიზნით. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია ნივთები, რომლით სკოლაში გამოცხადება ან გამოყენება აკრძალულია. საზოგადოებრივ წესრიგს ასევე უზრუნველყოფენ სკოლის დარაჯები, მორიგე პედაგოგები. სკოლის შენობაში უცხო პირთა გადაადგილებას და შესაბამის რეესტრს აწარმოებს დარაჯი. დაწესებულებაში ფუნქციონირებს სტრუქტურული ერთეული-მრჩეველთა საბჭო, რომლის კომპეტენციებშია სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით სხვადასხვა რეკომენდაციების შემუშავება და სკოლის დირექტორისთვის წარდგენა.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

4. სკოლაში შექმნილია ფსიქო-ემოციური მხარდაჭერის ჯგუფი (სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 08 ნოემბრის №2-280 ბრძანება „სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის მოსწავლეთა ფსიქო-ემოციური მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის შესახებ“), რომელიც ხელმძღვანელობს დებულებით (სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 08 ნოემბრის №2-281 ბრძანება „სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლაში მოსწავლეთა ფსიქო-ემოციური მხარდაჭერის ჯგუფის დებულების დამტკიცების შესახებ“). ფსიქო-ემოციური მხარდაჭერის ჯგუფი მოსწავლეთა მხარდაჭერის, ინფორმირებულობის, პოზიტიური სასწავლო

გარემოს შექმნის ხელშეწყობის, არსებული სირთულეების იდენტიფიცირების მიზნით ახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს და აქტივობებს. ჯგუფი საკუთარ ფუნქციებს და ვალდებულებებს ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობის და სკოლის მარეგულირებელი აქტების შესაბამისად და მის ფარგლებში. სკოლის შიდა სპორტულ დარბაზში, სადაც ტარდება სპორტის გაკვეთილები, დამონტაჟებულია ვიდეო-სათვალთვალო კამერები. სკოლამ წარმოადგინა საგანმანათლებლო რესურსცენტრის შესაბამისი მიწერილობა, რომლის საფუძველზეც სკოლის ადმინისტრაციამ განათავსა ვიდეო-სათვალთვალო კამერები დახურულ სპორტულ დარბაზში. სკოლამ ასევე წარმოადგინა შესაბამისი აქტები ვიდეო მონიტორინგის თაობაზე ინფორმირების შესახებ. (15/009.2023 წ.)

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

5. სკოლაში დასაქმებული არიან დამლაგებლები, რომლეთა ფუნქციებში გაწერილია დაწესებულების სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფა. სკოლის 2020 წლის 3 სექტემბრის დირექტორის №2-146 ბრძანებით განსაზღვრულია სანიტარულ კვანძებში სისუფთავის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, სკოლაში დასაქმებულნი არიან შესაბამისი პირები, სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია სსსმ მოსწავლეების მხარდაჭერის მიზნით ჰიგიენის წესის დაცვაზე პასუხისმგებელი პირები. ვიზუალური დათვალიერებით სკოლაში დაცულია სისუფთავე, როგორც კლასებში, ისე სველ წერტილებში. სკოლის ტერიტორიის დათვალიერებით დადგინდა, რომ სკოლა ჯეროვნად უზრუნველყოფს სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების დაცვას. სკოლაში არსებობს გამიჯნული სანიტარული კვანძები, ცალკე ქალებისა და ცალკე ვაჟებისათვის, პედაგოგებისთვის და სხვა პერსონალისთვის. სანიტარული კვანძები უზრუნველყოფილია წყლისა და განათების უწყვეტი მიწოდებით, სათანადოდ აღჭურვილი, მოხერხებული, დაცული, სუფთა, საზოგადოების კულტურული და სოციალური განვითარების დონისათვის შესაფერისი, ხელმისაწვდომი სკოლის მოსწავლეებისა და პერსონალისათვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის. სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია (სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 29 სექტემბრის №2-215 ბრძანება „ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის შიდა ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“), რომელიც არეგულირებს ოჯახში და მის გარეთ ბავშვის ძალადობის ყველა ფორმისგან დაცვის მიზნით, ბავშვზე ძალადობის შემთხვევაში სკოლის ეფექტური და სწრაფი რეაგირების მექანიზმებს, ასევე განსაზღვრავს საქართველოში ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) კოორდინირებული და ეფექტური სისტემის ჩამოყალიბებაში სკოლის მონაწილეობის წესს.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

6. სკოლის მიერ წარმოდგენილია პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმების შესახებ დოკუმენტი, (,,პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ'' საქართველოს კანონისა და სხვა მოქმედი სპეციალური კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლაში შემუშავებული და დირექტორის 2023 წლის 07 ივნისის №2-117 ბრძანებით დამტკიცებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმები.) რომელიც არეგულირებს სკოლის მიერ შეგროვებული პერსონალური მონაცემების დაცვისა და დამუშავების წესებს და პროცედურებს. სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესის და მონიტორინგის მექანიზმების შესახებ დოკუმენტის თანახმად, მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია ჩაატაროს სისტემატური შეხვედრები (დასწრებით/ონლაინ) სკოლაში დასაქმებულებთან/მოსწავლეებთან და გააცნოს პერსონალური მონაცემების დაცვის წესები. ასევე, გააფრთხილოს იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გატარდება პერსონალური მონაცემების კანონის დარღვევით დამუშავებასთან/გამოყენებასთან/გამჟღავნებასთან დაკავშირებით. ვიზულაური დათვალიერებით სკოლის საქმისმწარმოებელთან არის

დაცული სკოლის თანამშრომლების და მოსწავლეების პირადი საქმეები, რომელიც დაცულია და ხელმისაწვდომი არ არის. სკოლა მუშაობის პროცესში იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს. სკოლაში გამოყენებულ ყველა კომპიუტერში ლიცენზირებული პროგრამაა. პერსონალური ინფორმაცია არ ზიარდება ვებგვერდებზე, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხდება ინფორმაციისა და ფაილების სარეზერვო კოპირება.
ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

7. სკოლის მიერ შემუშავებულია პერსონალური მონაცემების დამუშავების წესი, რომელიც არეგულირებს ინფორმაციის დაცულობასთან დაკავშირებულ საკითხებს, კერძოდ სკოლაში მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტაცია (მიმდინარე დოკუმენტები, აქტიური პირადი საქმეები) ინახება საქმის მწარმოებელთან. დოკუმენტებზე და/ან მათში დაცულ ინფორმაციაზე წვდომა შესაძლებელია მხოლოდ საქმისმწარმოებლისგან აღნიშნული დოკუმენტაციის მიღების და შესაბამისი აღრიცხვის გზით. მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტაცია (პირადი საქმეები, კოლეგიური ორგანოების სხდომის ოქმები), რომელიც არ არის აქტიურ მოხმარებაში , არქივდება და ინახება სპეციალურად გამოყოფილ ოთახში. ოთახი იკეტება გასაღებით, რომელიც ინახება .პასუხისმგებელ პირთან. დაარქივებულ დოკუმენტებზე წვდომა შესაძლებელია დირექტორის ნებართვით, შესაბამისი წერილობითი საფუძვლის არსებობისას. სკოლა იცავს მონაცემების კონფიდენციალურობას. მონაცემებზე წვდომა აქვთ მხოლოდ იმ თანამშრომლებს და იმ მოცულობით, რომელთაც მონაცემები სჭირდებათ საკუთარი ფუნქცია-მოვალეობების შესასრულებლად. სკოლის მიერ გამოყენებულ ელექტრონულ სისტემებზე წვდომა შესაძლებელია მხოლოდ ინდივიდუალური მომხმარებლის სახელისა და პაროლის საშუალებით. სკოლის თანამშრომლები გაფრთხილებული არიან ინფორმაციის კონფიდენციალურობის შესახებ. სკოლის მიერ გაწერილი მექანიზმებით შესაძლებელია ინფორმაცია დაცული იქნას გარეშე პირების უკანონო წვდომისაგან. **ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.**

8. სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების შესაბამისად. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც განიხილავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს, იღებს შესაბამის რეკომენდაციებს და ისმენს სკოლის დირექტორის ანგარიშს რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებით. სკოლის დირექციის განმარტებით მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე ხდება იმ საკითხების განხილვა, რომელიც მიზანშეწონილია ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.
ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 27 დეკემბრის №1-82 „სსიპ - ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის საგანგებო შტაბის დამტკიცების შესახებ“;
2. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 29 დეკემბრის №1-84 „სსიპ - ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის საგანგებო მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ“; რომელიც შეთანხმებულია შსს-სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან;
3. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის ცეცხლმაქრების შემენა/დამუხტვის ამსახველი დოკუმენტაცია;
4. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის დერეფნებში მასწავლებლების მორიგეობის განრიგი;
5. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის დირექტორის 2016 წლის 26 დეკემბრის №2-367 ბრძანება „სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლაში სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ“;
6. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის დირექტორის 2018 წლის 01 მაისის №2-71 ბრძანება „სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის შენობაში და მის ტერიტორიაზე თამბაქოს მოხმარების აკრძალვასთან/შეზღუდვასთან დაკავშირებული წესის დამტკიცებისა და მასთან დაკავშირებულის ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“;
7. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის დირექტორის 2018 წლის 02 მაისის №2-74 ბრძანება „სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის შენობაში და მის ტერიტორიაზე თამბაქოს მოხმარების აკრძალვასთან/შეზღუდვასთან დაკავშირებული წესების დამტკიცების შესახებ“;
8. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 22 მარტის №2-48 ბრძანება „სსიპ - ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესის დამტკიცების შესახებ“;
9. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის 2023 წლის 18 აპრილის სამეურვეო საბჭოს №6 ოქმი (ადამიანური რესურსების მართვისა და უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკა);
10. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის შინაგანაწესი;
11. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის დირექტორის 2020 წლის 03 სექტემბრის №2-146 ბრძანება „სსიპ - ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლაში სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვაზე ზედამხედველი პირის განსაზღვრის შესახებ“;
12. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 08 ნოემბრის №2-280 ბრძანება „სსიპ - ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის მოსწავლეთა ფსიქო-ემოციური მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის შესახებ“;
13. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 08 ნოემბრის №2-281 ბრძანება „სსიპ - ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის მოსწავლეთა ფსიქო-ემოციური მხარდაჭერის ჯგუფის დებულების დამტკიცების შესახებ“;
14. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 07 ივნისის №2-117 ბრძანება „სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმების დამტკიცების შესახებ“;
15. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 07 ივნისის №2-116 ბრძანება „სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ“;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად სკოლის შენობა და შესაბამისი მიწის ფართობი სახელმწიფო საკუთრებაა და სკოლას გადაცემული აქვს სარგებლობის უფლებით (უსასყიდლოდ), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლის მატერიალური რესურსი, სკოლის სარგებლობაში არსებული ფართი (საკლასო ოთახები, გათბობის სისტემა, სასმელი წყლით უზრუნველყოფა, სკოლის დერეფანი, სკოლის ეზო, ბიბლიოთეკა) საშუალებას იძლევა, რომ მოსწავლეებმა შეძლონ საგაკვეთილო პროცესის დროს სხვადასხვა სასწავლო აქტივობებში ჩართვა, ხოლო შესვენებაზე სრულფასოვანი დასვენება. სკოლის შენობა არის ოთხსართულიანი.

უძრავი ქონების საკადასტრო კოდია №01.13.07.024.029. ხოლო დაზუსტებული ფართობი 5476,00 კვ.მ. ფართი მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებით: შენობა-ნაგებობა №1, №2 და №3. საჯარო რეესტრიდან ამონაწერში სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლა მითითებულია, როგორც მოსარგებლე, ხოლო მესაკუთრეს წარმოადგენს სახელმწიფო. სკოლის შენობა გარემონტებულია. მისი შემოსასვლელი და პირველი სართული ადაპტირებულია სსსმ მოსწავლეების საჭიროებებზე. სკოლის ინფრასტრუქტურა სრულად შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებსა და სტანდარტებს. სკოლის შენობის სართულებზე განთავსებულია 35 საკლასო ოთახი. ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილია ასაკის შესაბამისი სასკოლო ინვენტარით, მასწავლებლის მაგიდით, მოსწავლის ინდივიდუალური მერხებით, სკამებით, კარადით და სასკოლო დაფით. სკოლას აქვს აუცილებელი მატერიალური საშუალებები, რომლებიც გამოიყენება სასწავლო პროცესში. სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორიის ორი ოთახი, რომელშიც განთავსებულია კომპიუტერები, ორი პროექტორი და ორი ეკრანი. კომპიუტერული ლაბორატორია უზრუნველყოფილია მუდმივი ინტერნეტით. ცხრა საკლასო ოთახში დამონტაჟებულია პროექტორები და ეკრანები. სკოლა აღჭურვილია ინტერნეტ ქსელით. საკლასო ოთახებში არის სასწავლო საგნების თვალსაჩინოებები, სკოლას აქვს სპორტული დარბაზი 274 კვ.მ. გასახდელებით, სატრენაჟორო ოთახით. დარბაზი აღჭურვილია საჭირო სპორტული ინვენტარით. საქართველოს განათლების მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს და სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დახმარებით 2016 წლის ზაფხულში დაიგეგმა და შესრულდა სკოლის დარბაზის სარემონტო სამუშაოები, სადაც მოწყობილია გასახდელები და სველი წერტილები, ასევე ადაპტირებული სველი წერტილი. სკოლის ეზოში არის ღია სპორტული მოედანი ხელოვნური საფარით, რომლის სარეაბილიტაციო სამუშაოები შესრულდა 2019-2020 სასწავლო წლის დაწყებამდე. სკოლაში მოწყობილია ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის ლაბორატორიული კაბინეტი. მოსწავლეებს ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის გაკვეთილების ექსპერიმენტული ნაწილი უტარდებათ ლაბორატორიაში. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია აღჭურვილია საჭირო ინვენტარით (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიაში განთავსებულია კოლბები; მულაჟები; მიკროსკოპები; მაგნიტები; პლასტმასის ცილინდრები; კომპასი და სხვა), რომლის დახმარებითაც მოსწავლეებს შეუძლიათ პრაქტიკული მუშაობა, კვლევის ჩატარება, მისი შედეგის აღრიცხვა, გაანალიზება და სათანადო დასკვნის გამოტანა. სკოლაში დამონტაჟებულია გათბობის ცენტრალური სისტემა, ბუნებრივ აირზე მომუშავე ბოილერით. საქვაბე განთავსებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოუკიდებელ შენობაში. ამჟამად, საქვაბე არის მუშა მდგომარეობაში, სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დახმარებით 2023-2024 სასწავლო წლის მიმდინარეობისას ჩატარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები, კერძოდ სრულად შეიცვალა საქვაბე სისტემა.

სკოლას აქვს სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა, რომელიც შედგება სათანადო წიგნადი ფონდისაგან. ბიბლიოთეკაში განთავსებულია ყველა საგნის გრიფირებული სახელმძღვანელოების თითო ეგზემპლარი, დამხმარე და მხატვრული ლიტერატურა.

სკოლაში ფუნქციონირებს რესურსოთახი (I სართულზე), რომელიც მთლიანად ადაპტირებულია სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე.

სკოლას აქვს 1070 მერხი. სკოლის ბალანსზე ირიცხებას 106 კომპიუტერი (38 desktop და 68 laptop) კომპიუტერი. 3 მრავალფუნქციური პრინტერი, 25 პროექტორი, ასევე, სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებები, რომლებიც საჭიროა საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად. თითოეული საკლასო ოთახი აღჭურვილია ინდივიდუალური სასკოლო დაფით. ამჟამად სკოლაში არის 62 ერთეული დაფა. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.**

2. მოსწავლეებისთვის სკოლაში არსებობს რეკრეაციული სივრცეები (დერეფანი, ეზო) სხვა მოსწავლეებთან ან მასწავლებლებთან კომუნიკაციისთვის. ასევე, სკოლაში არსებობს სივრცე მოსწავლეთა პრაქტიკული აქტივობებისთვის(დარბაზი,ლაბორატორიები და სხვ,) სკოლაში ფუნქციონირებს, როგორს საბუნებისმეტყველო, ასევე კომპიუტერული ლაბორატორიები, რომელიც სრულად არის ხელმისაწვდომი სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლას დირექტორის ბრძანებით შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი („სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ 2023 წლის 22 მარტის №2-46 ბრძანება), წესით განსაზღვრულია სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის მოსწავლეების, მასწავლებლების და სხვა თანამშრომლების მიერ სკოლის სხვადასხვა რესურსით სარგებლობის პირობები.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

3. სკოლას აქვს სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა, რომელიც შედგება სათანადო წიგნადი ფონდისაგან. ვიზიტის დროს შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები და დადგინდა, რომ წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის მიხედვით. ბიბლიოთეკაში ფუნქციონირებს ანბანური და თემატური კატალოგები, რაც დაეხმარება მოსწავლეებსა და მასწავლებლებს სასურველი წიგნის მოძიებაში. სკოლას დირექტორის ბრძანებით შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის მუშაობის წესი (დებულება) („სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის მუშაობის (დებულების) დამტკიცების შესახებ“ 2023 წლის 22 მარტის №2-47 ბრძანება), რომელიც არეგულირებს სკოლის ბიბლიოთეკაში დაცული საბიბლიოთეკო რესურსის გამოყენებისა და სარგებლობის წესს, რომელიც რეგულირდება „საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“ საქართველოს კანონის და წინამდებარე დებულების შესაბამისად. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი თვალსაჩინოდაა გამოკრული სკოლის ბიბლიოთეკაში და გამოქვეყნებულია ვებ გვერდზე.
ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

4. სკოლა ხელმძღვანელობს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ინკლუზიური განათლების განხორციელების ერთწლიანი სამოქმედო გეგმით, რომელშიც გაწერილია სასწავლო წლის პერიოდისათვის განსახორციელებელი აქტივობები და პასუხისმგებელი პირები („სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ 2023 წლის 15 სექტემბრის №2-201 ბრძანება). შენობის პირველ სართულზე განთავსებულია რესურს ოთახი, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო, შესაბამისი და აუცილებელი ინვენტარით. სსსმ მოსწავლეთათვის შესაბამისი სერვისების მიწოდების მიზნით სკოლას ჰყავს ორი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი, ორი სპეციალური მასწავლებელი, ფსიქოლოგი და სოციალური მუშაკი. სკოლის შემოსასვლელ კიბეებთან მოწყობილია პანდუსი, რაც მოსწავლეს აძლევს შენობაში შესვლისა და გადაადგილების შესაძლებლობას. პირველ სართულზე განთავსებულია სსსმ მოსწავლეთათვის ადაპტირებული ორი სველი წერტილი. სკოლას ვიზიტის დროს არ ჰყავდა ეტლით მოსარგებლე მოსწავლე. შენობის შიდა კიბეებზე არ არის პანდუსები, რამაც შესაძლოა მომავალში, თუ კი ამის საჭიროება დაუდგება სკოლას, ზღუდავს ეტლით მოსარგებლე პირების გადაადგილება. სკოლას აქვს სპორტული დარბაზი, რომელიც შენობის მეორე სართულზე მდებარეობს, სადაც მოწყობილია ადაპტირებული სველი წერტილები. შესაბამისად, თუ კი სკოლას ეყოლება ეტლით მოსარგებლე მოსწავლე, ის ვერ იქნება ხელმისაწვდომი შშმ პირებისთვის. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა მიმართვა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსათვის სკოლაში ლიფტის მოწყობის თაობაზე. სკოლა გამოთქვამს მზაობას, შესაბამისი სივრცეები ჩამოიტანოს შენობის ადაპტირებულ პირველ სართულზე. **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ სასურველია სკოლამ უზრუნველყოს სკოლის ინფრასტრუქტურის მოწყობა ინკლუზიური გარემოს შესაქმნელად.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

5. მოსწავლეებს სხვადასხვა აქტივობების განსახორციელებლად აქვთ მოწესრიგებული სააქტო დარბაზი, კეთილმოწყობილი ეზო, საკლასო ოთახები აღჭურვილია ერთადგილიანი ინდივიდუალური მერხებით, დაფებით, მთელი სკოლა დაფარულია ინტერნეტით. სკოლას აქვს თანამედროვედ აღჭურვილი ბიბლიოთეკა, რომელშიც გამოყოფილია სამკითხველო სივრცე და წიგნსაცავი. სკოლას აქვს მრავალფეროვანი სასწავლო რესურსით უზრუნველყოფილი საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, მოსწავლეები მართავენ სხვადასხვა ღონისძიებებს, როგორც კეთილმოწყობილ ეზოში, ასევე სააქტო დარბაზში. ღონისძიებების ამსახველი მასალები (ფოტოები, მოსწავლეთა ნამუშევრები) განთავსებულის სკოლის დერეფანში. სკოლას აქვს არქივი, სადაც განთავსებულია მოსწავლეების მიერ შექმნილი ნამუშევრები, შემოქმედებითი პროდუქტები.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის საჯარო რეესტრის ამონაწერი;
2. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის საკადასტრო გეგმა;
3. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის აზომვითი ნახაზი გეგმა;
4. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მიღება-ჩაბარების აქტი;
5. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის მერხების მიღება-ჩაბარების აქტი;
6. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის პროექტორების მიღება-ჩაბარების აქტი და სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
7. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის პერსონალური კომპიუტერების მიღება-ჩაბარების აქტი;
8. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის სამედიცინო ინვენტარის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
9. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის დაფების მიღება-ჩაბარების აქტი;
10. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლაში შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტი სსიპ ინფრასტრუქტურ განვითარების სააგენტო;
11. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის სპორტული ინვენტარის შესყიდვის მიღება-ჩაბარების აქტი;
12. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის სპორტული ინვენტარის შესყიდვის მიღება-ჩაბარების აქტი (ტრენაჟორები);
13. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 22 მარტის №2-47 ბრძანება „სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის ბიბლიოთეკის მუშაობის წესის (დებულების) დამტკიცების შესახებ“;
14. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
15. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის კათედრის სხდომის 2023 წლის 05 სექტემბრის №1 (რესურსების შერჩევა);
16. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობისა და მისი ექსპლუატაციის უსაფრთხოებაზე შედგენილი შეფასება/დასკვნა;

17. „სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ 2023 წლის 15 სექტემბრის №2-201 ბრძანება;
18. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის 2023 წლის სკოლის ფინანსური ანგარიშგება.
19. სკოლას გადაგზავნილი აქვს სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოში, პანდუსის/ლიფტის მოწყობასა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის გამწოვი სავენტილაციო სისტემით აღჭურვის მიზნით წერილი პრობლემის მოგვარებაზე (2024 წლის 10 იანვრის წერილი №13349);

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისიითა და სტრატეგიული განვითარების გეგმით დგინდება, რომ სკოლის ძირითადი ამოცანაა ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირება სწავლა-სწავლების პროცესში. სკოლას შემუშავებული აქვს ციფრული განვითარების გეგმა. სკოლას აქვს ციფრული ტრანსფორმაციული ხედვა, რაც მჭიდრო კავშირშია სასწავლო პროცესებთან. სკოლა აღჭურვილია ტექნოლოგიურად, სკოლაში არის კომპიუტერული ლაბორატორია. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

2. სკოლის კომპიუტერულ ლაბორატორიაში და ბიბლიოთეკაში გამოყოფილია საზიარო სივრცეები, რითაც გაზრდილია ხელმისაწვდომობა ციფრულ ტექნილოგიებზე. დირექტორის 2022 წლის 21 თებერვლის №1-12 ბრძანებით სკოლაში განსაზღვრულია კომპიუტერულ ტექნიკაზე პასუხისმგებელი პირი („სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლაში კომპიუტერულ ტექნიკაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ“. რომელიც ვალდებულია იზრუნოს ტექნიკის გამართულობაზე, შეადგინოს საგაკვეთილო პროცესში ტექნიკის გამოყენების განრიგი და აკონტროლოს ტექნიკის დადგენილი განრიგით გამოყენება. სკოლას შემუშავებული აქვს ციფრული განვითარების გეგმა (სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს 2023 წლის 07 სექტემბრის №7 ოქმი და სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 07 სექტემბრის №12 ოქმი), რომლის თანახმადაც მოსწავლეებს და მასწავლებლებს კომპიუტერულ ლაბორატორიაში არსებული სამუშაო სივრცით სარგებლობა შეუძლიათ ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, როცა კომპიუტერული ტექნოლოგიების გაკვეთილები არ მიმდინარეობს. ბიბლიოთეკაში სამუშაო სივრცეში კი შეეძლებათ მუშაობა ნებისმიერ დროს, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.კომპიუტერულ ლაბორატორიაში მოსწავლეებისათვის განკუთვნილ სივრცეში ტექნიკაზე პასუხისმგებელი პირი არის კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელი , ხოლო ბიბლიოთეკაში მოწყობილ სამუშაო სივრცეში კი - ბიბლიოთეკარი.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის ინტერნეტით დაფარვის მიღება-ჩაბარების აქტი;
2. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის კომპიუტერების მიღება-ჩაბარების აქტები;
3. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის დირექტორის 2022 წლის 21 თებერვლის №1-12 ბრძანება „სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლში კომპიუტერულ ტექნიკაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ“;
4. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის კომპიუტერული ლაბორატორიიდან პერსონალური კომპიუტერების გატანა/გამოყენების აღრიცხვის ჟურნალი;
5. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის ციფრული განვითარების გეგმა;

6. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 22 მარტის ბრძანება №2-46 „სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით შემუშავებული აქვს „საქმისწარმოების წესი,“ რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით. საქმისწარმოების წესი ადგენს ერთიან მოთხოვნებს დოკუმენტების მიღების, რეგისტრაციისა და მათი შენახვის წესთან დაკავშირებით. სკოლას აქვს ბრძანებების (საკადრო, საერთო), შემოსული და გასული წერილების სარეგისტრაციო ჟურნალები. ასევე, წარმოებს შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი. სკოლაში ინახება დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები კანონმდებლობით დადგენილი ვადით. სკოლაში იწარმოება ბუღალტრული დოკუმენტაცია, რომელიც აკინძულია და ინახება კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლის ყველა აქტი და ოფიციალური წერილები ფორმდება სატიტულო ფურცელზე, რომელიც შემუშავებულია სკოლის მიერ. 2012 წლიდან სკოლა იყენებს ელექტრონული დოკუმენტბრუნვისა და ელექტრონული ხელმოწერის სისტემას eflow-ს და Eschool-ის ბაზას.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

2. სკოლა დოკუმენტებს ამუშავებს ელექტრონულად, საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის e-flow გამოყენებით.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (Eschool). ელექტრონული ბაზა, და შეტანილია სავალდებულო ინფორმაცია: მოსწავლეთა და თანამშრომელთა მონაცემები, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები და სხვა. ბაზა მუდმივად განახლებადია ინფორმაციის თვალსაზრისით. უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, არქივზე პასუხისმგებელი პირი და პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირს და ინფორმაციას საგანმანათლებლო მარეგულირებელ უწყებებს. აღნიშნული დასტურდება eflow - ს სისტემაში გატარებული დოკუმენტაციით.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 07 აპრილის №2-55 ბრძანება „სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ“;

სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის სარეგისტრაციო ჟურნალების ნიმუშები (ბრძანებების, გასული/შემოსული დოკუმენტაციისა და შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი);

3. Eflow, Eschool, Teams, Outlook და ელექტრონული ჟურნალის პროგრამების ვიზუალური დათვალიერება;

4. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის ვებ-გვერდის მისამართი: ვებ გვერდის ბმული

სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის სოციალური გვერდის მისამართი: https://www.facebook.com/profile.php?id=100057038696397

5. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 05 სექტემბრის №1-45 ბრძანება „სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლაში არქივზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ“;

6. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 07 ივნისის №2- 116 ბრძანება „სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ“;

7. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 05 სექტემბრის №1-46 ბრძანება „სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ“;

8. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 8 დეკემბრის №20 სხდომის ოქმი ფინანსური და სასწავლო პროცესის დირექტორის ანგარიში;

9. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის ანგარიში პრეზიდენტთან, პრემიერ მინისტრთან და პარლამენტის თავმჯდომარესთან.

10. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის სსსმ მოსწავლის შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა 31.05.23 ოქმი №1;

11. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის მრჩეველთა საბჭოს 2023 წლის 25 დეკემბრის №4 სხდომის ოქმი (სკოლაში უსაფრთხოების დაცვაზე);

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის, ინფორმაციის გავრცელებისა და მიღებისთვის სკოლა იყენებს ვებ-გვერდისა, ოფიციალურ სოციალური ქსელსა და სხვა საკომუნიკაციო არხებს. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლა შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი („სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესის დამტკიცების შესახებ“ 2023 წლის 14 სექტემბრის №2-200 ბრძანება), რომლითაც განისაზღვრება საზოგადოებასთან ურთიერთობის ფორმები, ვებ-გვერდისა და სოციალური ქსელის ადმინისტრირების წესი. სკოლა საზოგადოების საჯარო ინფორმაციას წარადგენს სკოლის ოფიციალურ ვებ გვერდისა და სოციალური ქსელის საშუალებით.
ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

2. სკოლის ვებ-გვერდზე და ოფიციალურ სოციალურ გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია სკოლაში განხორციელებული აქტივობების, მიღწევების შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია არის უტყუარი და სანდო. აღნიშნული ინფორმაციისა და სიახლეების სანდოობა დასტურდება ჩატარებული ღონისძიებების, პროექტების, შეჯიბრებების ამსახველი ფოტომასალით, ასევე, სკოლის დირექცია იღებს პასუხისმგებლობას გვერდის ადმინისტრირებაზე და გავრცელებული ინფორმაციის სისწორეზე.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

3. სკოლას აქვს ვებ-გვერდი, რომელზედაც ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე. სკოლის გვერდზე სოციალურ ქსელში ქვეყნდება თითქმის ყოველდღიური ინფორმაცია სკოლაში მიმდინარე საქმიანობის შესახებ, სადაც ჩართულია კომენტარების ველი და ნებისმიერ ადამიანს აქვს საშუალება მოგვმართოს შეკითხვით, შესაბამისად მივიღოთ უკუკავშირი, რომელიც გამოყენებული და გათვალისიწინებული იქნება საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.
ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

4. სკოლას აქვს ოფიციალური ელექტრონული ვებ-გვერდი (https://skolebi.emis.ge/schools/138?schoolName=%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9E%20-%20%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A5%20%E1%83%97%E1%83%91%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1%20%E2%84%9618%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D%20%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90) რომელზეც ინფორმაცია გავრცელებულია ქართულ ენაზე. ვებ-გვერდი არის საგანმანათლებლო დანიშნულების, კერძოდ სპეციალურად რეგისტრირებულია საგანმანათლებლო დომენით.
ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები,
ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერება-აღდგენის და სასწავლო პროცესის რეგულირების წესი;
- • სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლაში განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი;
- • სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლაში მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები;
- • სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში;
- • სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის სტრატეგიული გეგმა;
- • სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის სამოქმედო გეგმა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დაფინანსების წყაროა „ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის №476 დადგენილებით გათვალისწინებული ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერი, ექიმის თანამდებობრივი სარგო, სსსმ მოსწავლის დაფინანსება, მასწავლებლების კუთვნილი დანამატის სახით მიღებული დაფინანსება. სკოლას დამატებითი დაფინანსების წყაროა კანონმდებლობით ნებადართული ეკონომიკური საქმიანობით მიღებული ფინანსური სახსრები, რომელიც ასახულია სკოლის ბიუჯეტში და რომელიც მიემართება სკოლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ აქტივობების განხორციელებზე. კანონმდებლობით გათვალისწინებული წესების შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, ხდება სკოლის ბიუჯეტში ცვლილების შეტანა, ნებისმიერი ცვლილება, რომელიც შედის სკოლის ბიუჯეტში, მტკიცდება სამეურვეო საბჭოს მიერ. ბიუჯეტის დაგეგმვისას სკოლა ითვალისწინებს კონკრეტული წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულებისთვის საჭირო ფინანსური რესურსის განაწილების პრინციპს.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

2. სკოლის მიერ ბიუჯეტის შედგენა და დაგეგმვა, ხარჯების მონიტორინგი; ფინანსურ კონტროლი ხორციელდება ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი წესით, სკოლის ბიუჯეტს დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. სამეურვეო საბჭოს იბარებს დირექტორის ანგარიშს სკოლის ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებით.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 29 დეკემბრის №22 ოქმი;
2. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 16 ნოემბრის №2-287 ბრძანება „სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის 2024 წლის სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ“;
3. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 08 დეკემბრის №20 ოქმი (ფინანსური საქმიანობის ანგარიში);
4. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორისა და ბუღალტრის სამსახურეობრივი ბარათები სკოლის საჭიროებების დადგენის (დანართი №1, №2 და №3).
5. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის 2023 წლის სკოლის ფინანსური ანგარიშგება;
6. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2024 წლის 05 მარტის №4 ოქმი (ბიუჯეტის ცვლილება);
7. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 27 თებერვლის №2-25 ბრძანება (სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის 2024 წლის სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის ცვლილება);

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა სკოლის შინაგანაწესით, მოსწავლეთა ადაპტაციის წესით, მოსწავლეთა ფსიქო-ემოციური მხარდაჭერის ჯგუფის დებულებით, მშობლებთან ურთიერთობის წესით და სხვა შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით. აღნიშნული დოკუმენტები ხელს უწყობს სკოლაში მოსწავლეთა განათლებისთვის ფიზიკურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს ხელმისაწვდომობას და შექმნას. შინაგანაწესით განსაზღვრულია მოსწავლეთა უფლებები, პასუხისმგებლობები.სკოლის შინაგანაწესი ითვალისწინებს მასწავლებელთა და მოსწავლეთა ეთიკის კოდექსს, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის წესს და პირობებს. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, სამეურვეო საბჭო,რომელთა საქმიანობა მიემართება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფას.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

2. სკოლამ მტკიცებულებად წარმოდგენა სადამრიგებლო პროგრამა, რომლის თანახმადაც კლასის დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს, მათ კანონიერ წარმომადგენელს აცნობს სკოლის შინაგანაწესით გათვალისწინებულ ქცევის წესებს, სკოლის შიდა რეგულაციებს. სკოლაში დამტკიცებულია ბავშვთა მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული სკოლის შიდა ინსტრუქცია, რომლითაც უზრუნველყოფილია ბავშვის უფლებების დაცვა და ამ უფლებების დარღვევის შემთხვევაში ხდება სწრაფი რეაგირება. შინაგანაწესი გამოკრულია სკოლის ფოიეში, ხელმისაწვდომ ადგილას. საკლასო ოთახებში გამოკრულია კლასში ქცევის წესები, რომელიც შემუშავებულია მოსწავლეთა თანამონაწილეობით. სკოლის დირექციის განმარტებით კლასის დამრიგებლები სისტემატურად ახდენენ შეხვედრას მშობლებთან, დაინტერესებულ პირებთან, სასკოლო საზოგადოების წევრებთან რა დროსაც ხდება სასკოლო რეგულაციების გაზიარება.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

3. სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებულია ხელშეკრულება საგანმანათლებლო მომსახურების შესახებ, რომელიც შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. ხელშეკრულებაში მკაფიოდ და დეტალურადაა გაწერილი სკოლის ვალდებულებები, მშობლისა და მოსწავლის უფლება-მოვალეობები, მოსწავლეთა და მშობელთა პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმი და წესი, სკოლის საქმიანობის ძირითადი მიმართულება და ზოგადი ქცევის წესი.

მშობელსა და სკოლას შორის ასევე გაფორმებულია ხელშეკრულება სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის შესახებ, სადაც აღწერილია მშობლის, მოსწავლის და სკოლის უფლება-მოვალეობები. სკოლა ხელშეკრულებას აფორმებს მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების (წრეები) მიწოდების თაობაზე. აღნიშნული ხელშეკრულებები შეესაბამება კანონმდებლობას და მოიცავს შემდეგ პუნქტებს: ხელშეკრულების ნომერი და თარიღი, ხელშეკრულების მხარეთა მონაცემები, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი, მხარეთა უფლება/მოვალეობები, სასწავლო დრო, დასვენების დრო, უქმე დღეები, მხარეთა პასუხისმგებლობა, დამატებითი პირობები და შინაგანაწესის გაცნობა.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის შინაგანაწესი;
2. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 29 სექტემბრის №2-217 ბრძანება „სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლაში მოსწავლეთა უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე უფლებამოსილი პირების განსაზღვრის შესახებ“;
3. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 29 სექტემბრის №2-218 ბრძანება „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ“;
4. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 29 სექტემბრის №2-215 ბრძანება „ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის შიდა ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“

8. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის შინაგანაწესის გაცნობის ფორმა;

9.სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლასა და სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება;

10. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის მოსწავლეთა ადაპტაციის წესის დამტკიცების შესახებ (2023 წლის 12 აპრილის №2-60 ბრძანება);

11. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერება-აღდგენის და სასწავლო პროცესის რეგულაციების წესი (2023 წლის 12 ივნისის №2-120 ბრძანება);

12. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლაში განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესის დამტკიცების შესახებ 2023 წლის 07 ივლისის №2-150 ბრძანება;

13. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის მოსწავლეთა ფსიქო-ემოციური მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის შესახებ 2023 წლის 08 ნოემბრის №2-280 ბრძანება;
14. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლაში მოსწავლეთა ფსიქო-ემოციური მხარდაჭერის ჯგუფის დებულების დამტკიცების შესახებ 2023 წლის 08 ნოემბრის №2-281 ბრძანება;

15. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის მშობლებთან ურთიერთობის დებულების (კომუნიკაციის სტრატეგიის) დამტკიცების შესახებ 2021 წლის 12 თებერვლის №2-17 ბრძანება;
16. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესის დამტკიცების შესახებ 2023 წლის 14 სექტემბრის №2-200 ბრძანება;
15. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ 2023 წლის 15 სექტემბრის №2-201 ბრძანება;
16. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის კლასის მშობელთა კრების ოქმი შინაგანაწესისა და სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობაზე;

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ხელმძღვანელობს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანების დამტკიცების წესის საფუძველზე. სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვის და მოსწავლეთა სტატუსის მინიჭების წესი დარეგულირებულია სკოლის შინაგანაწესითა

სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერება-აღდგენის და სასწავლო პროცესის რეგულაციის წესი (2023 წლის 12 ივნისის №2-120) დოკუმენტაციის გაცნობისას ჩარიცხვა/ამორიცხვა, სტატუსის შეჩერება ხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

2. მოსწავლეთა პირადი საქმეების და მართვის საინფორმაციო სისტემის Eschool შესწავლით, სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა საფეხურის დაძლევა, მობილობა, სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარეობს.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

3. სკოლა ახორციელებს ფასიან მომსახურებას. განსაზღვრული მომსახურეობების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაციის საჯაროობას სკოლა უზრუნველყოფს ვებ-გვერდისა და სოციალური ქსელის საშუალებით. სკოლის დირექტორის ბრძანებით იქმნება სხვადსხვა წრე მოსწავლეთა ინტერესების და მოთხოვნების გათვალისწინებით. აღნიშნული წრის მოქმედების ვადები, წრეზე მიღების პირობები და საფასურები განსაზღვრულია დირექტორის ბრძანებით. სკოლის განმარტებით, მომსახურების შესახებ ინფორმაციის გაზიარება მოხდება მშობლეთა კრებებზე და სოციალური ქსელის დახურულ ჯგუფებში, სკოლის საინფორმაციო დაფაზე.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

4. სკოლის დირექციის განმარტებით სკოლის მიერ დაგეგმილი აქტივობა და/ან დამატებით შეთავაზებული სერვისი თანაბრად ხელმისაწვდომია სკოლაში დასაქმებული ყველა პირისთვის, რომლებიც თავის მხრივ უზრუნველყოფენ ინფორმაციის მიწოდებას, როგორც მოსწავლეებისთვის ასევე მათი მშობლებისა თუ მეურვეებისთვის.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 20 თებერვლის №2-23 ბრძანება „სსიპ - ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლაში 2024-2025 სასწავლო წელს პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა რიცხოვნობის განსაზღვრის შესახებ“;
2. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 12 ივნისის №2-120 ბრძანება „სსიპ - ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერება-აღდგენის და სასწავლო პროცესის რეგულირების წესი“;
3. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის შინაგანაწესი;
4. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;

5. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 19 ივნისის №2-124 ბრძანება (სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის მოსწავლეთა საბაზო საფეხურის დაძლევის შესახებ);
6. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 19 მაისის №2-100 ბრძანება „სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის მოსწავლეთა მიერ საშუალო საფეხურის დაძლევის შესახებ“;

7. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 02 თებერვლის №2-11 ბრძანება (სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის მოსწავლის ამორიცხვის შესახებ);
8. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 05 თებერვალი №2-13 ბრძანება (სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის მოსწავლის ჩარიცხვის შესახებ);
9. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 05 მარტის №2-28 ბრძანება (სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლაში მოსწავლის სტატუსის შეჩერების შესახებ განცხადების საფუძველზე);
10. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 28 მარტის №2-51 ბრძანება (სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლაში მოსწავლის სტატუსის შეჩერების შესახებ გაცდენის საფუძველზე);
11. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 24 ოქტომბერი №2-258 ბრძანება (სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლაში მოსწავლის სტატუსის აღდგენის შესახებ);
12. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის მშობელთა კრების ოქმი კლასის მიერ მეორე უცხოური ენის არჩევის თაობაზე;
13. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის მშობელთა კრების ოქმი კლასის მიერ არჩევითი საგნის არჩევის თაობაზე;
14. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის მშობელთა კრების ოქმი კლასის მიერ ესთეტიკური აღზრდის ჯგუფიდან პროექტული სწავლების საგნის არჩევის თაობაზე;
15. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის დანართი (სასკოლო კურიკულუმები);
16. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 25 სექტემბრის №2-207 ბრძანება „2023-2024 სასწავლო წელს სსიპ - ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლაში მოსწავლეებისათვის ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებული დამატებითი ფასიანი მომსახურების გაწევის მიზნით გახანგრძლივებული სწავლების წრის შექმნის შესახებ“ ;
19. სკოლასა და მშობელს შორის დასადები წრის ხელშეკრულება;
20. მშობლის განცხადება წრის ჯგუფში ჩარიცხვის შესახებ;
21. შეთანხმება წრის ჯგუფიდან ამორიცხვის შესახებ;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას არ აქვს გაწერილი მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი . (დამტკიცებული დირექტორის 2023 წლის 12 აპრილის №2-60 ბრძანებით) კლასის ხელმძღვანელებს სადამრიგებლო პროგრამებში გაწერილი აქვთ სხვადასხვა აქტივოებები, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციას.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

2. სკოლას აქვს სასწავლო გარემოსთან მოსწავლეთა ადაპტაციის ეფექტიანი მექანიზმი. ბრძანებით დამტკიცებულია მოსწავლეთა ადაპტაციის წესი, რომლითაც განსაზღვრულია მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის პრინციპები და მნიშვნელოვანი ფაქტორები. სკოლის ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მოსწავლეების სკოლის სივრცეში ადაპტაციას. მასწავლებლებთან გასაუბრებით

დგინდება, რომ სკოლაში გადმოსულ ყველა ახალ მოსწავლეს, პირველ კლასელებს სკოლა უწევს შესაბამის დახმარებას სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის უზრუნველყოფის მიზნით, აღნიშნულ პროცესს ხელმძღვანელობს კლასის დამრიგებელი. რომელიც ეცნობა მოსწავლის პირად საქმეს, ხვდება მშობლებს, აგროვებს ინფორმაციას მოსწავლის მიღწევების, თავისებურების შესახებ, აცნობს საგნის მასწავლებლებს და მოსწავლეს კლასის წინაშე წარადგენს საუკეთესო მხრით. სკოლის მიერ დანერგილი სამუშაო პრაქტიკის ანალიზით შეიძლება ითქვას, რომ სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

3. სკოლას აქვს აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისა და სწავლის პროცესის მხარდაჭერის საკონსულტაციო სისტემა. საგნის მასწავლებლები, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ჩამორჩენის დასაძლევად ხშირად მუშაობენ მოსწავლეებთან ინდივიდუალურად. სკოლის დირექტორთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ საგნის მასწავლებლებლები საჭიროების მიხედვით უტარებენ კონსულტირებას. ძირითადად, ეს ხდება სწავლის დასრულების შემდგომ არასაგაკვეთილო დროს. სკოლაში დაგეგმილი გამოცდების წინ დირექტორის მოადგილის სამსახურეობრივი ბარათის საფუძველზე, ბრძანებით მტკიცდება კონსულტაციების განრიგი.
ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

4. სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა ღიაა მოსწავლეების საჭიროებების დასადგენად და შესაბამისი აქტივობების განსახორციელებლად. სკოლა საჭიროების შემთხვევაში გამოყოფს სივრცეებს - კომპიუტერულ ლაბორატორიას, ბიბლიოთეკას, სააქტო დარბაზს, სპორტულ დარბაზს. სკოლა აქტიურად ანხორციელებს სხვადასხვა აქტივობებს სასკოლო თუ საკლასო პროექტების სახით. სკოლის ადმინისტრაციასთან ინტერვიუს დროს ასევე დადგინდა, რომ სკოლა განსაკუთრებულ უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას სსსმ მოსწავლეებს. სკოლას ჰყავს ორი სპეციალური მასწავლებელი, რომელიც ინდივიდუალურად მუშაობს თითოეულ სსსმ მოსწავლესთან და ეხმარება მათ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებაში. სკოლას ჰყავს ორი ასისტენტი, ფსიქოლოგი და სოციალური მუშაკი.
ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

5. სკოლის დირექციასთან, პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა მოსწავლეებს ფორმალური საგანმანათლებლო პროცესის მიღმა, არაფორმალური განათლების მიღების საშუალებასაც აძლევს. ეს ძირითადად დამატებითი, არაფორმალური, ანუ სასწავლო პროგრამის მიღმა განხორციელებული აქტივობების დაგეგმვის ან ინიციატივათა მხარდაჭერის გზით ხორციელდება. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის წესი, რომელშიც აღწერილია თუ როგორ შეიძლება მოსწავლეებმა დააყენონ ინიციატივები, ვის უნდა მიმართონ და როგორ ახდენს სკოლის ადმინისტრაცია ასეთი ინიციატივების მხარდაჭერას. სკოლაში ფუნქციონირებს რადიოკვანძის ქსელი, რომელსაც მოსწავლეთა თვითმმართველობა აქტიურად იყენებს სხვადასხვა ღონისძებების განსახორციელებლად. წარმოდგენილი დოკუმენტებით დგინდება, რომ სკოლა ჩართულია პროექტ "L’ europa secondo Noi" ქართული და იტალიური საჯარო სკოლებისთვის.
ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

6. სკოლაში არსებობს სხვადასხვა საშუალებებით - სადამრიგებლო კითხვარი, უშუალო კომუნიკაცია - მოსწავლეთა და დაინტერებული პირებისგან უკუკავშირის მიღების პრაქტიკა, რაც გათვალისწინებულია მოსწავლეთათვის მომსახურების გაწევისას. ვიზიტის პროცესში სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მიმდინარე სასწავლო წლის დასრულებამდე სკოლაში იგეგმება ადმინისტრაციის, კლასის დამრიგებლებისა და სოციალური მუშაკის ჩართულობით სკოლის საჭიროებათა კვლევა, კვლევაში მონაწილეობას მიიღებენ სკოლის დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები, მასწავლებლები და მშობლები. კვლევის დასრულების შემდეგ მომზადდება საბოლოო ანალიზი, რომლის შედეგები და რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნება ახალი სასწავლო წლიდან.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის ფსიქო-ემოციური ჯგუფის მხარდაჭერის ჯგუფის დებულება (2023 წლის 08 ნოემბრის №2-281 ბრძანება „სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლაში მოსწავლეთა ფსიქო-ემოციური მხარდაჭერის ჯგუფის დებულების დამტკიცების შესახებ“;
2. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 12 აპრილის №2-60 ბრძანება „სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის მოსწავლეთა ადაპტაციის წესის დამტკიცების შესახებ“;
3. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის დირექტორის 2022 წლის 12 სექტემბრის №2-147 ბრძანება „სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის დამრიგებლის მუშაობის დებულების დამტკიცების შესახებ“;
4. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
5. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 14 სექტემბრის №1-50 ბრძანება „სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლაში სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის (ისგ) შექმნის შესახებ“;
6. სასკოლო პროექტების ბლოგის ინტერნეტ მისამართი

7. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის სოციალური გვერდის მისამართი: https://www.facebook.com/profile.php?id=100057038696397
8. ონლაინ გამოკითხვის (Forms-ში) კითხვარები (მოსწავლე 3 დანართი);
9. მოსწავლის საჭიროებების იდენტიფიცირება, სამოქმედო გეგმის შემუშავება (მოსწავლის ენობრივი ბარიერის არსებობაზე);
10. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის მიმართვა შეფასებაზე (სსსმ მოსწავლის დადგენის მიზნით);
11. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 28 დეკემბრის ბრძანება №2-326 „სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის მოსწავლის მადლობის გამოცხადების შესახებ;

12. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის ისგ-ს ჯგუფის სხდომის 2023 წლის 28 სექტემბრის №1 ოქმი;
13. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის თვითმმართველობის 2023 წლის 13 ოქტომბრის №1 ოქმი (კლუბების შექმნაზე);
14. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 17 ოქტომბრის №2-248 ბრძანება „სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლაში ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდის ჩატარების მიზნით განრიგის დამტკიცების შესახებ“.
15. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 17 ოქტომბრის №2-249 ბრძანება „სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლაში ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდის ჩატარების მიზნით საგამოცდო კომისიის შექმნის შესახებ“.
16. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 11 მარტის №2-31 ბრძანება „სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის წესის დამტკიცების შესახებ“.
17. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 11 მარტის №2-32 ბრძანება „სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის შესახებ“;
18. მადლობის სიგელები სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლას წარჩინებული აბიტურიენტების აღზრდისათვის;
19. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილის 2023 წლის 18 ოქტომბრის №5-32 შრომითი ხელშეკრულება.
20. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება სახელმძღვანელოების გადაცემაზე.
21. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი (ჩემი პირველი კომპიუტერი).
22. პროექტი "L’ europa secondo Noi" .

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში ვიზიტისას ადმინისტრაციაასთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთა პროფორიენტაციის ჩამოყალიბებას, რაც მოიცავს საგანმანათლებლო გარემოში მოსწავლეთა მხარდაჭერას საკუთარი ფიზიკური, კოგნიტიური და პიროვნული მახასიათებლების აღმოჩენაში და ამ მახასიათებლების შესაბამისი პროფესიების იდენტიფიცირებაში. სკოლის მოსწავლეთათვის ხელმისაწვდომია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება. სკოლა ხელმძღვანელობს პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის პროგრამით, რომელიც სასკოლო სასწავლო გეგმაში არის გაწერილი. ამ მიზნით სკოლა სხვადასხვა უმაღლეს და პროფესიულ სასწავლებელს აძლევს საშუალებას, ჩაატარონ პირისპირ შეხვედრები მოსწავლეებთან, მოაწყონ ღია

კარის დღეები სკოლაში, გააკეთონ პრეზენტაციები სკოლის მოსწავლეებისთვის; სკოლა დროულად აწვდის მოსწავლეებს გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, სიახლეებს; სკოლას ხშირად სტუმრობენ სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლის პროფესორ-მასწავლებლები, რომლებიც მოსწავლეებს უტარებენ ლექცია-საუბრებს და ეხმარებიან პროფესიის არჩევაში. სკოლას აქვს გაფორმებული მემორანდუმი საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტთან, სსიპ-კოლეჯი ,,მერმისთან", სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯთან.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება".

2. პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის პროგრამის ფარგლებში სკოლის ორგანიზებით პერიოდულად ეწყობა შეხვედრები სხვადასხვა პროფესიის ადამიანებთან, ეწყობა მე-9 და მე-11 კლასის მოსწავლეების ვიზიტი პროფესიულ სასწავლებელში.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება".

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს. ამ ეტაპზე, კლუბის ფარგლებში სკოლა ახორციელებს ვიზიტებს სხვადასხვა უნივერსიტეტებში გამართულ შეხვედრებზე და ტრენინგებზე, სადაც წარმატებული ადამიანები ხვდებიან საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებს აცნობენ ამა თუ იმ პროფესიას და ეხმარებიან კარიერის დაგეგმვაში. სკოლა გეგმავს, რომ აღნიშნული აქტივობები გახდეს რეგულარული, როგორც სასკოლო სივრცეში ასევე დაიგეგმოს გასვლითი აქტივობები კონკრეტულ სასწავლებლებში. სკოლას აქვს გამოცდილება წარმატებული კურსდამთავრებულების სტუმრობის, რაც მომავალში უფრო ინტენსიური გახდება.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება".

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. გაფორმებული მემორანდუმი სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლასა და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს შორის;
2. გაფორმებული მემორანდუმი სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლასა და საქართველოს უნივერსიტეტს შორის;
3. გაფორმებული მემორანდუმი სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლასა და ფიზიკური აღზრდისა და სპორტის უნივერსიტეტს შორის;
4. გაფორმებული მემორანდუმები პროფესიულ კოლეჯთან „მერმისი" და სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი, სსიპ-კოლეჯი „პროფესიული მომზადების ცენტრი" ;
5. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის სოციალურ ქსელი (https://www.facebook.com/profile.php?id=100057038696397),
6. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების მიზნით შექმნილი კლუბის დოკუმენტაცია;
7. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის მოსწავლის სერტიფიკატი;

8. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 11 მარტის №2-31 ბრძანება „სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის წესის დამტკიცების შესახებ“;
9. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 11 მარტის №2-32 ბრძანება „სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის შესახებ“;
10. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის ექსკურსიის დოკუმენტაცია.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა ინკლუზიური განათლების პროგრამა, რომელიც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილია. სკოლას აქვს შემუშავებული ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა, ისგ-ს ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომლითაც გათვალისწინებულია სსსმ მოსწავლის ჩართვა ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში სხვა მოსწავლეებთან ერთად. სკოლაში დასაქმებულ სპეც.მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სწავლის პროცესში სირთულეების გამოვლენის შემდეგ სკოლა უზრუნველყოს მოსწავლის გადამისამართებას დეტალური შეფასებისთვის სამინისტროს ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინურ გუნდთან, ხოლო მულტიდისციპლინური გუნდის შეფასების შედეგად განისაზღვრება რეკომენდაცია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის შესახებ. სკოლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ასახავს შესაბამისი კლასის დამთავრებისთვის მოსალოდნელ სასწავლო შედეგებს, მათ მისაღწევად განსაზღვრულ სწავლების სტრატეგიასა და დამატებით საშუალებებს/ღონისძიებებს, შესაბამისი სასწავლო გარემოს შესაქმნელად გასატარებელ ზომებს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მაქსიმალურად ითვალისწინებს სსსმ მოსწავლის ყველა საგანმანათლებლო საჭიროებას და მისი მიღწევის გზებს.
ვიზიტის დროს სკოლას ჰყავდა 13 სსსმ მოსწავლე, მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნების საფუძველზე მათთვის შედგენილი იყო ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომლებიც მორგებულია სსსმ მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე. ინდივიდუალური სასწავლო გეგმები შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან და დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ. სსსმ მოსწავლეებთან გათვალისწინებული აქტივობები მიმდინარეობს რესურს ოთახში, რომელიც აღჭურვილია სასწავლო და ტექნიკური რესურსით, საჭირო ინვენტარით. ყველა მასწავლებელს, მათ შორის სპეციალურ მაწავლებლებსაც შემუშავებული აქვთ მოსწავლეების შეფასებები, ამ შეფასებების მიხედვით, მოსწავლეებთან მიღწეულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნები. სკოლამ მტკიცებულებად ასევე წარმოადგინა მოსწავლეთა ადაპტაციის წესი, რომელშიც გაწერილია სსსმ მოსწავლეების ადაპტაცია სასკოლო გარემოში.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

2. ინდივიუალური საწავლო გეგმების შემუშავების ჯგუფებში ჩართულები არიან, როგორც სპეცმასწავლებელი, დამრიგებელი და საგნების მასწავლებლები, ასევე მშობლები. სკოლა იყენებს მოსწავლეების განვითარებაზე ორიენტირებულ განმავითარებელი შეფასების სისტემას. სპეც მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულები სხვადასხვა სახის სასკოლო და საკლასო ღონისძიებებში, პროექტებში.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 14 სექტემბრის №1-50 ბრძანება „სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლაში სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის (ისგ) შექმნის შესახებ“;
2. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
3. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 15 სექტემბრის №2-201 ბრძანება „სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“;
4. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის დირექტორის მ.შ. 2023 წლის 22 მაისის №2-101 ბრძანება „სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლაში ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ“;
5. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის ისგ-ს ჯგუფის შეხვედრის ოქმები და სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
6. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის გრაფიკი;
7. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის ერთი სსსმ მოსწავლის შესრულებული კომპლექსური დავალება;
8. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის სოციალური გვერდის მისამართი: https://www.facebook.com/profile.php?id=100057038696397
9. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტის ხელშეკრულება;
10. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის დირექტორის 2018 წლის 21 ნოემბრის ბრძანება №2-276 „სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლაში ინკლუზიური განათლების მონიტორინგის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“;
11. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს 2023 წლის 19 ივნისის №6 სხდომის ოქმი (ისგ ჯგუფების 2022-2023 სასწავლო წლის შედეგების შეჯამება);

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს დამატებით, არასავალდებულო ხასიათის ფასიან მომსახურებას - გახანგრძლივებული სწავლების წრისსახით. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაწერილი წრის მომსახურების პროგრამა.
სკოლაში იჯარით გაცემული არის ფართი კვების ობიექტის საქმიანობის მიზნით, ასევე შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების საფუძველზე, ნებადართული ნუსხის შესაბამისად, დროებით სარგებლობით გადაცემულ ფართებში ფუნქციონირებს: ქართული ხალხური ცეკვის წრე, სამხატვრო სტუდია და მოსამზადებელი სასწავლო ცენტრი.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

2. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ დამატებით სააღმზრდელო მომსახურეობას გახანგრძლივებული ფასიანი წრის სახით. წრის მომსახურების პროგრამა მოცემულია სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების განცხადებები მოსწავლეთა წრეებში ჩარიცხვასთან დაკავშირებით. მშობელთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულებები.
ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

3. ყველანაირი მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
2. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 25 სექტემბრის №2-207 ბრძანება „2023-2024 სასწავლო წელს სსიპ - ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლაში მოსწავლეებისათვის ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებული დამატებითი ფასიანი მომსახურების გაწევის მიზნით გახანგრძლივებული სწავლების წრის შექმნის შესახებ“;
3. სკოლასა და მშობელს შორის დასადები წრის ხელშეკრულება;
4. მშობლის განცხადება წრის ჯგუფში ჩარიცხვის შესახებ;
5. მშობლის შეთანხმება წრის ჯგუფის მომსახურეობის შეწყვეტის შესახებ;
6. იჯარით გაცემული ფართისა და შესაბამის მარეგულირებელთან საქმიანობის განხორციელების შესახებ ინფორმაციის მიწოდების დამადასტურებელი დოკუმენტები;
7. სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის ექსკურსიის დოკუმენტაცია.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხური	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი ''სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია'', რომელიც ერთი მხრივ სასკოლო სასწავლო გეგმის ზოგად ნაწილს აღწერს, მეორე მხრივ კი ასახავს კურიკულუმის განვითარების ეტაპებს, კურიკულუმის განვითარების პროცესის პრინციპებს, განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების მონაწილე მხარეების ფუნქციებს და ჩართულობას. დოკუმენტი კურიკულუმის დანერგვის ეტაპზე მოიაზრებს პროცესის მონიტორინგსა და შეფასებას კომპლექსურად - სასწავლო პროცესზე დაკვირვების, მოსწავლეთა შედეგების, მასწავლებლების საქმიანობის თვითრეფლექსიის საფუძველზე. კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი კათედრის წევრების და დირექციის აქტიურ თანამშრომლობას ითვალისწინებს სასწავლო პროცესის განმავლობაში, კურიკულუმის კვლევა და შეფასება მიმდინარეობს შეთანხმების საფუძველზე, როგორც სწავლების შედეგების დიაგნოსტირების, ასევე მასწავლებლების პედაგოგიური პრაქტიკის გაუმჯობესების და სკოლის ინსტიტუციონალური განვითარების მიმართულებით. დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ თანამშრომლობა ინტენსიური და ეფექტური უნდა იყოს, რაც გულისხმობს სასკოლო საზოგადოების წევრების შეთანხმებას ბაზისურ ღირებულებებზე და ამ ღირებულებების დაცვას ყოველდღიურ სასკოლო ცხოვრებაში. ინტერვიუს დროს აღნიშნეს პედაგოგებმა, რომ სასწავლო წლის განმავლობაში ისინი მუდმივად უზიარებენ ერთმანეთს მოსაზრებებს, ინიშნავენ წარმატებულ აქტივობებს, რასაც ასახავენ თემატურ გეგმებში, ითვალისწინებენ წინა წლის შედეგების ანალიზს და მომავალი სასწავლო წლისათვისაც გეგმავენ გაიზიარონ ამ სასწავლო წელს მიღებული გამოცდილება.

ინდიკატორი 2.1.1.1 შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

2. თითოეული საგნობრივი ექსპერტი აღნიშნავს, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია დაწყებითი საფეხურის თითოეული პედაგოგი. მასწავლებლები წინა წლის გამოცდილებაზე დაყრდნობით, ურთიერთანამშრომლობით ქმნიან და ავითარებენ საკუთარ კურიკულუმებს, სწავლა-სწავლების პრინციპებზე დაყრდნობით განსაზღვრავენ სამოქმედო გეგმას კერძოდ, ფორმალური და არაფორმალური განათლების მიმართულებით აქტივობებს, დავალებებს, საწავლო რესურსებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მასწავლებლის როლი, წლის განმავლობაში მის მიერ განხორციელებული რეფლექსიების, მიგნებების სასწავლო პროცესში გაანალიზებაზე, რის საფუძველზეც ხდება კურიკულუმის განვითარება. მასწავლებლები გარდა იმისა, რომ თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ონლაინ კითხვარის ფორმსის დახმარებით გამოიკითხავენ სასკოლო საზოგადეობის წევრებს. სასკოლო საზოგადოების ინტერესების კვლევისას დიდ როლს ასრულებს დამრიგებელი, რომლიც აკვირდება მოსწავლეთა სასკოლო ცხოვრებას თანამშრომლობს მშობლთან, საგნის მასწავლებლებთან სოციალურ მუშაკთან და სკოლის ფსიქოლოგთან. საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებულია სსსმ მოსწავლეთა შესაძლებლობები და საჭიროებები. კომპლექსური დავალებების მოდიფიცირებისას საგნის მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ მშობლებთან, სპეც მასწავლებლებთან, სკოლის ფსიქოლოგთან და საჭიროების შემთხვევაში მოსწავლის ასისტენტთან. სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინების მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ დაწყებითი კლასების მოსწავლეებისთვის სარემედიაციო აქტივობებისა და გახანგრძლივებული წრის შეთავაზება.

ინდიკატორი 2.1.1.2 - შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

3. სასკოლო სასწავლო გეგმა, მოიცავს საგნობრივ კურიკულუმებს, არის საჯარო დოკუმენტი, წარედგინება სამეურვეო საბჭოს შესათანხმებლად და მტკიცდება პედაგოგიურ საბჭოზე. წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშვებისა და განვითარების დოკუმენტი არსებული პრაქტიკის ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენს. მასში გაწერილია მასწავლებლების, კათედრის თავჯდომარეების, დირექციის წვლილი კურიკულუმის შემუშავების პროცესში. მეთოდოლოგიის მიხედვით, სასწავლო თემაზე მუშაობისას მასწავლებელი სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციას უზიარებს მოსწავლეების მშობლებს, ეძებს ახალ საშუალებებს სასწავლო პროცესში მათი უფრო მეტად ჩართვისთვის. აფასებს სასწავლო თემის დაგეგმვისა და განხორციელების შედეგებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს ახალი სასწავლო წლის კურიკულუმისათვის. კურიკულუმში, მშობლებთან შეთანხმებით, განისაზღვრება მეორე და მესამე უცხოური ენები, ხოლო არჩევითი საგნებისა და წრეების შერჩევაში მონაწილეობენ მოსწავლეები.

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში ჩანს, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის შემუშავებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება.

ინდიკატორი 2.1.1.3 - შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ სკოლას აქვს მუდმკომუნიკაცია სასკოლო საზოგადოების წევრებთან. მშობლებთან კომუნიკაციაში მთავარ როლს ასრულებს დამრიგებლები, რომლებიც სხვადასხვა ფორმით აწვდიან ყველა აუცილებელ ინფორმაციას მშობლებს. სკოლის ყველა მნიშვნელოვანი დოკუმენტი (სასკოლო - სასწავლო გეგმა, შინაგანაწესი, საგნობრივი პროგრამები, სადამრიგებლო საათის პროგრამა, არაფორმალური სწავლების აქტივობები და სხვ.) ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ნებისმიერი წევრისთის. სკოლა ინფორმაციის გასაჯაროების მიზნით იყენებს სხვადასხვა საშუალებებს :

- სკოლის ვებგვერდი;
- ელექტრონული ფოსტა;
- პორტალი ვებგვერდზე;
- სოციალური მედია;
- ბეჭდვითი მასალები;
- საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან.

პროცესი არის გამჭირვალე და საჯარო, კურიკულუმები ხელმისაწვდომია დაინტერესებული საზოგადოებისთვის. პროცესის გამჭირვალობას ადასტურებს განხორციელებული ღონისძიებების ამსახველი მასალები: ინტეგრირებული გაკვეთილები, არაფორმალური განათლების აქტივობები, სასკოლო პროექტები. მშობლები სისტემატურად არიან ინფორმირებულები თავიანთი შვილების სასწავლო პროცესში ჩართულობის შესახებ, მათ შორის კომპლექსური დავალების ბარათების მეშვეობით. სკოლას გააზრებული აქვს, რომ კურიკულუმზე მუშაობის პროცესი ციკლურია და მასში ჩართულობა გულისხმობს მთელი წლის მანძილზე მიმდინარე პროცესებში სასკოლო საზოგადოების აქტიურ თანამონაწილეობას, რასაც არეგულირებს სამოქმედო გეგმა, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სასკოლო საზოგადოების და სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები.

ინდიკატორი 2.1.1.4 - შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალქ თბილისის №18 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 07 სექტემბრის №2-193 ბრძანება „სსიპ ქალქ თბილისის №18 საჯარო სკოლაში სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ;

- სსიპ ქალქ თბილისის №18 საჯარო სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა (დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები);
- სსიპ ქალქ თბილისის №18 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასის სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- ონლაინ გამოკითხვის (Forms-ში) კითხვარები;
- 2023 წლის 07 სექტემბრის სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს ოქმი №12 (ფილოსოფიის განხილვა/შეთანხმება);
- 2023 წლის 07 სექტემბრის სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს ოქმი №7 (ფილოსოფიის დამტკიცება);
- სსიპ ქალქ თბილისის №18 საჯარო სკოლის კათედრის ოქმები (კურიკულუმის შემუშავება);
- მშობელთა კრების 2023 წლის 21 სექტემბრის №1 ოქმი (სასკოლო გეგმის გაცნობაზე);
- კომპლექსური დავალების მშობლის ბარათები;
- სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის კათედრების ოქმი I სემესტრის დასრულების შემდეგ.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;
3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;
5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საგნობრივი კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ეს გამოჩნდა კურიკულუმში ჩაშენებულ კომპლექსურ დავალებებში, რომლებიც სახელმწიფო ენის კათედრამ შეარჩია მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად. სწავლა-სწავლების პროცესი ისეა

დაგეგმილი დაწყებით საფეხურზე, რომ ორიენტირებულია მოსწავლეზე და მიმართულია ესგ-ის, ზგემ-ის და საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევაზე. საგაკვეთილო პროცესში მასწავლებლის მხრიდან გამოყენებულია სხვადასხვა აქტივობა, რომლებსაც მივყავართ კონკრეტულ პროდუქტამდე. დაწყებით საფეხურზე სწავლის მიზნები ფორმულირებულია სტანდარტის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით. თითოეული თემის ფარგლებში მოსწავლეები ამუშავებენ სტანდარტის შედეგებსა და სამიზნე ცნებებს. სიღრმისეული სწავლის უზრუნველყოფა ხორციელდება კონსტრუქტივისტული მიდგომით, რაც გამოიხატება იმაში, რომ კურიკულუმი მუშავდება მოსწავლეთა წინარე ცოდნაზე დაყრდნობით. სავალდებულო თემის ფარგლებში გამოკვეთილია ძირითადი საკითხები, შერჩეული სასწავლო პროგრამა ეფუძნება სახელმძღვანელოებით შემოთავაზებულ მასალას. საგნობრივ კურიკულუმებში ფორმულირებულია საფეხურებრივი საგნის სტანდარტები. მათი რეალიზების გზები ნაჩვენებია კომპლექსური დავალებების სახით. სწავლის შედეგები თითოეულ საგანში მოცემულია სამიზნე ცნებების სახით. შემაჯამებელ და კომპლექსურ დავალებებში გამოკვეთილია კონსტრუქტივიზმის პრინციპები. მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი ეფუძნება მიდგომას, რომ ყველა მოსწავლე არის უნიკალური თავისი შესაძლებლობებით, ფსიქო-ემოციური და ფიზიკური მახასიათებლებით, სწავლის სტილით, გამოცდილებით, ინტერესებით და საჭიროებებით. ამის მაგალითია დაწყებით კლასებში განხორციელებული კომპლექსური დავალებები, ტექსტების დამუშავება, აუდიო- ვიდეო რესურსების გამოყენება, სხვა საგნებში მიღებული ცოდნის ტრანსფერი და ინტეგრირება (ისტი-კომპიუტერული სასწავლო თამაშები, ხელოვნება - ხატვის და ძერწვის უნარების გამოყენებით). მოსწავლების ინტერესებზე, ცოდნის მრავალმხრივ გააზრებაზე დაგეგმილ სასწავლო პროცესს ცხადყოფს ასევე სახელმწიფო ენის კათედრის მიერ დაწყებით საფეხურზე განხორციელებული აქტივობები: 2022-2023 სასწავლო წლის ბოლოს Iა კლასში განხორციელდა ღონისძიება „იაკობ გოგებაშვილის კვალდაკვალ". ამ აქტივობის ლოგიკური გაგრძელება იყო სტუმრობა იაკობ გოგებაშვილის მუზეუმში, ვარიანში, სადაც ბავშვებმა გაიღრმავეს ცოდნა მწერლის ბიოგრაფიის შესახებ. 2023-2024 სასწავლო წლის ნოემბერში კი უკვე მეორეკლასელები ესტუმრნენ გიორგი ლეონიძის სახელობის მუზეუმს. სახელმწფო ენის ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცარჩევა; **სასურველია, მასწავლებლებმა მომავალი სასწავლო წლიდან ისე დაგეგმონ სასწავლო პროცესი, რომ აქცენტი გააკეთონ თემის ფარგლებში უფრო მეტი კომპლექსური ბუნების დავალების განხორციელებაზე ყველა სამიზნე ცნების გააქტიურებით.**

,,მე და საზოგადოების" და ,,ჩვენი საქართველოს" საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, პროექტები, ინტეგრირებული გაკვეთილები ხელს შეუწყობს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების. მაგ; საგანში ,,მე და საზოგადოება" 3-ე კლასის კურიკულუმით გათვალისწინებული კომპლექსური დავალება - „ფოტოკოლაჟის შექმნა - ახალი წელი ძველად და ახლა" - მოსწავლეს განუვითარებს საკუთარ სწავლაზე დაკვირვების უნარს, მათთვის ნაცნობი და საყვარელი დღესასწაულთან დაკავშირებული ძველი და ახალი ტრადიციების გააზრების გზით აიმაღლებს ცნობიერებას მიმდინარე ცვლილებების შესახებ, განივითარებს ციფრულ კომპეტენციებს. **საზოგადოებრივი ექსპერტის მხრიდან გაიცა რჩევა: მასწავლებლებთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ ყველა ის საქმიანობა, რომელიც ფორმალური და არაფორმალური განათლების სასწავლო პროცესისთვის იგეგმება და ხორციელდება სასურველია მაქსიმალურად აისახოს საგნობრივ კურიკულუმებში.**

სკოლის მიერ წარმოდგენილი უცხოური ენების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმებით დგინდება, რომ ისინი შექმნილია საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად, ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე და ითვალისწიებს მოსწავლის პიროვნულ განვითარებას. ძირითადად, კურიკულუმები კარგად არის გაწერილი, აღწერილია სამიზნე ცნებები შესაბამისი ქვეცნებებისა და ქვესაკითხების მითითებით, თუმცა არის მცირე უზუსტობებიც. კერძოდ, უცხოური ენების ინგლისური ენის კურიკულუმებში, სადაც არის კომპლექსური დავალების იდეები წარმოდგენილი სავალდებულო კომპონენტებს შორის არ არის ასახული კომპონენტი „მაგალითები შედარებისთვის და კონტექსტ - მაგალითები. მიუხედავად აღნიშნულისა, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ უცხოური ენების მასწავლებლებს გააზრებული აქვთ საგნობრივი შინაარსები და შეუძლიათ სამიზნე ცოდნის მკაფიოდ აღწერა. კათედრას აქვს მზაობა, უფრო მრავალფერონი გახადოს დაწყებითი კლასების კომპლექსური ბუნების დავალებები, წარმართოს სასწავლო პროცესი მოსწავლეთა ჩართულობით, მათივე ინტერესებისა და მზაობის შესაბამისად.

უცხო ენების ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა: სასურველია დაწყებითი საფეხურის ინგლისური ენის კურიკულუმში, წარმოდგენილი კომპლექსური დავალებებისთვის აისახოს კომპონენტები „მაგალითები შედარებისთვის" და „კონტექსტ-მაგალითები".

ინდიკატორი 2.1.2.1 - შეფასდა როგორც „შეესაბამება".

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რადგან მასში არის გათვალისწინებული მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ცვლილებები. კომპლექსურ დავალებებში, პირობის შინაარსთან ერთად, მითითებულია მოსწავლის მიერ შესასრულებელი პროდუქტის სახე. კომპლექსური და შემაჯამებელი დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეებში გრძელვადიანი მიზნების მიღწევას, კერძოდ, შემოქმედებითი, კრიტიკული აზროვნების, სოციალური უნარების განვითარებას და ა.შ. კომპლექსურ და შემაჯამებელ დავალებებში გაწერილია სამიზნე ცნებები და შედეგები. კომპლექსური დავალებები, რომლებიც მასწავლებლებმა განახორციელეს საკუთარ კლასებში, ითვალისწინებს გრძელვადიან მიზნებს. მედიაწიგნიერების კვირეულის ფარგლებში დაწყებით საფეხურზე დაიგეგმა და ჩატარდა გაკვეთილი, რომელიც მოიცავდა არა მხოლოდ ინფორმაციის გადაცემას, არამედ საგნობრივი კონტექსტების გათვალისწინებით კრიტიკული აზროვნების უნარის გამომუშავებასა და მედიაწიგნიერების მიმართულებით ცნობიერების ამაღლებას. მესამე კლასში მასწავლებელმა დაგეგმა გრძელვადიანი სასწავლო პროექტი "მოძრავი ბიბლიოთეკა". პროქტი მოიცავს წლის განმავლობაში განხორციელებულ/განსახორციელებელ მრავალფეროვან აქტივობებს, საგანთაშორის კავშირებს, არაფორმალური განათლების მიმართულებით დაგეგმილ აქტივობებს (მაგ. შეხვედრა ავტორთან). პოეზიის ხელნაკეთი წიგნის „შემოდგომის სიმფონია" წარდგენას. სასკოლო სასწავლო გეგმა და საგნობრივი კურიკულუმი გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმიდან, მორგებულია სასკოლო საჭიროებებს და სრულად პასუხობს ესგ-ს მიერ დადგენილ მოთხოვნებს. სამიზნე ცნებების სრულად დაფარვის მიზნით მომავალში გაიზრდება კომპლექსური დავალებების რაოდენობა კლასებში. **სახელმწიფო ენის ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა: დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში გასასწორებელია ტექნიკური ხარვეზები, კერძოდ: I კლასის კურიკულუმში არ ჩანს ძირითადი ტექსტის გრაფა და შესაბამისად, ძირითადი ტექსტებიც. ზოგან საერთოდ არ**

არის კონტექსტმაგალითები. სამიზნე ცნებები არაა შესაბამისი ან უმეტეს შემთხვევაში აკლია და არ არის საკმარისი შედეგის მისაღწევად.

დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები საზოგადოებრივ მეცნიერებების საგნებში მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და საფეხურის შედეგები). როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს (საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის სხდომის ოქმი) საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა ახორციელებს არაფორმალური განათლების ისეთ აქტივობებს, რომლებიც მოსწავლეს განუვითარებს გლობალურ-ფუნქციურ უნარებს, რასაც ხელს შეუწყობს ფორმალური განათლების პროცესი მათ შორის კურიკულუმით გათვალისწინებული კომპლექსური დავალებები (მაგ; 5-ე კლასის კურიკულუმში მოცემული კომპლექსური დავალება - ,,ქართლის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების პოპულარიზაცია“ - მოსწავლეებს გამოუმუშავებს საკუთარი სწავლის ორგანიზების, სწავლის სტრატეგიებზე დაკვირვების და თვითრეფლექსიის უნარს, ქართლში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესწავლის და პოპულარიზების მცდელობის მაგალითზე აუმაღლებს სამოქალაქო კომპეტენციებს და პატრიოტულ გრძნობებს. საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებლებთან შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების გასაუმჯობესებელ მხარეებზე და **საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა: „მე და საზოგადოების საგნის ყველა თემაში ჩანდეს ერთი ან რამდენიმე სამიზნე ცნება, „ჩვენი საქართველოს“ მე-5 კლასის კურიკულუმში გამოჩნდეს ცნება „სახელმწიფო“, ხოლო მე-6 კლასის კურიკულუმში დაზუსტდეს რომელი საკითხი რომელ ცნებასთან მიმართებით ისწავლება.**

ინდიკატორი 2.1.2.2 - შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია საგანმანათლებლო რესურსის ჩამონათვალი: გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელო/სერია, რომლებსაც საგნობრივ კათედრებზე მასწავლებლები ერთობლივად ირჩევენ, ასევე დამატებითი საგანმანათლებლო (მათ შორის, ელექტრონული) რესურსები; სხვადასხვა სახის თვალსაჩინოება (რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვ.). სკოლა აღჭურვილია მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, აქვს ბიბლიოთეკა და უზრუნველყოფს სკოლაში არსებული საგანმანათლებლო რესურსების (ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია და სხვ.) ხელმისაწვდომობას მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის. კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო მიზნების განხორციელებისას მასწავლებლები არჩევენ და თავად ქმნიან მრავალფეროვან სასწავლო რესურსს, ამის თვალსაჩინო მაგალითია დაწყებით საფეხურზე მასწავლებლების მიერ შექმნილი მრავალფეროვანი და მულტიფუნქციური რესურსები.

ინდიკატორი 2.1.2.3 - შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის და გასაუბრების შედეგებზე დაყრდნობით, სკოლაში, ყველა მოსწავლისთვის უზრუნველყოფილია განათლების მიღება ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით. სწავლების პროცესში გათვალისწინებულია სსსმ მოსწავლეთა ინტერესები. წლის დასაწყისში მოსწავლის შესაძლებლობების, მათი ძლიერი და სუსტი მხარეების გათვალისწინებით, მასწავლებლები ინკლუზიური განათლების მიმართულებით ჩართულ სპეციალისტებთან ერთად შეიმუშავებენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს, ქმნიან კომლექსური ბუნების დავალებებს, რომლის ადაპტირება და მოდიფიცირება მარტივად შესაძლებელია საჭიროების შემთხვევაში. მაგ. საგანში ,, ჩვენი საქართველო“ 6-ე კლასის კურიკულუმში მოცემულია კომპლექსური დავალება - ბახტრიონის აჯანყების მეთაურის ადვოკატის დამცავი სიტყვა - რომელიც გულისხმობს საკითხის წარმოდგენას მრავალფეროვნად როგორც ფორმის, ასევე შინაარსის მიხედვით, დავალების შესრულების მიმდინარეობისას შესაძლებელია ცალკეული აქტივობების დროს დიფერენცირება, როგორც რესურსების, ასევე დავალებების მიხედვით. ასევე, კათედრებმა წარმოადგინეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომლებშიც მკაფიოდ განსაზღვრულია: სასწავლო შედეგები, სწავლების სტრატეგიები და სასწავლო აქტივობები; დრო, რომელსაც მასწავლებელი დაუთმობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სასწავლო შედეგების მიღწევას; მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი ჯგუფური/ინდივიდუალური მეცადინეობები, მეცადინეობების გრაფიკი, ადგილი და ხანგრძლივობა; მრიგად, დგინდება, რომ სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს.

ინდიკატორი 2.1.2.4 - შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

5. დაწყებით საფეხურის უმეტეს საგნებში დიდი ყურადღება ექცევა განმავითარებელ შეფასებას, მასწავლებლები ეცნობიან და იყენებენ განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან ინსტრუმენტებს. აცნობიერებენ, რომ განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. განმავითარებელი კომენტარით აღიწერება, თუ როგორ უმჯობესდება უნარების განვითარებასთან ერთად მოსწავლის მიღწევა. მოსწავლეები თავად ერთვებიან შეფასების კრიტერიუმების შემუშავების პროცესში, თვითშეფასების რუბრიკების შემუშავებაში. სასკოლო სასწავლო გეგმით დამტკიცებულია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. ასევე კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებულია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც გამომდინარეობს შედეგების ინდიკატორებიდან და კომპლექსურის პირობიდან. მასწავლებლებმა წარადგინეს მათ მიერ შექმნილი განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები. დაასაბუთეს, თუ მათი გამოყენება როგორ შეუწყობს ხელს სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტურად წარმართვას. მომავალი სასწავლო წლისათვისაც

შემუშავდება შეფასების რუბრიკები, რომელთა შექმნის პროცესში კვლავ ჩაერთვებიან მოსწავლეებიც, რაც დაეხმარება მათ გაიაზრონ შესასწავლი საკითხის მიზნები და აიღონ პასუხისმგებლობა.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საგნობრივი ექსპერტის თქმით, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. როგორც მასწავლებლებთან ინტერვიუებისას გამოიკვეთა, ისინი დიდ ყურადღებას უთმობენ განმავითარებელ შეფასებას კონკრეტულ კომპლექსური ხასიათის დავალებაზე მუშაობისას. ყოველთვის გასცემენ ზეპირსიტყვიერ განმავითარებელ კომენტარს, რაც უბიძგებს მოსწავლეებს დაშვებული შეცდომის გამოსწორებისკენ და აჩვენებს ამ გამოსწორების შესაძლო გზებს. **სპორტის საგნობრივმა ექსპერტმა აღნიშნა, რომ** სკოლამ წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების საგნობრივი რუბრიკები კურიკულუმში ასახული მხოლოდ ზოგიერთი თემისათვის, შესაბამისად **სკოლას მიეცა რჩევა:** შეიმუშაოს ყველა თემის შესაბამისი შეფასების მექანიზმი.

ინდიკატორი 2.1.2.5 - შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა (დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმებით);
- V კლასი გასვლითი გაკვეთილი ეროვნულ მუზეუმში;
- პროექტი „მოძრავი ბიბლიოთეკა“;
- სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- დაუნის სინდრომის დღე;
- დაწყებითი კლასების შეფასების რუბრიკები;
- დაწყებითი საფეხური კომპლექსური დავალების ბარათები;
- სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის კათედრის ოქმები (კურიკულუმის შემუშავება);
- სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის სასწავლო რესურსები.

- ადაპტირებული კომპლექსური დავალება სსსმ მოსწავლისთვის.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*
-

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

1. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;
2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. საგნობრივ კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტირებს, სადაც მკაფიოდ ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, თემატურ ბლოკებს, საგნობრივ საკითხებს (რესურსებს, მასალას) შორის. შუალედური სასწავლო მიზნები (კომპლექსური დავალებები) აზუსტებს სამიზნე ცნენების ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, უზრუნველყოფს

მკვიდრი წარმოდგენების განზოგადებას. შერჩეული დავალებებით, არაფორმალური მიმართულებით, დაგეგმილი აქტივობებით, მოსწავლეს გრძელვადიანი სამიზნე ცნებების გააზრება საგნობრივ და ცხოვრებისეული კონტექსტებთან მიმართებით უწევს. მოსწავლეს საშუალება ეძლევა ჩაერთოს შემოქმედებით პროცესში. შეიძინოს ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზების უნარ-ჩვევები.

ინდიკატორი 2.2.1.1 - შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით (მათ შორის, სასკოლო-სასწავლო გეგმა) და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად ირკვევა, სკოლაში დამკვიდრებული თანამშრომლობითი კულტურის პირობებში, სკოლა ახერხებს რეაგირება მოახდინოს, როგორც სამინისტროს მიერ განათლების პოლიტიკაში განხორციელებული ცვლილებების, ასევე სკოლაში შექმნილი სიტუაციის შესაბამისად. გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ სკოლას ჰყავს ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი ხელოვნების მიმართულებით და ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, რომლებიც მჭიდროდ თანამშრომლობენ სხვადასხვა კათედებთან. სკოლა დროულად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. მაგალითად, სკოლის პედაგოგიურმა კოლექტივმა განიხილა და თავისი სკოლის საჭიროებების მიხედვით მიიღო გადაწყვეტილებები 2023 წლის 21 ნოემბერში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის №40/ნ ბრძანების დანართით დამტკიცებულ ეროვნულ სასწავლო გეგმაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად. კერძოდ, შეიცვალა სასკოლო სასწავლო გეგმის სტრუქტურა და ახლებურად ჩამოყალიბდა შემადგენელი ნაწილები. სკოლის გადაწყვეტილებით არგუმენტირებული მსჯელობის შემდეგ განხორციელდა შემდეგი ცვლილებები: შეცვალა ინკლუზიური განათლების მარეგულირებელი ნორმები, ასევე მიმდინარე სასწავლო წელს უცვლელად დატოვა შეფასების 10-ქულიანი სისტემა, საგნობრივი კათედრები და სხვ. გადაწყვეტილებების მიღების პროცესში აქტიურად იყო ჩართული თითოეული კათედრა.

ინდიკატორი 2.2.1.2 - შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

3. კათედრაზე შემუშავებულია როგორც სხვადასხვა ტიპის შემაჯამებელი სამუშაოების განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების სქემები. სხვადასხვა ტიპის დავალებებისათვის განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს მოსწავლეებსა და მშობლებს აცნობენ სასწავლო წლის დასაწყისში და მთელი სასწავლო წლის განმავლობაშიც. თითოეული მასწავლებელი ვალდებულია მოსწავლეებს გააცნოს ის კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც ფასდებიან მოსწავლეები სხვადასხვა ტიპის დავალებების შესრულების დროს, რაც უზრუნველყოფს მის გამჭვირვალობას. მნიშვნელოვანია, რომ შეფასება მიემართებოდეს ესგ-ში განსაზღვრულ საფეხურეობრივ შედეგებს კონკრეტულ სამიზნე ცნებებთან მიმართებით. მასწავლებლების განმავითარებელი კომენტარები ასახულია ელექტრონულ ჟურნალში. თუმცა სკოლაში არსებული შეფასების სისტემის სრულყოფა კიდევ ერთი გამოწვევაა და გარკვეული ცვლილებების განხორციელებაა საჭირო. სამომავლოდ კათედრა გეგმავს, რომ შეფასების სისტემა გახდეს უფრო მეტად ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი.

ინდიკატორი 2.2.1.3 - შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

4. „სასკოლო სასწავლო გეგმაში სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, სადაც ჩამოყალიბებულია ვერიფიკაციის მიზნები და ამოცანები, პრინციპები, ვერიფიკაციის პროცესი, შეფასების სისტემის ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირები. მოსწავლეთა სასწავლო შედეგებზე დაკვირვება მთელი წლის განმავლობაში ციკლური პროცესია. სკოლა აქტიურად ახორციელებს მიმდინარე სასწავლო პროცესის ანალიზსა და მოსწავლეთა სემესტრული/წლიური აკადემიური მიღწევების ანალიზს. 2023-2024 სასწავლო წლის მიმდინარე/წლიური შედეგების შეჯამება/ანალიზი კი შემუშავებული ვერიფიკაციის დოკუმენტის შესაბამისად მიმდინარეობს“.

ინდიკატორი 2.2.1.4 - შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

5. 2022-2023 სასწავლო წლამდე სკოლა აწარმოებდა მატერიალურ ჟურნალს, 2022-2023 სასწავლო წლიდან სკოლა გადავიდა ელექტრონული ჟურნალის წარმოებაზე. დირექტორის მოადგილე პასუხისმგებელია ჟურნალების მონიტორინგზე და პერიოდულად ამოწმებს მასწავლებლების მიერ ჟურნალის წარმოებას. სკოლაში ინახება დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები კანონმდებლობით დადგენილი ვადით. სკოლას, დირექტორის ბრძანებით ჰყავს არქივზე პასუხისმგებელი პირი. სკოლაში დაარქივებულია და ინახება: ანბანური წიგნი, ატესტატების წიგნი, ბრძანების წიგნი, პირადი საქმეები, პედაგოგიური საბჭოს ოქმები, სამეურვეო საბჭოს ოქმები, შემოსული და გასული წერილების აღრიცხვის ჟურნალი და სხვა.

ინდიკატორი 2.2.1.5 - შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის კათედრის სხდომის ოქმები I სემესტრის დასრულების შემდეგ;
- სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის 2023 წლის 22 დეკემბრის პედაგოგიური საბჭოს №10 ოქმი;
- სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის 2024 წლის 12 იანვრის პედაგოგიური საბჭოს №1 ოქმი;
- სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის 2024 წლის 09 იანვრის ხარისხის ჯგუფის №1 ოქმი;
- შესრულებული შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზები;
- დაწყებით საფეხურზე დანართები შეფასების რუბრიკები;
- სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის ისგ-ს 2023 წლის 21 ნოემბრის სხდომის ოქმი №2;

- სსსმ მოსწავლის შუალედური შეფასება I სემესტრი;
- ინტეგრირებული გაკვეთილი (მუსიკა, ქართული ენა და ლიტერატურა).

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

1. კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში;
2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას;
3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას გააჩნია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სასწავლო პროცესის ციფრული ტექნოლოგიებით წარმართვისთვის. შესაბამისად, სკოლა უზრუნველყოფს საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობისას კომპიუტერული რესურსების გამოყენებას. სკოლა სრულად არის დაფარული ინტერნეტით. საკლასო ოთახების უმრავლესობა აღჭურვილია პროექტორით. მასწავლებლების ნაწილს აქვს პირადი პორტატული კომპიუტერი. საგნობრივ კურიკულუმებში მოცემულია მრავალფეროვანი ძირითადი და დამხმარე რესურსები. კომპიუტერში ჩატვირთულია საინფორმაციო რესურსები, როგორც მოსწავლეებისათვის, ისე მასწავლებლებისათვის. გარდა ამისა, სკოლისათვის ხელმისაწვდომია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული გზამკვლევები, მეთოდური სახელმძღვანელოები და სხვა რესურსები. სკოლის ბიბლიოთეკაში დაცულია 10000-მდე წიგნადი ფონდი, სადაც მოცემულია მოსწავლეთა ასაკის შესაბამისი ლიტერატურა, სახელმძღვანელოები და პერიოდული გამოცემები, რომლებსაც კათედრის წევრები საგაკვეთილო პროცესში იყენებენ. მასწავლებლები და მოსწავლეები თავადაც ქმნიან სასწავლო რესურსებს. სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, რომელიც უმეტესწილად აღჭურვილია საჭირო ინვენტარით, განთავსებულია კოლბები; სქემები, მულაჟები; მიკროსკოპები; მაგნიტები; პლასტმასის ცილინდრები; კომპასი და სხვა კურიკულუმით განსაზღვრული კომპლექსური დავალებების გასახორციელებლად საჭირო

რესურსები, რომლის დახმარებითაც მოსწავლეებს შეუძლიათ პრაქტიკული მუშაობა, კვლევის ჩატარება, მისი შედეგის აღრიცხვა, გაანალიზება და სათანადო დასკვნის გამოტანა. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ აქტიურად სარგებლობენ ვირტუალური ლაბორატორიითაც.

ლაბორატორიაში განთავსებულია ცეცხლგამძლე კარადა სხვადასხვა ქიმიური რეაქტივების შესაბამისი წესით შესანახად, გაყვანილია ონკანი.

ინდიკატორი 2.2.2.1 - შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

2. სასკოლო სასწავლო გეგმაში სახელმწიფო ენის კათედრას წარმოდგენილი აქვს საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი, ამასთან სასკოლო სასწავლო გეგმას თან ერთვის ძირითადი საგანმანათლებლო რესურსების (გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების) ჩამონათვალი კლასების მიხედვით და დამატებითი საგანმანათლებლო რესურსები. მასწავლებლები დამატებითი რესურსის შერჩევისას პრიორიტეტს ანიჭებენ ოფიციალურ ვებ-გვერდებს და საგანმანათლებლო მატერიალურ თუ არამატერიალურ რესურსს. სკოლის მიერ გამოყენებულ დამხმარე სასწავლო რესურსს კათედრაზე გავლილი აქვს ვალიდაცია.

ინდიკატორი 2.2.2.2 - შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

3. სკოლას საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აქვს შესაბამისი მატერიალური რესურსი და საჭირო ინფრასტრუქტურა, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. ასევე შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, რომლითაც განსაზღვრულია სკოლის მოსწავლეების, მასწავლებლების და სხვა თანამშრომლების მიერ სკოლის სხვადასხვა რესურსით სარგებლობის პირობები. სკოლას აქვს საჭირო რაოდენობის მერხები, სკამები, კომპიუტერული ტექნიკა, წიგნადი ფონდი და სხვა საჭირო მატერიალური თუ არამატერიალური რესურსები.

ინდიკატორი 2.2.2.3 - შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

4. სკოლაში სულ 45 მასწავლებელია, აქედან დაწყებით საფეხურზე ასწავლის 8 წამყვანი, 25 უფროსი და ერთი მოწვეული მასწავლებელი. პერსონალის მართვისა და განვითარების კუთხით, სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომლის მიზანია, თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება. ასევე, სკოლის მიზანია იმგვარი სამუშაო

გარემოს შექმნას, სადაც თითოეულ თანამშრომელს ეძლევა საკუთარი პოტენციალის და პირადი მისწრაფებების რეალიზების შესაძლებლობა.

ინდიკატორი 2.2.2.4 - შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის 2023 წლის 18 აპრილის სამეურვეო საბჭოს ოქმი №6 (დამტკიცებულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა);
- სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის მასწავლებლების დამადასტურებელი სერტიფიკატები;
- სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის ციფრული განვითარების გეგმა;
- სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის სასწავლო რესურსები;
- სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის კათედრის ოქმები დამხმარე რესურსების ვალიდაციის შესახებ.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას;
3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დასტურდება, რომ სკოლის სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმის მეთოდოლოგიის დოკუმენტის შესაბამისად. კურიკულუმის განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილია იმის აღწერა, თუ როგორ მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში (მონიტორინგი) და რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი (შეფასება). სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან. შესაბამისად, მოსწავლეთა სასწავლო შედეგების, დაგეგმილი აქტივობების ეფექტიანობის შესახებ მონაცემები განიხილება კათედრების სამუშაო შეხვედრებზე და ზიარდება მთელი სასკოლო საზოგადოებისთვის. ამასთან, სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც გულისხმობს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვას, განხორციელებას და შემდგომ შეფასებასთან დაკავშირებული აქტივობების გაუმჯობესებისკენ მიმართულ ღონისძიებებს.

ინდიკატორი 2.3.1.1 - შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

2. როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს სკოლაში დანერგილია მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი პრობლემების იდენტიფიცირების მეთოდები. ამ მხრივ სკოლაში დანერგილია რამდენიმე კარგი პრაქტიკა: მოსწავლეთა აკადემიური შედეგების ანალიზი, შემაჯამებელი დავალების და კომპლექსური/შემოქმედებითი დავალების ანალიზი, მშობელთა ჩართულობის მექანიზმი და სხვ. საზოგადოებრივი კათედრის მიერ მოწოდებულ მასალებში არის დაწყებით საფეხურზე საგანში ,,მე და საზოგადოება“ განხორციელებული კომპლექსური დავალების შესრულების ამსახველი მასალა, მოსწავლეთა ნამუშევრები, განმავითარებელი შეფასებები და გაწეული საქმიანობის რეფლექსიის დოკუმენტები. ასევე, ესთეტიკის ექსპერტმა აღნიშნა, რომ სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში მასწავლებელმა თვითრეფლექსიისთვისა და მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე დაგეგმა დიაგნოსტიკური განმავითარებელი შეფასება, რომლის მიზანი იყო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის დიაგნოსტირება და შედეგების საფუძველზე შემდგომი ინტერვენციების დასახვა. მოსწავლეებს წინასწარ ეცნობათ საკითხები, შემდეგ წერეს საკლასო წერა, სადაც შეტანილი იყო ძირითადად პირობისეულ ცოდნაზე ორიენტრიებული რამდენიმე კითხვა. გამოიკვეთა რამდენიმე პრობლემა, რომლის გათვალისწინებითაც მასწავლებელმა შეცვალა კურიკულუმით დაგეგმილი სასწავლო პროცესი. მეორე სემესტრის ბოლოს კი დაგეგმილია დიაგნოსტიკური წერა ინდივიდუალური ბარათებით. სახელმწიფო ენის კათედრა აპირებს, რომ მომავალი სასწავლო წლიდან სადიაგნოსტიკო ტესტები და შეფასების ინსტრუმენტები კვლავ აქტიურად გამოიყენოს კითხვის პრობლემების საკვლევად და აღმოსაფხვრელად. ასევე შეიმუშაონ კომპლექსური დავალებების შეფასებისა და მოსწავლეთა სხვადასხვა უნარის შესამოწმებელი რუბრიკები. სამომავლოდ უფრო

მასშტაბურად, სტრუქტურიზებულად და სისტემურად იგეგმება დიაგნოსტიკური კვლევების მეთოდების გამოყენების გზით კურიკულუმის დანერგვის/ მიმდინარეობის პროცესის მონიტორინგი. მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს კათედრა აუცილებლად გაითვალისწინებს და შესაბამის ცვლილებებს შეიტანს მომდევნო სასწავლო წლისთვის დაგეგმილ კურიკულუმებში. **სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტისგან კათედრას მიეცა რჩევა: მონიტორინგის ამსახველ დოკუმენტებში მკაფიოდ წარმოაჩინოს ის პრობლემები და ხარვეზები, რომლებიც სწავლების პროცესში გამოიკვეთა და ასევე, მათი მოგვარების საშუალებები.**

ინდიკატორი 2.3.1.2 - შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

3. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებსა და მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლას გაცნობიერებული აქვს მონიტორინგისა და შეფასების სისტემის აუცილებლობა და პროცესი აღქმულია მხარდაჭერის მექანიზმად. კათედრაზე მასწავლებლები გამოცდილების გაზიარებისა და კონსტრუქციული უკუკავშირის მიღების მიზნით, კრიტიკული მეგობრის როლში ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე და აძლევენ რჩევებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე. გარდა ამისა სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრების, დირექციისა და ხარისხის ჯგუფის ინტენსიურ თანამშრომლობასთან. ვერბალურად, შუალედურ შემაჯამებელ სამუშაო შეხვედრებზე განიხილება სწავლების მიმდინარე პროცესი, შეთანმებულად იგეგმება საჭიროებაზე ორიენტირებული შემხვედრი ნაბიჯები.

ინდიკატორი 2.3.1.3 - შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- „სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის დამტკიცების შესახებ“ 12.04.2023 წლის №2-58 ბრძანება;
- სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლაში ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის 2023 წლის 31 მაისის №1 სხდომის ოქმი;
- სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის 2023 წლის 02 ოქტომბრის სხდომის ოქმი №3;
- კოლეგის გაკვეთილზე დაკვირვების დოკუმენტი;
- დაწყებითი კლასების შემაჯამებელი დავალების ანალიზები;
- I სემესტრის სსსმ მოსწავლის შუალედური შეფასება საგნებით;
- სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

- მასწავლებლის დოკუმენტი (V კლასში მოსწავლეთა ცოდნის მონიტორინგის შესახებ);
- მასწავლებლის დოკუმენტი (კომლექსური/შემაჯამებელი დავალების ანალიზი);
- კოლეგის გაკვეთილზე დაკვირვების დოკუმენტი;
- დაწყებითი კლასების შემაჯამებელი დავალების ანალიზები;
- V კლასის განმავითარებელი დიაგნოსტიკური შეფასების ანალიზი;
- VI კლასის კომპლექსური დავალების შეფასება SOLO ტაქსონომიით;
- დამრიგებლის კითხვარი (სასკოლო მზაობის შესახებ);

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა პრიორიტეტს ანიჭებს მოსწავლის ჰოლისტურ შეფასებას, რაც გულისხმობს მონაცემების შეგროვებას მრავალფეროვანი წყაროებიდან. საგნის მასწავლებლები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, სისტემატურად იღებენ ინფორმაციებს დამრიგებლებისგან, აქვთ აქტიური კომუნიკაცია მშობლებთან, საჭიროების შემთხვევაში სპეცმასწავლებელთან, სკოლის ფსიქოლოგთან. სასწავლო პროცესის შეფასების წარმატება მნიშვნელოვანნადაა დამოკიდებული შეფასების კომპონენტების და ამოცანების გააზრებასთან. დაწყებით საფეხურზე უპირატესობა ენიჭება განმავითარებელ შეფასებას, მონაცემების გაზიარება და ანალიზი ხდება მასწავლებელთა თანამშრომლობის გზით. სასწავლო პროცესის შეფასებაში აქტიურად არის ჩართული თითოეული კათედრა.

ინდიკატორი 2.3.2.1 - შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

2. სასწავლო პროცესში მასწავლებელი მოსწავლეს აკვირდება და აფასებს სხვადასხვა კონტექსტში:. ამისათვის გამოიყენება როგორც ფორმალური საკლასო გარემო, დაგეგმილი კომპლექსური დავალებები, ასევე არაფორმალური აქტივობები, მაგ.: ექსკურსიები, გასვლით გაკვეთილები, რის საფუძველზეც მასწავლებელს გამოაქვს დასკვნები და აფასებს მოსწავლეებს. სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინებით განხორციელებული შეფასება ემსახურება მოსწავლის მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობას. მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს აგრეთვე მასწავლებლების თვითრეფლექსია, თუ რამდენად ეფექტიანად წარმართავენ სასწავლო პროცესს. მაგალითად მეექვსე კლასში სახვით

და გამოყენებით ხელოვნებაში კომპლექსური დავალების გახორციელებისას, მასწავლებელმა გამოკვეთილი პრობლემის ანალიზის შედეგედ დაასკვნა, რომ კომპლექსური დავალებით განსაზღვრული ქვეცნებების გააზრება მოსწავლეებს გაუჭირდათ. კერძოდ, ნატურმორტის დახატვისას ვერ გაიაზრეს ფონისა და გამოსახულების ურთიერთმიმართება. თვითრეფლექსიისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებელმა საჭირო აქტივობებითა და სხვადასხვა სტრატეგიებით ვერ გადასცა ცოდნა მოსწავლეებს, რადგან რამდენიმე მოსწავლე საგაკვეთილო პროცესს არ ესწრებოდა. გამოკვეთილი საჭიროების შეაბამისად მასწავლებელმა დაგეგმა შემდგომი სასწავლო პროცესი.

ინდიკატორი 2.3.2.2 - შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

3. დაწყებით საფეხურზე შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდი. შეფასების კონტექსტის გათვალისწინებით ნებისმიერი ჩართული მხარე ინდივიდუალურად/ერთობლივად არჩევს შეფასების მეთოდს. მონაცემთა შეგროვება ძირითადად ხდება ზეპირი ინტერვიუს, გამოკითხვის და სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით. ინფორმაციის შეგროვებისთვის და კითხვარების ხელმისაწვომობისთვის სკოლა იყენებს კომპიუტერულ ტექნოლოგიებს, სხვადასხვა პლატფორმების გამოყენებით იქმნება კონკრეტული საკითხის/პრობლემის კვლევისთვის კითხვარები, რომელიც ელექტრონული ფორმატით ეგზავნებათ კვლევაში ჩართულ პირებს. მაგალითისთვის, დაწყებითი საფეხურზე პირველი კლასის მასწავლებელმა გამოკვეთილი საჭიროებიდან გამომდინარე (მოსწავლეების გარკვეულ ნაწილს გაუჭირდათ ასოების ცნობა და კითხვის სწავლა) შექმნა ელექტრონული კითხვარი, აწარმოა მინი კვლევა პირველკლასელთა წინა სასკოლო მზაობის, მათი ინტერესების, მშობელთა ჩართულობის შესახებ. ასევე, სკოლამ მეხუთე კლასში იმავე მეთოდით (ელექტრონული კითხვარი) ჩაატარა გამოკითხვა მოსწავლეთა სკოლისადმი დამოკიდებულების შესახებ. მონაცემთა ანალიზი მოიცავდა როგორც თვისობრივ, ასევე რაოდენობრივ კვლევას.

ინდიკატორი 2.3.2.3 - შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

4. მოსწავლეთა შეფასებისას სკოლა ითვალისწინებს სხვადასხვა ფაქტორების შესწავლას: მოსწავლის ინტერესები, ინდივიდუალური შესაძლებლობები, ფსიქო-ემოციური მდგომარეობა, სასკოლო თუ არასასკოლო გარემო. შეფასებისას მულტიფაქტორული მიდგომების გამოყენება იძლევა სასწავლო პროცესში დიფერენცირების საშუალებას და უზრუნველყოფს მოსწავლის პიროვნული განვითარების ხელშეწყობას. დაწყებით საფეხურზე დამრიგელბლები წლის ბოლოს ახდენენ მოსწავლეთა მრავალმხრივ შეფასებას, იქნება ეს მოსწავლის აკადემიური მოსწრება თუ სასკოლო გარემოში მისი ქცევა, მოტივაცია. მოსწავლეებზე ინფორმაციის შეგროვება ხდება მშობელთა ჩართულობით. დაწყებითი კლასების დამრიგებლები და საგნის მასწავლებლები უწყვეტ რეჟიმში ხვდებიან მშობლებს, განიხილავენ მათთან მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებსა და პრობლემებს. ასევე მშობლებთან გასაუბრების შედეგად ადგენენ მოსწავლეთა საჭიროებებს.

ინდიკატორი 2.3.2.4 - შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 08 ნოემბრის №2-280 ბრძანება „სსიპ - ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის მოსწავლეთა ფსიქო-ემოციური მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის შესახებ“;
- სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 08 ნოემბრის №2-281 ბრძანება „სსიპ - ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის მოსწავლეთა ფსიქო-ემოციური მხარდაჭერის ჯგუფის დებულების დამტკიცების შესახებ“;
- სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის 2023 წლის 21 სექტემბრის მშობელთა კრების ოქმი №1;
- სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის I კლასის დამრიგებლის ჩატარებული აქტივობები;
- დამრიგებლის კითხვარი (სასკოლო მზაობის შესახებ);
- კითხვარი მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების კვლევაზე

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში დანერგილი პრაქტიკის მიხედით, ყოველი სასწავლო წლის ბოლოს კათედრები აანალიზებენ გავლილ სასწავლო წელს, გამოკვეთენ ძლიერ და სუსტ მხარეებს, ითვალისწინებენ წლის მანძილზე გამოვლენილი მონიტორინგის შედეგებს, რის საფუძველზეც განსაზღვრავენ სწავლა-სწავლების მიზნებს; სკოლას კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტშიც გაწერილი აქვს ის მიდგომები და პრინციპები, რომლითაც იხელმძღვანელებს კურიკულუმის გადასინჯვისა და რევიზიის პროცესი. 2023-2024 სასწავლო წლის დასრულებისას კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია მოხდება შემუშავებული დოკუმენტის საფუძველზე. ამ ეტაპზე კი ხდება მონაცემთა შეგროვება (შემაჯამებელების ანალიზი, სსსმ მოსწავლეთა შედეგების მონიტორინგი და სხვ.), ხოლო ახალი სასწავლო წლის კურიკულუმი განვლილი პროცესების/წინა წლის კურიკულუმის გაანალიზების შედეგად შემუშავდება..

ინდიკატორი 2.4.1.1 - შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

2. თვითშეფასების კითხვარის მიხედვით სკოლამ 2023-2024 სასწავლო წლის დასაწყისში დაწყებით საფეხურზე კურიკულუმის შემუშავებისას გაითვალისწინა წინა წლის გამოცდილება მოსწავლეთა ინტერესები/საჭიროებები. მასწავლებლებმა მშობლებთან შეხვედრის შემდეგ მოპოვებული ინფორმაციის გადამუშავების, და კათედრაზე მისი განხილვისა და დამუშავების შემდეგ დაინახეს, რომ მოსწავლეები გაცილებით აქტიურად არიან ჩაართულნი სასწავლო პროცესში როდესაც მასწავლებლები იყენებენ მრავალფეროვანს სასწავლო რესურსებს და დავალებას ასრულებენ უშუალოდ სასწავლო პროცესის დროს. მიმდინარე სასწავლო წელს მასწავლებლები ცდილობდნენ, რომ დავალების პროდუქტი შექმნათ უშუალოდ საგაკვეთილო პროცესში და გამოეყენებინათ მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ასევე მოსწავლეთა ჩართულობასა და აკადემიური მოსწრების ხარისხს ზრდის არაფორმალური კუთხით დაგეგმილი აქტივობები, ინტეგრირებული გაკვეთილები. 2023-2024 სასწავლო წლის შეჯამების შედეგად დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები მომავალი წლის კურიკულუმს შეიმუშავებენ წინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით.

ინდიკატორი 2.4.1.2 - შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის 2023 წლის 07 სექტემბრის № 2-193 ბრძანება „სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლაში სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“;
- III კლასში ურთიერთთანამშრომლობის დოკუმენტი;

- სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლაში ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის 2023 წლის 31 მაისის №1 სხდომის ოქმი;
- სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს 2023 წლის 19 ივნისის №6 სხდომის ოქმი;
- სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს 2024 წლის 12 იანვარი №1 სხდომის ოქმი;
- სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის კათედრის სხდომის ოქმები I სემესტრის დასრულების შემდეგ;
- დაწყებითი კლასების შემაჯამებელი დავალების ანალიზები;
- I სემესტრის სსსმ მოსწავლის შუალედური შეფასება საგნებით;
- სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი საბაზო საფეხური	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

5. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
6. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
7. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

8. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. . სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი ''სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია'', რომელიც ერთი მხრივ სასკოლო სასწავლო გეგმის ზოგად ნაწილს აღწერს, მეორე მხრივ კი ასახავს კურიკულუმის განვითარების ეტაპებს, კურიკულუმის განვითარების პროცესის პრინციპებს, განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების მონაწილე მხარეების ფუნქციებს და ჩართულობას. დოკუმენტი კურიკულუმის დანერგვის ეტაპზე მოიაზრებს პროცესის მონიტორინგსა და შეფასებას კომპლექსურად - სასწავლო პროცესზე დაკვირვების, მოსწავლეთა შედეგების, მასწავლებლების საქმიანობის თვითრეფლექსიის საფუძველზე. კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი კათედრის წევრების და დირექციის აქტიურ თანამშრომლობას ითვალისწინებს სასწავლო პროცესის განმავლობაში, კურიკულუმის კვლევა და შეფასება მიმდინარეობს შეთანხმების საფუძველზე, როგორც სწავლების შედეგების დიაგნოსტირების, ასევე მასწავლებლების პედაგოგიური პრაქტიკის გაუმჯობესების და სკოლის ინსტიტუციონალური განვითარების მიმართულებით. დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ თანამშრომლობა ინტენსიური და ეფექტური უნდა იყოს, რაც გულისხმობს სასკოლო საზოგადოების წევრების შეთანხმებას ბაზისურ ღირებულებებზე და ამ ღირებულებების დაცვას ყოველდღიურ სასკოლო ცხოვრებაში. ინტერვიუს დროს აღნიშნეს პედაგოგებმა, რომ სასწავლო წლის განმავლობაში ისინი მუდმივად უზიარებენ ერთმანეთს მოსაზრებებს, ინიშნავენ წარმატებულ აქტივობებს, რასაც ასახავენ თემატურ გეგმებში, ითვალისწინებენ წინა წლის შედეგების ანალიზს და მომავალი სასწავლო წლისათვისაც გეგმავენ გაიზიარონ ამ სასწავლო წელს მიღებული გამოცდილება.

ინდიკატორი 2.1.1.1 - შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება.“

2. თითოეული საგნობრივი ექსპერტი აღნიშნავს, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია საბაზო საფეხურის თითოეული პედაგოგი. მასწავლებლები წინა წლის გამოცდილებაზე დაყრდნობით, ურთიერთანამშრომლობით ქმნიან და ავითარებენ საკუთარ კურიკულუმებს, სწავლა-სწავლების პრინციპებზე დაყრდნობით განსაზღვრავენ სამოქმედო გეგმას კერძოდ, ფორმალური და არაფორმალური განათლების მიმართულებით აქტივობებს, დავალებებს, საწავლო რესურსებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მასწავლებლის როლი, წლის განმავლობაში მის მიერ განხორციელებული რეფლექსიების, მიგნებების სასწავლო პროცესში გაანალიზებაზე, რის საფუძველზეც ხდება კურიკულუმის განვითარება. მასწავლებლები გარდა იმისა, რომ თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ონლაინ კითხვარის ფორმსის დახმარებით გამოიკითხავენ სასკოლო საზოგადეობის წევრებს. სასკოლო საზოგადოების ინტერესების კვლევისას დიდ როლს ასრულებს დამრიგებელი, რომლიც აკვირდება მოსწავლეთა სასკოლო ცხოვრებას თანამშრომლობს მშობლთან, საგნის მასწავლებლებთან სოციალურ მუშაკთან და სკოლის ფსიქოლოგთან. საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებულია სსსმ მოსწავლეთა შესაძლებლობები და საჭიროებები. კომპლექსური დავალებების მოდიფიცირებისას საგნის მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ მშობლებთან, სპეც მასწავლებლებთან, სკოლის ფსიქოლოგთან და საჭიროების შემთხვევაში მოსწავლის ასისტენტთან.

ინდიკატორი 2.1.1.2 - შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება.“

3. სასკოლო სასწავლო გეგმა, მოიცავს საგნობრივ კურიკულუმებს, არის საჯარო დოკუმენტი, წარედგინება სამეურვეო საბჭოს შესათანხმებლად და მტკიცდება პედაგოგიურ საბჭოზე. წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშვებისა და განვითარების დოკუმენტი

არსებული პრაქტიკის ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენს. მასში გაწერილია მასწავლებლების, კათედრის თავჯდომარეების, დირექციის წვლილი კურიკულუმის შემუშავების პროცესში. მეთოდოლოგიის მიხედვით, სასწავლო თემაზე მუშაობისას მასწავლებელი სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციას უზიარებს მოსწავლეების მშობლებს, ეძებს ახალ საშუალებებს სასწავლო პროცესში მათი უფრო მეტად ჩართვისთვის. აფასებს სასწავლო თემის დაგეგმვისა და განხორციელების შედეგებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს ახალი სასწავლო წლის კურიკულუმისათვის. კურიკულუმში, მშობლებთან შეთანხმებით, განისაზღვრება მეორე და მესამე უცხოური ენები, ხოლო არჩევითი საგნებისა და წრეების შერჩევაში მონაწილეობენ მოსწავლეები.

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში ჩანს, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის შემუშავებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება.

ინდიკატორი 2.1.1.3 - შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება.“

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ სკოლას აქვს მუდმივი კომუნიკაცია სასკოლო საზოგადოების წევრებთან. მშობლებთან კომუნიკაციაში მთავარ როლს ასრულებს დამრიგებლები, რომლებიც სხვადასხვა ფორმით აწვდიან ყველა აუცილებელ ინფორმაციას მშობლებს. სკოლის ყველა მნიშვნელოვანი დოკუმენტი (სასკოლო - სასწავლო გეგმა, შინაგანაწესი, საგნობრივი პროგრამები, სადამრიგებლო საათის პროგრამა, არაფორმალური სწავლების აქტივობები და სხვ.) ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ნებისმიერი წევრისთის. სკოლა ინფორმაციის გასაჯაროების მიზნით იყენებს სხვადასხვა საშუალებებს :

- სკოლის ვებგვერდი;
- ელექტრონული ფოსტა;
- პორტალი ვებგვერდზე;
- სოციალური მედია;
- ბეჭდვითი მასალები;
- საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან.

პროცესი არის გამჭირვალე და საჯარო, კურიკულუმები ხელმისაწვდომია დაინტერესებული საზოგადოებისთვის. პროცესის გამჭირვალობას ადასტურებს განხორციელებული ღონისძიებების ამსახველი მასალები: ინტეგრირებული გაკვეთილები, არაფორმალური განათლების აქტივობები, სასკოლო პროექტები. მშობლები სისტემატურად არიან ინფორმირებულები თავიანთი შვილების სასწავლო პროცესში ჩართულობის შესახებ, მათ შორის კომპლექსური დავალების ბარათების მეშვეობით. სკოლას გააზრებული აქვს, რომ კურიკულუმზე მუშაობის პროცესი ციკლურია და მასში ჩართულობა გულისხმობს მთელი წლის მანძილზე მიმდინარე პროცესებში სასკოლო საზოგადოების აქტიურ თანამონაწილეობას, რასაც არეგულირებს სამოქმედო გეგმა, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სასკოლო საზოგადოების და სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები.

ინდიკატორი 2.1.1.4 - შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება.“

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალქ თბილისის №18 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 07 სექტემბრის №2-193 ბრძანება „სსიპ ქალქ თბილისის №18 საჯარო სკოლაში სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ;
- სსიპ ქალქ თბილისის №18 საჯარო სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა (საბაზო საფეხურის კურიკულუმები);
- სსიპ ქალქ თბილისის №18 საჯარო სკოლის საბაზო საფეხურის სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- ონლაინ გამოკითხვის (Forms-ში) კითხვარები;
- 2023 წლის 07 სექტემბრის სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს ოქმი №12 (ფილოსოფიის განხილვა/შეთანხმება);
- 2023 წლის 07 სექტემბრის სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს ოქმი №7 (ფილოსოფიის დამტკიცება);
- სსიპ ქალქ თბილისის №18 საჯარო სკოლის კათედრის ოქმები (კურიკულუმის შემუშავება);
- მშობელთა კრების 2023 წლის 21 სექტემბრის №1 ოქმი (სასკოლო გეგმის გაცნობაზე);
- კომპლექსური დავალების მშობლის ბარათები;
- სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის კათედრების ოქმი I სემესტრის დასრულების შემდეგ.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;
3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;

5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საგნობრივი კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ეს გამოჩნდა კურიკულუმში ჩაშენებულ კომპლექსურ დავალებებში, რომლებიც სახელმწიფო ენის კათედრამ შეარჩია მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად. სწავლა-სწავლების პროცესი ისეა დაგეგმილი საბაზო საფეხურზე, რომ ორიენტირებულია მოსწავლეზე და მიმართულია ესგ-ის, ზგემ-ის და საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევაზე. საგაკვეთილო პროცესში მასწავლებლის მხრიდან გამოყენებულია სხვადასხვა აქტივობა, რომლებსაც მივყავართ კონკრეტულ პროდუქტამდე. საბაზო საფეხურზე სწავლის მიზნები ფორმულირებულია სტანდარტის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით. თითოეული თემის ფარგლებში მოსწავლეები ამუშავებენ სტანდარტის შედეგებსა და სამიზნე ცნებებს. სიღრმისეული სწავლის უზრუნველყოფა ხორციელდება კონსტრუქტივისტული მიდგომით, რაც გამოიხატება იმაში, რომ კურიკულუმი მუშავდება მოსწავლეთა წინარე ცოდნაზე დაყრდნობით. სავალდებულო თემის ფარგლებში გამოკვეთილია ძირითადი საკითხები, შერჩეული სასწავლო პროგრამა ეფუძნება სახელმძღვანელოებით შემოთავაზებულ მასალას. საგნობრივ კურიკულუმებში ფორმულირებულია საფეხურებრივი საგნის სტანდარტები. მათი რეალიზების გზები ნაჩვენებია კომპლექსური დავალებების სახით. სწავლის შედეგები თითოეულ საგანში მოცემულია სამიზნე ცნებების სახით. შემაჯამებელ და კომპლექსურ დავალებებში გამოკვეთილია კონსტრუქტივიზმის პრინციპები. მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი ეფუძნება მიდგომას, რომ ყველა მოსწავლე არის უნიკალური თავისი შესაძლებლობებით, ფსიქო-ემოციური და ფიზიკური მახასიათებლებით, სწავლის სტილით, გამოცდილებით, ინტერესებით და საჭიროებებით. ამის მაგალითია საბაზო საფეხურზე განხორციელებული კომპლექსური დავალებები, ტექსტების დამუშავება, აუდიო- ვიდეო რესურსების გამოყენება, სხვა საგნებში მიღებული ცოდნის ტრანსფერი და ინტეგრირება. მოსწავლების ინტერესებზე, ცოდნის მრავალმხრივ გააზრებაზე დაგეგმილ სასწავლო პროცესს ცხადყოფს ასევე სახელმწიფო ენის კათედრის მიერ საბაზო საფეხურზე განხორციელებული აქტივობები: მოსწავლეთა გააქტიურებისათვის სკოლაში შექმნილია კლუბები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩართვას მათი ინტერესების შესაბამისად სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტში. მაგალითად, ლიტერატურული კლუბი - „საუბრები ლიტერატურაზე" გეგმავს და ახორციელებს ისეთ აქტივობებს, რომელებიც ხელს უწყობს მოსწავლეებში წიგნიერების დონის ამაღლებას, კითხვისა და კრიტიკული აზროვნების, განსჯისა და წვდომის უნარ-ჩვევის გამომუშავებას, სოციალური კომუნიკაციის უნარების განვითარებას და სხვ. ამასთან მიემართება სახელმწიფო ენის კურიკულუმით განსაზღვრულ სასწავლო **მიზნებს. სახელმწიფო ენის ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა:** სასურველია, მასწავლებლებმა მომავალი სასწავლო წლიდან ისე დაგეგმონ სასწავლო პროცესი, რომ აქცენტი გააკეთონ თემის ფარგლებში უფრო მეტი კომპლექსური ბუნების დავალების განხორციელებაზე ყველა სამიზნე ცნების გააქტიურებით.

სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით სასკოლო კურიკულუმის განვითარება უწყვეტი პროცესია, რომელიც გულისხმობს კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების, გადასინჯვისა და რევიზიის უწყვეტ ციკლს.

წარმოდგენილი დოკუმენტიდან ირკვევა, რომ სკოლა კურიკულუმის შემუშავების და განვითრების პროცესში ხელმძღვანელობს იმ მეთოდებით, რომელიც იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. დოკუმენტი ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს: კურიკულუმის

სტრუქტრული ერთეულები, კურიკულუმის დანერგვის ინსტრუმენტები, უცხოური ენის საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო, რომელშიც გათვალისწინებულია შუალედური სასწავლო მიზნები კომპლექსური დავალებების სახით, შეფასების ინსტრუმენტები, სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციები და მონაწილეობის ფორმები კურიკულუმის განვითარების პროცესში. **უცხო ენის ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა: სასურველია მე-7,8,9 კლასების ინგლისური ენის კურიკულუმში, წარმოდგენილი კომპლექსური დავალებებისთვის აისახოს კომპონენტები „მაგალითები შედარებისთვის" და „კონტექსტ- მაგალითები".**

ინდიკატორი 2.1.2.1 - შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება."

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რადგან მასში არის გათვალისწინებული მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ცვლილებები. კომპლექსურ დავალებებში, პირობის შინაარსთან ერთად, მითითებულია მოსწავლის მიერ შესასრულებელი პროდუქტის სახე. კომპლექსური და შემაჯამაბელი დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეებში გრძელვადიანი მიზნების მიღწევას, კერძოდ, შემოქმედებითი, კრიტიკული აზროვნების, სოციალური უნარების განვითარებას და ა.შ. კომპლექსურ და შემაჯამებელ დავალებებში გაწერილია სამიზნე ცნებები და შედეგები. კომპლექსური დავალებები, რომლებიც მასწავლებლებმა განახორციელეს საკუთარ კლასებში, ითვალისწინებს გრძელვადიანი მიზნებს. მედიაწიგნიერების კვირეულის ფარგლებში საბაზო საფეხურზე დაიგეგმა და ჩატარდა გაკვეთილი, რომელიც მოიცავდა არა მხოლოდ ინფორმაციის გადაცემას, არამედ საგნობრივი კონტექსტების გათვალისწინებით კრიტიკული აზროვნების უნარის გამომუშავებასა და მედიაწიგნიერების ცნობიერების ამაღლებას. სასკოლო სასწავლო გეგმა და საგნობრივი კურიკულუმი გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმიდან, მორგებულია სასკოლო საჭიროებებს და სრულად პასუხობს ესგ-ს მიერ დადგენილ მოთხოვნებს. სამიზნე ცნებების სრულად დაფარვის მიზნით მომავალში გაიზრდება კომპლექსური დავალებების რაოდენობა კლასებში. საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები საზოგადოებრივ მეცნიერებების საგნებში მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და საფეხურის შედეგები). როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან (საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის სხდომის ოქმი) საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა ახორციელებს მათ შორის არაფორმალური განათლების აქტივობებს. (მაგ; 2022-2023 სასწავლო წელს დაწყებით და საბაზო საფეხურზე განხორციელებული სასწავლო-სასკოლო პროექტი „ერთად უკეთესი გარემოსთვის"; ასევე აღსანიშნავია გრძელვადიანი სასწავლო პროექტი „მოძრავი ბიბლიოთეკა". პროქტი მოიცავს წლის განმავლობაში განხორციელებულ/განსახორციელებელ მრავალფეროვან აქტივობებს, საგანთაშორის კავშირებს, არაფორმალური განათების მიმართულებით დაგეგმილ აქტივობებს (მაგ. შეხვედრა ავტორთან). გლობალური უნარების განვითარებს ხელს შეუწყობს ფორმალური განათლების პროცესი მათ შორის კურიკულუმით გათვალისწინებული კომპლექსური დავალებები (მაგ; საგანში ,,სამოქალაქო განათლება" 7-ე კლასის კურიკულუმში მოცემული კომპლექსური დავალება - დაწერეთ სტატია მოზარდებს შორის წარმოქნილ კონფლიქტებზე, მის მართვასა და გადაჭრის გზებზე - მოსწავლეს განუვითარებს კრიტიკული აზროვნების, ემპათიის და პრობლემური სიტუაციიდან გამოსავლის ძიების უნარებს, რაც დადებითად აისახება მის მოქალაქეობრივ და პიროვნულ ჩამოყალიბებაზე. საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებლებთან შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების გასაუმჯობესებელ მხარეებზე. **საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა:** სასურველია, ისტორიის, გეოგრაფიის და მოქალაქეობის ზოგიერთ თემაში დაემატოს ერთი ან რამდენიმე ცნება, გეოგრაფიის კურიკულუმის კომპლექსურ დავალების იდეაში გამოიკვეთოს რა პროდუქტი უნდა შექმანან მოსწავლეებმა, 9-ე კლასის გეოგრაფიის კურიკულუმში სავალდებულო თემებში დაემატოს სხვა საკითხებიც ...)

ინდიკატორი 2.1.2.2 - შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება."

3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია საგანმანათლებლო რესურსის ჩამონათვალი: გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელო/სერია, რომლებსაც საგნობრივ კათედრებზე მასწავლებლები ერთობლივად ირჩევენ, ასევე დამატებითი საგანმანათლებლო (მათ შორის, ელექტრონული) რესურსები; სხვადასხვა სახის თვალსაჩინოება (რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვ.). სკოლა აღჭურვილია მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, აქვს ბიბლიოთეკა და უზრუნველყოფს სკოლაში არსებული საგანმანათლებლო რესურსების (ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია და სხვ.) ხელმისაწვდომობას მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის. კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო მიზნების განხორციელებისას მასწავლებლები არჩევენ და თავად ქმნიან მრავალფეროვან სასწავლო რესურსს. ასევე, საგანში „გეოგრაფია“ 7 - კლასის კურიკულუმში წარმოდგენილია როგორც ვიდეო რესურსები, ასევე საინტერესო პუბლიკაციები ამა თუ იმ საკითხის შესწავლის პროცესში. მეშვიდე კლასში ფიზიკაში მოსწავლეებმა ინდივიდუალურად იმუშავეს რესურსის შექმნაზე. დაამზადეს სახალისო რესურსი- კოლოფი "სიურპრიზი". ეს რესურსი მოსწავლეებს დაეხმარათ დრეკადობის ძალის დემონსტრირებაში, ასევე მასწავლებელს გამოადგება სხვა კლასებში აღნიშნული საკითხის დამუშავებისას. რესურსი შესაძლებელია სხვადასხვა რთული მოწყობილობის ნაწილადაც გამოიყენონ. **სახელმწიფო ენების ექსპერტმა შესაბამის კათედრას მისცა რჩევა: სასურველია მეტი აქცენტი გაკეთდეს თავად მოსწავლეებისა და მასწავლებლების მიერ რესურსების შექმნასა და მათ გამოყენებას სასწავლო პროცესში.**

ინდიკატორი 2.1.2.3 - შეფასდა, როგორც „შეესაბამება.“

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის და გასაუბრების შედეგებზე დაყრდნობით, სკოლაში, ყველა მოსწავლისთვის უზრუნველყოფილია განათლების მიღება ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით. სწავლების პროცესში გათვალისწინებულია სსსმ მოსწავლეთა ინტერესები. წლის დასაწყისში მოსწავლის შესაძლებლობების, მათი ძლიერი და სუსტი მხარეების გათვალისწინებით, მასწავლებლები ინკლუზიური განათლების მიმართულებით ჩართულ სპეციალისტებთან ერთად შეიმუშავებენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს, ქმნიან კომლექსური ბუნების დავალებებს, რომლის ადაპტირება და მოდიფიცირება მარტივად შესაძლებელია საჭიროების შემთხვევაში. საგანში ,, ისტორია " 8- კლასის კურიკულუმში მოცემულია კომპლექსური დავალება - სტატია XI-XIII სს-ში საქართველოს მეფეებისა და ჯვაროსნების უშუალო კავშირის შესახებ - რომელიც გულისხმობს საკითხის წარმოდგენას მრავალფეროვნად როგორც ფორმის, ასევე შინაარსის მიხედვით, დავალების შესრულების მიმდინარეობისას შესაძლებელია ცალკეული აქტივობების დროს დიფერენცირება როგორც რესურსების, ასევე დავალებები მიხედვით. სწავლების პროცესში გათვალისწინებულია სსსმ მოსწავლეთა ინტერესები. ასევე უნდა აღინიშნოს სკოლაში განხორციელებული პროექტი, რომელიც მიეძღვნა დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებს - ,,ჩვენთან ერთად და არა ჩვენთვის“. პროექტი განხორციელდა სწავლების სამივე საფეხურზე. შემაჯამებელი დავალებების ანალიზისა და დიაგნოსტიკური წერების ანალიზის საფუძველზე მათემატიკის კათედრა მოსწავლეთა საჭიროებების მიხედვით ახორციელებს როგორც რემედიაციის პროგრამებს, ასევე დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას უწევს მოსწავლეებს.

ინდიკატორი 2.1.2.4 - შეფასდა, როგორც „შეესაბამება."

5. საბაზო საფეხურზე დიდი ყურადღება ექცევა განმავითარებელ შეფასებას, მასწავლებლები ეცნობიან და იყენებენ განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან ინსტრუმენტებს. აცნობიერებენ, რომ განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. მოსწავლეები თავად ერთვებიან შეფასების კრიტერიუმების შემუშავების პროცესში, თვითშეფასების რუბრიკების შემუშავებაში. სასკოლო სასწავლო გეგმით დამტკიცებულია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. ასევე კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებულია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც გამომდინარეობს შედეგების ინდიკატორებიდან და კომპლექსურის პირობიდან. მასწავლებლებმა წარადგინეს მათ მიერ შექმნილი განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები. დაასაბუთეს, თუ მათი გამოყენება როგორ შეუწყობს ხელს სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტურად წარმართვას. მომავალი სასწავლო წლისათვისაც შემუშავდება შეფასების რუბრიკები, რომელთა შექმნის პროცესში კვლავ ჩაერთვებიან მოსწავლეებიც, რაც დაეხმარება მათ გაიაზრონ შესასწავლი საკითხის მიზნები და აიღონ პასუხისმგებლობა. კურიკულუმში გათვალისწინებულია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საგნობრივი ექსპერტის თქმით, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. როგორც მასწავლებლებთან ინტერვიუებისას გამოიკვეთა, ისინი დიდ ყურადღებას უთმობენ განმავითარებელ შეფასებას კონკრეტულ კომპლექსური ხასიათის დავალებაზე მუშაობისას. ყოველთვის გასცემენ ზეპირსიტყვიერ განმავითარებელ კომენტარს, რაც უბიძგებს მოსწავლეებს დაშვებული შეცდომის გამოსწორებისკენ და აჩვენებს ამ გამოსწორების შესაძლო გზებს. **სპორტის საგნობრივმა ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლამ წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების საგნობრივი რუბრიკები კურიკულუმში ასახული მხოლოდ ზოგიერთი თემისათვის, შესაბამისად სკოლას მიეცა რჩევა: შეიმუშაოს ყველა თემის შესაბამისი შეფასების მექანიზმი.**

ინდიკატორი 2.1.2.5 - შეფასდა, როგორც „შეესაბამება."

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა (საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმებით);
- პროექტი „მოძრავი ბიბლიოთეკა";

- სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- დაუნის სინდრომის დღე;
- საბაზო საფეხურის შეფასების რუბრიკები;
- სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის კათედრის ოქმები (კურიკულუმის შემუშავება);
- სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის საბაზო საფეხურის სასწავლო რესურსები.
- ადაპტირებული კომპლექსური დავალება სსსმ მოსწავლისთვის.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*
-

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

6. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;
7. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
8. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
9. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
10. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. საგნობრივ კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტირებს, სადაც მკაფიოდ ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, თემატურ ბლოკებს, საგნობრივ საკითხებს (რესურსებს, მასალას) შორის. შუალედური სასწავლო მიზნები (კომპლექსური დავალებები) აზუსტებს სამიზნე ცნენების ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, უზრუნველყოფს მკვიდრი წარმოდგენების განზოგადებას. შერჩეული დავალებებით, არაფორმალური მიმართულებით, დაგეგმილი აქტივობებით, მოსწავლეს გრძელვადიანი სამიზნე ცნებების გააზრება საგნობრივ და ცხოვრებისეული კონტექსტებთან მიმართებით უწევს. მოსწავლეს საშუალება ეძლევა ჩაერთოს შემოქმედებით პროცესში. შეიძინოს ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზების უნარ-ჩვევები.

ინდიკატორი 2.2.1.1 - შეფასდა, როგორც „შეესაბამება."

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით (მათ შორის, სასკოლო-სასწავლო გეგმა) და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად ირკვევა, სკოლაში დამკვიდრებული თანამშრომლობითი კულტურის პირობებში, სკოლა ახერხებს რეაგირება მოახდინოს, როგორც სამინისტროს მიერ განათლების პოლიტიკაში განხორციელებული ცვლილებების, ასევე სკოლაში შექმნილი სიტუაციის შესაბამისად. გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ სკოლას ჰყავს ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი ხელოვნების მიმართულებით და ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, რომლებიც მჭიდროდ თანამშრომლობენ სხვადასხვა კათედრებთან. სკოლა დროულად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. მაგალითად, სკოლის პედაგოგიურმა კოლექტივმა განიხილა და თავისი სკოლის საჭიროებების მიხედვით მიიღო გადაწყვეტილებები 2023 წლის 21 ნოემბერში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის №40/ნ ბრძანების დანართით დამტკიცებულ ეროვნულ სასწავლო გეგმაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად. კერძოდ, შეიცვალა სასკოლო სასწავლო გეგმის სტრუქტურა და ახლებურად ჩამოყალიბდა შემადგენელი ნაწილები. სკოლის გადაწყვეტილებით არგუმენტირებული მსჯელობის შემდეგ განხორციელდა შემდეგი ცვლილებები: შეცვალა ინკლუზიური განათლების მარეგულირებელი ნორმები, ასევე მიმდინარე სასწავლო წელს უცვლელად დატოვა შეფასების 10-ქულიანი სისტემა, საგნობრივი კათედრები და სხვ. გადაწყვეტილებების მიღების პროცესში აქტიურად იყო ჩართული თითოეული კათედრა.

ინდიკატორი 2.2.1.2 - შეფასდა, როგორც „შეესაბამება."

3. კათედრაზე შემუშავებულია როგორც სხვადასხვა ტიპის შემაჯამებელი სამუშაოების განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების სქემები. სხვადასხვა ტიპის დავალებებისათვის განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს მოსწავლეებსა და მშობლებს აცნობენ სასწავლო წლის დასაწყისში და მთელი სასწავლო წლის განმავლობაშიც. თითოეული მასწავლებელი ვალდებულია მოსწავლეებს გააცნოს ის კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც ფასდებიან მოსწავლეები სხვადასხვა ტიპის დავალებების შესრულების დროს, რაც უზრუნველყოფს მის გამჭვირვალობას. მნიშვნელოვანია, რომ შეფასება მიემართებოდეს ესგ-ში განსაზღვრულ საფეხურეობრივ შედეგებს კონკრეტულ სამიზნე ცნებებთან მიმართებით. მასწავლებლების განმავითარებელი კომენტარები ასახულია ელექტრონულ ჟურნალში. თუმცა სკოლაში არსებული შეფასების სისტემის სრულყოფა კიდევ ერთი გამოწვევაა და გარკვეული ცვლილებების განხორციელებაა საჭირო. სამომავლოდ კათედრა გეგმავს, რომ შეფასების სისტემა გახდეს უფრო მეტად ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი.

ინდიკატორი 2.2.1.3 - შეფასდა, როგორც „შეესაბამება."

4. „სასკოლო სასწავლო გეგმაში სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, სადაც ჩამოყალიბებულია ვერიფიკაციის მიზნები და ამოცანები, პრინციპები, ვერიფიკაციის პროცესი, შეფასების სისტემის ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირები. მოსწავლეთა სასწავლო შედეგებზე დაკვირვება მთელი წლის განმავლობაში ციკლური პროცესია. სკოლა აქტიურად ახორციელებს მიმდინარე სასწავლო პროცესის ანალიზსა და მოსწავლეთა სემესტრული/წლიური აკადემიური მიღწევების ანალიზს. 2023-2024 სასწავლო წლის მიმდინარე/წლიური შედეგების შეჯამება/ანალიზი კი შემუშავებული ვერიფიკაციის დოკუმენტის შესაბამისად მიმდინარეობს".

ინდიკატორი 2.2.1.4 - შეფასდა, როგორც „შეესაბამება."

5. 2022-2023 სასწავლო წლამდე სკოლა აწარმოებდა მატერიალურ ჟურნალს, 2022-2023 სასწავლო წლიდან სკოლა გადავიდა ელექტრონული ჟურნალის წარმოებაზე. დირექტორის მოადგილე პასუხისმგებელია ჟურნალების მონიტორინგზე და პერიოდულად ამოწმებს მასწავლებლების მიერ ჟურნალის წარმოებას. სკოლაში ინახება დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები კანონმდებლობით დადგენილი ვადით. სკოლას, დირექტორის ბრძანებით ჰყავს არქივზე პასუხისმგებელი პირი. სკოლაში დაარქივებულია და ინახება: ანბანური წიგნი, ატესტატების წიგნი, ბრძანების წიგნი, პირადი საქმეები, პედაგოგიური საბჭოს ოქმები, სამეურვეო საბჭოს ოქმები, შემოსული და გასული წერილების აღრიცხვის ჟურნალი და სხვა.

ინდიკატორი 2.2.1.5 - შეფასდა, როგორც „შეესაბამება."

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის კათედრის სხდომის ოქმები I სემესტრის დასრულების შემდეგ;
- სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის 2023 წლის 22 დეკემბრის პედაგოგიური საბჭოს №10 ოქმი;
- სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის 2024 წლის 12 იანვრის პედაგოგიური საბჭოს №1 ოქმი;
- სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის 2024 წლის 09 იანვრის ხარისხის ჯგუფის №1 ოქმი;
- შესრულებული შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზები;
- საბაზო საფეხურის შეფასების რუბრიკები;
- სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის ისგ-ს 2023 წლის 21 ნოემბრის სხდომის ოქმი №2;
- სსსმ მოსწავლის შუალედური შეფასება I სემესტრი;

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

5. კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას;
7. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
8. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას გააჩნია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სასწავლო პროცესის ციფრული ტექნოლოგიებით წარმართვისთვის. შესაბამისად, სკოლა უზრუნველყოფს საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობისას კომპიუტერული რესურსების გამოყენებას. სკოლა სრულად არის დაფარული ინტერნეტით. საკლასო ოთახების უმრავლესობა აღჭურვილია პროექტორით. მასწავლებლების ნაწილს აქვს პირადი პორტატული კომპიუტერი. საგნობრივ კურიკულუმებში მოცემულია მრავალფეროვანი ძირითადი და დამხმარე რესურსები. კომპიუტერში ჩატვირთულია საინფორმაციო რესურსები, როგორც მოსწავლეებისათვის, ისე მასწავლებლებისათვის. გარდა ამისა, სკოლისათვის ხელმისაწვდომია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული გზამკვლევები, მეთოდური სახელმძღვანელოები და სხვა რესურსები. სკოლის ბიბლიოთეკაში დაცულია 10000-მდე წიგნადი ფონდი, სადაც მოცემულია მოსწავლეთა ასაკის შესაბამისი ლიტერატურა, სახელმძღვანელოები და პერიოდული გამოცემები, რომლებსაც კათედრის წევრები საგაკვეთილო პროცესში იყენებენ. მასწავლებლები და მოსწავლეები თავადაც ქმნიან სასწავლო რესურსებს. სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, რომელიც უმეტესწილად აღჭურვილია საჭირო ინვენტარით, განთავსებულია კოლბები; სქემები, მულაჟები; მიკროსკოპები; მაგნიტები; პლასტმასის ცილინდრები; კომპასი და სხვა კურიკულუმით განსაზღვრული კომპლექსური დავალებების გასახორციელებლად საჭირო რესურსები, რომლის დახმარებითაც მოსწავლეებს შეუძლიათ პრაქტიკული მუშაობა, კვლევის ჩატარება, მისი შედეგის აღრიცხვა, გაანალიზება და სათანადო დასკვნის გამოტანა. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ აქტიურად სარგებლობენ ვირტუალური ლაბორატორიითაც.

ლაბორატორიაში განთავსებულია ცეცხლგამძლე კარადა სხვადასხვა ქიმიური რეაქტივების შესაბამისი წესით შესანახად, გაყვანილია ონკანი. **თუმცა, ლაბორატორიას არ აქვს გამწოვი კარადა. აღსანიშნავია, რომ ვიზიტის პერიოდში მიმდინარეობდა მოლაპარაკება შესაბამის სამსახურთან გამწოვი კარადის დამონტაჟებასთან დაკავშირებით.**

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვით დაწესებულება აღნიშნულ ხარვეზს გამოასწორებს 27.05.2025 წლამდე. სკოლამ წარმოადგინა შემდეგი სახის

მტკიცებულებები; დანართი 3 - 2024 წლის 27 მაისის №577184 წერილი სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასრუქტურის განვითარების სააგენტოს. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი ფასდება, როგორც „მეტწილად შესაბამისი“.

ინდიკატორი 2.2.2.1 - შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისი.“

2. სასკოლო სასწავლო გეგმაში კათედრებს წარმოდგენილი აქვთ საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი, ამასთან სასკოლო სასწავლო გეგმას თან ერთვის ძირითადი საგანმანათლებლო რესურსების (გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების) ჩამონათვალი კლასების მიხედვით და დამატებითი საგანმანათლებლო რესურსები. მასწავლებლები დამატებითი რესურსის შერჩევისას პრიორიტეტს ანიჭებენ ოფიციალურ ვებ-გვერდებს და საგანმანათლებლო მატერიალურ თუ არამატერიალურ რესურსს. სკოლის მიერ გამოყენებულ დამხმარე სასწავლო რესურსს კათედრაზე გავლილი აქვს ვალიდაცია.

ინდიკატორი 2.2.2.2 - შეფასდა, როგორც „შეესაბამება.“

3. სკოლას საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აქვს შესაბამისი მატერიალური რესურსი და საჭირო ინფრასტრუქტურა, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. ასევე შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, რომლითაც განსაზღვრულია სკოლის მოსწავლეების, მასწავლებლების და სხვა თანამშრომლების მიერ სკოლის სხვადასხვა რესურსით სარგებლობის პირობები. სკოლას აქვს საჭირო რაოდენობის მერხები, სკამები, კომპიუტერული ტექნიკა, წიგნადი ფონდი და სხვა საჭირო მატერიალური თუ არამატერიალური რესურსები.

ინდიკატორი 2.2.2.3 - შეფასდა, როგორც „შეესაბამება.“

4. სკოლაში სულ 45 მასწავლებელია, აქედან დაწყებით საფეხურზე ასწავლის 3 წამყვანი, 24 უფროსი და ერთი მოწვეული მასწავლებელი. პერსონალის მართვისა და განვითარების კუთხით, სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომლის მიზანია, თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება. ასევე, სკოლის მიზანია იმგვარი სამუშაო გარემოს შექმნას, სადაც თითოეულ თანამშრომელს ეძლევა საკუთარი პოტენციალის და პირადი მისწრაფებების რეალიზების შესაძლებლობა.

ინდიკატორი 2.2.2.4 - შეფასდა, როგორც „შეესაბამება.“

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის 2023 წლის 18 აპრილის სამეურვეო საბჭოს ოქმი №6 (დამტკიცებულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა);
- სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის მასწავლებლების დამადასტურებელი სერტიფიკატები;
- სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის ციფრული განვითარების გეგმა;
- სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის საბაზო საფეხურის სასწავლო რესურსები;
- სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის კათედრის ოქმები დამხმარე რესურსების ვალიდაციის შესახებ.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება
2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

4. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
5. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას;
6. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დასტურდება, რომ სკოლის სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმის მეთოდოლოგიის დოკუმენტის შესაბამისად. კურიკულუმის განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილია იმის აღწერა, თუ როგორ მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში (მონიტორინგი) და რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი (შეფასება). სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან. შესაბამისად, მოსწავლეთა სასწავლო შედეგების, დაგეგმილი აქტივობების ეფექტიანობის შესახებ მონაცემები განიხილება კათედრების სამუშაო შეხვედრებზე და ზიარდება მთელი სასკოლო საზოგადოებისთვის. ამასთან, სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც გულისხმობს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვას, განხორციელებას და შემდგომ შეფასებასთან დაკავშირებული აქტივობების გაუმჯობესებისკენ მიმართულ ღონისძიებებს.

ინდიკატორი 2.3.1.1- შეფასდა, როგორც „შეესაბამება."

2. როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს სკოლაში დანერგილია მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი პრობლემების იდენტიფიცირების მეთოდები. ამ მხრივ სკოლაში დანერგილია რამდენიმე კარგი პრაქტიკა: მოსწავლეთა აკადემიური შედეგების ანალიზი, შემაჯამებელი დავალების და კომპლექსური/შემოქმედებითი დავალების ანალიზი, მშობელთა ჩართულობის მექანიზმი და სხვ. მეცხრე კლასში სახელმწიფო ენის კათედრაზე დაიგეგმა და განხორციელდა დიაგნოსტიკური წერა, რომლის მიზანი კონკრეტულ სამიზნე ცნებებთან, საფეხურის სტანდარტთან მიმართებით მოსწავლის ცოდნის დიაგნოსტირება იყო. მოსწვლეთა გამოკვეთილი საჭიროებების გათვალისწინებით (პრაქტიკული გრამატიკული კომპეტენციების გაზრდა, ორთოგრაფია/მორფოლოგია, პუნქტუაცია) დაიგეგმა და განხორციელდა გრამატიკის კვირეული. განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ანალიზში აისახება კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, განისაზღვრება ხელისშემშლელი ფაქტორები და დაიგეგმება ცვლილებები კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის. კათედრა აპირებს, რომ მომავალი სასწავლო წლიდან სადიაგნოსტიკო ტესტები და შეფასების ინსტრუმენტები კვლავ აქტიურად გამოიყენოს. ასევე შეიმუშაონ კომპლექსური დავალებების შეფასებისა და მოსწავლეთა სხვადასხვა უნარის შესამოწმებელი რუბრიკები. საზოგადოებრივი კათედრის მიერ მოწოდებულ მასალებში არის საბაზო საფეხურზე საგანში „მოქალაქეობა" განხორციელებული კომპლექსური დავალების შესრულების ამსახველი მასალა, მოსწავლეთა ნამუშევრები, განმავითარებელი შეფასებები და გაწეული საქმიანობის რეფლექსიის დოკუმენტები.

ინდიკატორი 2.3.1.2 - შეფასდა, როგორც „შეესაბამება."

3. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებსა და მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლას გაცნობიერებული აქვს მონიტორინგისა და შეფასების სისტემის აუცილებლობა და პროცესი აღქმულია მხარდაჭერის მექანიზმად. კათედრაზე მასწავლებლები გამოცდილების გაზიარებისა და კონსტრუქციული უკუკავშირის მიღების მიზნით, კრიტიკული მეგობრის როლში ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე და აძლევენ რჩევებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე. გარდა ამისა სასკოლო კურიკულუმის

დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრების, დირექციისა და ხარისხის ჯგუფის ინტენსიურ თანამშრომლობასთან. ვერბალურად, შუალედურ შემაჯამებელ სამუშაო შეხვედრებზე განიხილება სწავლების მიმდინარე პროცესი, შეთანმებულად იგეგმება საჭიროებაზე ორიენტირებული შემხვედრი ნაბიჯები.

ინდიკატორი 2.3.1.3 - შეფასდა, როგორც „შეესაბამება."

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- „სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის დამტკიცების შესახებ" 12.04.2023 წლის №2-58 ბრძანება;
- სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლაში ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის 2023 წლის 31 მაისის №1 სხდომის ოქმი;
- სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის 2023 წლის 02 ოქტომბრის სხდომის ოქმი №3;
- კოლეგის გაკვეთილზე დაკვირვების დოკუმენტი;
- საბაზო საფეხურის შემაჯამებელი დავალების ანალიზები;
- I სემესტრის სსსმ მოსწავლის შუალედური შეფასება საგნებით;
- სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.
- გაკვეთილზე დაკვირვება საბაზო საფეხური ქართული ენა ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის ფარგლებში;
- მერვე კლასი ქართული ენა მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტირება;
- სასკოლო დიაგნოსტიკური წერების ანალიზი ქართულ ენასა და ლიტერატურაში;
- საზოგადოებრივი კათედრის მასწავლებლების ურთიერდასწრების დოკუმენტები;
- საზოგადოებრივი კათედრის მასწავლებლების მიერ შემაჯამებელი / კომპლექსური / პროექტული დავალებების რეფლექსიის დოკუმენტები.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

5. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
6. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
7. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
8. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ნამუშევრები და მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებთ. პედაგოგები სწავლა-სწავლების პროცესში აქტიურად იყენებენ მოსწავლის თვითშეფასების ფორმებსაც, რაც ერთგვარი უკუკავშირია სწავლის პროცესის. შემაჯამებელი დავალების დასრულების ბოლოს მასწავლებელი აკეთებს რეფლექსიას და ახდენს დავალების შეფასებას, არა მარტო პროცენტულად რამდენი მოსწავლე რა შედეგზე გავიდა განმსაზღვრელი შეფასების მხრივ, არამედ გამოაქვს დასკვნები რომელ საკითხს/აქტივობას კარგად გაართვეს თავი მოსწავლეებმა და რომელი საკითხში/აქტივობაში არის ჩავარდნა. სამომავლოდ დაგეგმილი რემედიაციის საშუალებით ისინი ახორციელებენ იმ საკითხებზე მუშაობას, რომლებიც ნაკლებად დაძლია მოსწავლეთა უმეტესესობამ. საბაზო საფეხურზე შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს, რაც გულისხმობს ინტეგრირებულ, ერთიან და სისტემურ მიდგომას და მოიცავს მონაცემების შეგროვებას მრავალფეროვანი მეთოდებით, მრავალი სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით. სასკოლო საზოგადოება ორიენტირებულია შეფასება განახორციელოს სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით. მაგალითად, საგნის მასწავლებლები არა მხოლოდ მოსწავლის სასწავლო შედეგებზე ახდენენ დაკვირვებას, არამედ მათი საჭიროებიდან გამომდინარე აქტიურად თანამშრომლობენ მშობლებთან, დამრიგებლებთან, სპეცმასწავლებლებთან, სკოლის სოცმუშაკთან და ფსიქოლოგთან. სასკოლო სასწავლო გეგმაში მკაფიოდაა განსაზღვრული საბაზო საფეხურზე მოსწავლეთა შეფასების კომპონენტები და ამოცანები. უპირატესობა ენიჭება მოსწავლის განმავითარებელ შეფასებას. მოსწავლეები სასწავლო პორცესში ფასდებიან მრავალმხრივად - საშინაო/საკლასო/შემაჯამებელი დავალება, კომპლექსური დავალება, რომელიც თავისთავად იძლევა მოსწავლის მრავალი კომპონენტის გათვალისწინებით შეფასების საშულებას.

ინდიკატორი 2.3.2.1 - შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება.“

2. საბაზო საფეხურზე სკოლის პრიორიტეტია მოსწავლეთა სხვადასხვა უნარებზე დაკვირვება, მათი სოციალურ-ემოციური მდგომარეობის შესწავლა, პოზიტიური სასკოლო გარემოს ხელშემწყობი ფაქტორების უზრუნველოფა, რაც თავისთავად გულისხმობს მოსწავლის სხვადასხვა კონტექსტით შეფასებას. ამასთან მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მასწავლებლების თვითრეფლექსია, თუ რამდენად ეფექტიანად წარმართავენ სასწავლო პროცესს. აღსანიშნავია ის მრავალფეროვანი სასწავლო პროექტები, რომლებსაც ახორციელებენ

მასწავლებლები. მსგავსი პროექტები სასწავლო პროცესში მეტად მნიშვნელოვანია, რადგან პროცესში აღმოჩენილი მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებები იძლევა მისი გაანალიზებისა და მრავალმხრივი კონტექსტით მოსწავლის შეფასების საშუალებას. ამის შემდეგ მასწავლებელს ეძლევა შესაძლებლობა დაგეგმოს ინტერვენციები.

ინდიკატორი 2.3.2.2 - შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება."

3. საბაზო საფეხურზე შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდი. შეფასების კონტექსტის გათვალისწინებით ნებისმიერი ჩართული მხარე ინდივიდუალურად/ერთობლივად არჩევს შეფასების მეთოდს. მონაცემთა შეგროვება ძირითადად ხდება ზეპირი ინტერვიუს, გამოკითხვის და სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით. ინფორმაციის შეგროვებისთვის და კითხვარების ხელმისაწვომობისთვის სკოლა იყენებს კომპიუტერულ ტექნოლოგიებს, სხვადასხვა პლატფორმების გამოყენებით იქმნება კონკრეტული საკითხის/პრობლემის კვლევისთვის კითხვარები, რომელიც ელექტრონული ფორმატით ეგზავნებათ კვლევაში ჩართულ პირებს.

ინდიკატორი 2.3.2.3 - შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება."

4. მოსწავლეთა შეფასებისას სკოლა ითვალისწინებს სხვადასხვა ფაქტორების შესწავლას: მოსწავლის ინტერესები, ინდივიდუალური შესაძლებლობები, ფსიქო-ემოციური მდგომარეობა, სასკოლო თუ არასასკოლო გარემო. შეფასებისას მულტიფაქტორული მიდგომების გამოყენება იძლევა სასწავლო პროცესში დიფერენცირების საშუალებას და უზრუნველყოფს მოსწავლის პიროვნული განვითარების ხელშეწყობას. საბაზო საფეხურზე დამრიგებლები წლის ბოლოს ახდენენ მოსწავლეთა მრავალმხრივ შეფასებას, იქნება ეს მოსწავლის აკადემიური მოსწრება თუ სასკოლო გარემოში მისი ქცევა, მოტივაცია. მოსწავლეებზე ინფორმაციის შეგროვება ხდება მშობელთა ჩართულობით. საბაზო საფეხურის მოსწავლეთა დამრიგებლები და საგნის მასწავლებლები უწყვეტ რეჟიმში ხვდებიან მშობლებს, განიხილავენ მათთან მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებსა და პრობლემებს. ასევე მშობლებთან გასაუბრების შედეგად ადგენენ მოსწავლეთა საჭიროებებს.

ინდიკატორი 2.3.2.4 - შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება."

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 08 ნოემბრის №2-280 ბრძანება „სსიპ - ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის მოსწავლეთა ფსიქო-ემოციური მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის შესახებ";
- სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 08 ნოემბრის №2-281 ბრძანება „სსიპ - ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის მოსწავლეთა ფსიქო-ემოციური მხარდაჭერის ჯგუფის დებულების დამტკიცების შესახებ";

- სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის 2023 წლის 21 სექტემბრის მშობელთა კრების ოქმი №1;
- დამრიგებლის კითხვარი;
- კითხვარი მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების კვლევაზე

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

3. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
4. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში დანერგილი პრაქტიკის მიხედით, ყოველი სასწავლო წლის ბოლოს კათედრები აანალიზებენ გავლილ სასწავლო წელს, გამოკვეთენ ძლიერ და სუსტ მხარეებს, ითვალისწინებენ წლის მანძილზე გამოვლენილი მონიტორინგის შედეგებს, რის საფუძველზეც განსაზღვრავენ სწავლა-სწავლების მიზნებს; სკოლას კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტშიც გაწერილი აქვს ის მიდგომები და პრინციპები, რომლითაც იხელმძღვანელებს კურიკულუმის გადასინჯვისა და რევიზიის პროცესი. 2023-2024 სასწავლო წლის

დასრულებისას კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია მოხდება შემუშავებული დოკუმენტის საფუძველზე. ამ ეტაპზე კი ხდება მონაცემთა შეგროვება (შემაჯამებელების ანალიზი, სსსმ მოსწავლეთა შედეგების მონიტორინგი და სხვ.), ხოლო ახალი სასწავლო წლის კურიკულუმი განვლილი პროცესების/წინა წლის კურიკულუმის გაანალიზების შედეგად შემუშავდება..

ინდიკატორი 2.4.1.1 - შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება."

2. თვითშეფასების კითხვარის მიხედვით სკოლამ 2023-2024 სასწავლო წლის დასაწყისში საბაზო საფეხურზე კურიკულუმის შემუშავებისას გაითვალისწინა წინა წლის გამოცდილება მოსწავლეთა ინტერესები/საჭიროებები. მასწავლებლებმა მშობლებთან შეხვედრის შემდეგ მოპოვებული ინფორმაციის გადამუშავების, და კათედრაზე მისი განხილვისა და დამუშავების შემდეგ დაინახეს, რომ მოსწავლეები გაცილებით აქტიურად არიან ჩართულნი სასწავლო პროცესში, როდესაც არაფორმალური აქტივობები არის შეთავაზებული და მრავალფეროვანი რესურსებია გამოყენებული. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ასევე მოსწავლეთა ჩართულობასა და აკადემიური მოსწრების ხარისხს ზრდის არაფორმალური კუთხით დაგეგმილი აქტივობები, ინტეგრირებული გაკვეთილები. 2023-2024 სასწავლო წლის შეჯამების შედეგად საბაზო საფეხურის მასწავლებლები მომავალი წლის კურიკულუმს შეიმუშავებენ წინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით.

ინდიკატორი 2.4.1.2 - შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება."

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის 2023 წლის 07 სექტემბრის № 2-193 ბრძანება „სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლაში სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ";
- III კლასში ურთიერთთანამშრომლობის დოკუმენტი;
- სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლაში ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის 2023 წლის 31 მაისის №1 სხდომის ოქმი;
- სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს 2023 წლის 19 ივნისის №6 სხდომის ოქმი;
- სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს 2024 წლის 12 იანვარი №1 სხდომის ოქმი;
- სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის კათედრის სხდომის ოქმები I სემესტრის დასრულების შემდეგ;
- საბაზო საფეხურის შემაჯამებელი დავალების ანალიზები;
- I სემესტრის სსსმ მოსწავლის შუალედური შეფასება საგნებით;

- სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **საბაზო საფეხური**	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება

	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

9. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
10. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
11. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
12. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი ''სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია'', რომელიც ერთი მხრივ სასკოლო სასწავლო გეგმის ზოგად ნაწილს აღწერს, მეორე მხრივ კი ასახავს კურიკულუმის განვითარების ეტაპებს, კურიკულუმის განვითარების პროცესის პრინციპებს, განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების მონაწილე მხარეების ფუნქციებს და ჩართულობას. დოკუმენტი კურიკულუმის დანერგვის ეტაპზე მოიაზრებს პროცესის მონიტორინგსა და შეფასებას კომპლექსურად - სასწავლო პროცესზე დაკვირვების, მოსწავლეთა შედეგების, მასწავლებლების საქმიანობის თვითრეფლექსიის საფუძველზე. კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი კათედრის წევრების და დირექციის აქტიურ თანამშრომლობას ითვალისწინებს სასწავლო პროცესის განმავლობაში, კურიკულუმის კვლევა და შეფასება მიმდინარეობს შეთანხმების საფუძველზე, როგორც სწავლების შედეგების დიაგნოსტირების, ასევე მასწავლებლების პედაგოგიური პრაქტიკის გაუმჯობესების და სკოლის ინსტიტუციონალური განვითარების მიმართულებით. დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ თანამშრომლობა ინტენსიური და ეფექტური უნდა იყოს, რაც გულისხმობს სასკოლო საზოგადოების წევრების შეთანხმებას ბაზისურ ღირებულებებზე და ამ ღირებულებების დაცვას ყოველდღიურ სასკოლო ცხოვრებაში. ინტერვიუს დროს აღნიშნეს პედაგოგებმა, რომ სასწავლო წლის განმავლობაში ისინი მუდმივად უზიარებენ ერთმანეთს მოსაზრებებს, ინიშნავენ წარმატებულ აქტივობებს, რასაც ასახავენ თემატურ გეგმებში, ითვალისწინებენ წინა წლის შედეგების ანალიზს და მომავალი სასწავლო წლისათვისაც გეგმავენ გაიზიარონ ამ სასწავლო წელს მიღებული გამოცდილება.

ინდიკატორი 2.1.1.1- შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება.“

2. თითოეული საგნობრივი ექსპერტი აღნიშნავს, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია საშუალო საფეხურის თითოეული პედაგოგი. მასწავლებლები წინა წლის გამოცდილებაზე დაყრდნობით, ურთიერთანამშრომლობით ქმნიან და ავითარებენ საკუთარ კურიკულუმებს, სწავლა-სწავლების პრინციპებზე დაყრდნობით განსაზღვრავენ სამოქმედო გეგმას კერძოდ, ფორმალური და არაფორმალური განათლების მიმართულებით აქტივობებს, დავალებებს, საწავლო რესურსებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მასწავლებლის როლი, წლის განმავლობაში მის მიერ განხორციელებული რეფლექსიების, მიგნებების სასწავლო პროცესში გაანალიზებაზე, რის საფუძველზეც ხდება კურიკულუმის განვითარება. მასწავლებლები გარდა იმისა, რომ თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ონლაინ კითხვარის ფორმისის დახმარებით გამოიკითხავენ სასკოლო საზოგადეობის წევრებს. სასკოლო საზოგადოების ინტერესების კვლევისას დიდ როლს ასრულებს დამრიგებელი, რომლიც აკვირდება მოსწავლეთა სასკოლო ცხოვრებას თანამშრომლობს მშობლთან, საგნის მასწავლებლებთან სოციალურ მუშაკთან და სკოლის ფსიქოლოგთან. საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებულია სსსმ მოსწავლეთა შესაძლებლობები და საჭიროებები. კომპლექსური დავალებების მოდიფიცირებისას საგნის მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ მშობლებთან, სპეც მასწავლებლებთან, სკოლის ფსიქოლოგთან და საჭიროების შემთხვევაში მოსწავლის ასისტენტთან.

ინდიკატორი 2.1.1.2 - შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება.“

3. სასკოლო სასწავლო გეგმა, მოიცავს საგნობრივ კურიკულუმებს, არის საჯარო დოკუმენტი, წარედგინება სამეურვეო საბჭოს შესათანხმებლად და მტკიცდება პედაგოგიურ საბჭოზე. წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშვებისა და განვითარების დოკუმენტი არსებული პრაქტიკის ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენს. მასში გაწერილია მასწავლებლების, კათედრის თავჯდომარეების, დირექციის

წვლილი კურიკულუმის შემუშავების პროცესში. მეთოდოლოგიის მიხედვით, სასწავლო თემაზე მუშაობისას მასწავლებელი სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციას უზიარებს მოსწავლეების მშობლებს, ეძებს ახალ საშუალებებს სასწავლო პროცესში მათი უფრო მეტად ჩართვისთვის. აფასებს სასწავლო თემის დაგეგმვისა და განხორციელების შედეგებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს ახალი სასწავლო წლის კურიკულუმისათვის. კურიკულუმში, მშობლებთან შეთანხმებით, განისაზღვრება მეორე და მესამე უცხოური ენები, ხოლო არჩევითი საგნებისა და წრეების შერჩევაში მონაწილეობენ მოსწავლეები.

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში ჩანს, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის შემუშავებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება.

ინდიკატორი 2.1.1.3 - შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება.“

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ სკოლას აქვს მუდმივი კომუნიკაცია სასკოლო საზოგადოების წევრებთან. მშობლებთან კომუნიკაციაში მთავარ როლს ასრულებს დამრიგებლები, რომლებიც სხვადასხვა ფორმით აწვდიან ყველა აუცილებელ ინფორმაციას მშობლებს. სკოლის ყველა მნიშვნელოვანი დოკუმენტი (სასკოლო - სასწავლო გეგმა, შინაგანაწესი, საგნობრივი პროგრამები, სადამრიგებლო საათის პროგრამა, არაფორმალური სწავლების აქტივობები და სხვ.) ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ნებისმიერი წევრისთის. სკოლა ინფორმაციის გასაჯაროების მიზნით იყენებს სხვადასხვა საშუალებებს :

- სკოლის ვებგვერდი;
- ელექტრონული ფოსტა;
- პორტალი ვებგვერდზე;
- სოციალური მედია;
- ბეჭდვითი მასალები;
- საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან.

პროცესი არის გამჭირვალე და საჯარო, კურიკულუმები ხელმისაწვდომია დაინტერესებული საზოგადოებისთვის. პროცესის გამჭირვალობას ადასტურებს განხორციელებული ღონისძიებების ამსახველი მასალები: ინტეგრირებული გაკვეთილები, არაფორმალური განათლების აქტივობები, სასკოლო პროექტები. მშობლები სისტემატურად არიან ინფორმირებულები თავიანთი შვილების სასწავლო პროცესში ჩართულობის შესახებ, მათ შორის კომპლექსური დავალების ბარათების მეშვეობით. სკოლას გააზრებული აქვს, რომ კურიკულუმზე მუშაობის პროცესი ციკლურია და მასში ჩართულობა გულისხმობს მთელი წლის მანძილზე მიმდინარე პროცესებში სასკოლო საზოგადოების აქტიურ თანამონაწილეობას, რასაც არეგულირებს სამოქმედო გეგმა, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სასკოლო საზოგადოების და სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები.

ინდიკატორი 2.1.1.4 - შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება.“

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალქ თბილისის №18 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 07 სექტემბრის №2-193 ბრძანება „სსიპ ქალქ თბილისის №18 საჯარო სკოლაში სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ;
- სსიპ ქალქ თბილისის №18 საჯარო სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა (საშუალო საფეხურის კურიკულუმები);
- ონლაინ გამოკითხვის (Forms-ში) კითხვარები;
- 2023 წლის 07 სექტემბრის სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს ოქმი №12 (ფილოსოფიის განხილვა/შეთანხმება);
- 2023 წლის 07 სექტემბრის სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს ოქმი №7 (ფილოსოფიის დამტკიცება);
- სსიპ ქალქ თბილისის №18 საჯარო სკოლის კათედრის ოქმები (კურიკულუმის შემუშავება);
- მშობელთა კრების 2023 წლის 21 სექტემბრის №1 ოქმი (სასკოლო გეგმის გაცნობაზე);
- სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის კათედრების ოქმი I სემესტრის დასრულების შემდეგ.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

3. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
4. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;
5. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
6. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;
7. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საგნობრივი კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ეს გამოჩნდა კურიკულუმში ჩაშენებულ კომპლექსურ დავალებებში. სწავლა-სწავლების პროცესი ისეა დაგეგმილი საშუალო საფეხურზე, რომ ორიენტირებულია მოსწავლეზე და მიმართულია ესგ-ის, ზგემ-ის და საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევაზე. საგაკვეთილო პროცესში მასწავლებლის მხრიდან გამოყენებულია სხვადასხვა აქტივობა, რომლებსაც მივყავართ კონკრეტულ პროდუქტამდე. საშუალო საფეხურზე სწავლის მიზნები ფორმულირებულია სტანდარტის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით. თითოეული თემის ფარგლებში მოსწავლეები ამუშავებენ სტანდარტის შედეგებსა და სამიზნე ცნებებს. სიღრმისეული სწავლის უზრუნველყოფა ხორციელდება კონსტრუქტივისტული მიდგომით, რაც გამოიხატება იმაში, რომ კურიკულუმი მუშავდება მოსწავლეთა

წინარე ცოდნაზე დაყრდნობით. სავალდებულო თემის ფარგლებში გამოკვეთილია ძირითადი საკითხები, შერჩეული სასწავლო პროგრამა ეფუძნება სახელმძღვანელოებით შემოთავაზებულ მასალას. საგნობრივ კურიკულუმებში ფორმულირებულია საფეხურებრივი საგნის სტანდარტები. მათი რეალიზების გზები ნაჩვენებია კომპლექსური დავალებების სახით. სწავლის შედეგები თითოეულ საგანში მოცემულია სამიზნე ცნებების სახით. შემაჯამებელ და კომპლექსურ დავალებებში გამოკვეთილია კონსტრუქტივიზმის პრინციპები. მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი ეფუძნება მიდგომას, რომ ყველა მოსწავლე არის უნიკალური თავისი შესაძლებლობებით, ფსიქო-ემოციური და ფიზიკური მახასიათებლებით, სწავლის სტილით, გამოცდილებით, ინტერესებით და საჭიროებებით. **სახელმწიფო ენის კათედრას მიეცა რჩევა: სასურველია, მასწავლებლებმა მომავალი სასწავლო წლიდან ისე დაგეგმონ სასწავლო პროცესი, რომ აქცენტი გააკეთონ თემის ფარგლებში უფრო მეტი კომპლექსური ბუნების დავალების განხორციელებაზე ყველა სამიზნე ცნების გააქტიურებით.**
საზოგადოებრივი კათედრას მიეცა რჩევა: მასწავლებლებთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ ყველა ის საქმიანობა, რომელიც ფორმალური და არაფორმალური განათლების სასწავლო პროცესისთვის იგეგმება და ხორციელდება სასურველია მაქსიმალურად აისახოს საგნობრივ კურიკულუმებში.

ინდიკატორი 2.1.2.1 - შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება."

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რადგან მასში არის გათვალისწინებული მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ცვლილებები. კომპლექსურ დავალებებში, პირობის შინაარსთან ერთად, მითითებულია მოსწავლის მიერ შესასრულებელი პროდუქტის სახე. კომპლექსური და შემაჯამაბელი დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეებში გრძელვადიანი მიზნების მიღწევას, კერძოდ, შემოქმედებითი, კრიტიკული აზროვნების, სოციალური უნარების განვითარებას და ა.შ. კომპლექსურ და შემაჯამებელ დავალებებში გაწერილია სამიზნე ცნებები და შედეგები. კომპლექსური დავალებები, რომლებიც მასწავლებლებმა განახორციელეს საკუთარ კლასებში, ითვალისწინებს გრძელვადიანი მიზნებს. მედიაწიგნიერების კვირეულის ფარგლებში საშუალო საფეხურზე დაიგეგმა და ჩატარდა გაკვეთილი, რომელიც მოიცავდა არა მხოლოდ ინფორმაციის გადაცემას, არამედ საგნობრივი კონტექსტების გათვალისწინებით კრიტიკული აზროვნების უნარის გამომუშავებასა და მედიაწიგნიერების ცნობიერების ამაღლებას. სასკოლო სასწავლო გეგმა და საგნობრივი კურიკულუმი გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმიდან, მორგებულია სასკოლო საჭიროებებს და სრულად პასუხობს ესგ-ს მიერ დადგენილ მოთხოვნებს. სამიზნე ცნებების სრულად დაფარვის მიზნით მომავალში გაიზრდება კომპლექსური დავალებების რაოდენობა კლასებში.

ინდიკატორი 2.1.2.2 - შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება."

3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია საგანმანათლებლო რესურსის ჩამონათვალი: გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელო/სერია, რომლებსაც საგნობრივ კათედრებზე მასწავლებლები ერთობლივად ირჩევენ, ასევე დამატებითი საგანმანათლებლო (მათ შორის, ელექტრონული) რესურსები; სხვადასხვა სახის თვალსაჩინოება (რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვ.). სკოლა აღჭურვილია მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, აქვს ბიბლიოთეკა და უზრუნველყოფს სკოლაში არსებული საგანმანათლებლო რესურსების (ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია და სხვ.) ხელმისაწვდომობას მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის.

ინდიკატორი 2.1.2.3 - შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება."

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის და გასაუბრების შედეგებზე დაყრდნობით, სკოლაში, ყველა მოსწავლისთვის უზრუნველყოფილია განათლების მიღება ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით. სწავლების პროცესში გათვალისწინებულია სსსმ მოსწავლეთა ინტერესები. წლის დასაწყისში მოსწავლის შესაძლებლობების, მათი ძლიერი და სუსტი მხარეების გათვალისწინებით, მასწავლებლები ინკლუზიური განათლების მიმართულებით ჩართულ სპეციალისტებთან ერთად შეიმუშავებენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს, ქმნიან კომლექსური ბუნების დავალებებს, რომლის ადაპტირება და მოდიფიცირება მარტივად შესაძლებელია საჭიროების შემთხვევაში. მაგ. საგანში ,,მოქალაქეობა " 10-ე კლასის კურიკულუმში მოცემულია სასწავლო პროექტი - გარემოს დაცვა - რომელიც გულისხმობს უაღრესად აქტუალური და საჭირბოროტო პრობლემის წარმოდგენას მრავალფეროვნად როგორც ფორმის, ასევე შინაარსის მიხედვით, ითვალისწინებს პრაქტიკული დავალების შესრულებას, რომელთა მიმდინარეობისას შესაძლებელია ცალკეული აქტივობების დროს დიფერენცირება როგორც რესურსების, ასევე დავალებები მიხედვით. სწავლების პროცესში გათვალისწინებულია სსსმ მოსწავლეთა ინტერესები. ასევე უნდა აღინიშნოს სკოლაში განხორციელებული პროექტი, რომელიც მიეძღვნა დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებს - ,,ჩვენთან ერთად და არა ჩვენთვის". ასევე, კათედრებმა წარმოადგინეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომლებშიც მკაფიოდ განსაზღვრულია: სასწავლო შედეგები, სწავლების სტრატეგიები და სასწავლო აქტივობები; დრო, რომელსაც მასწავლებელი დაუთმობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სასწავლო შედეგების მიღწევას; მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი ჯგუფური/ინდივიდუალური მეცადინეობები, მეცადინეობების გრაფიკი, ადგილი და ხანგრძლივობა; მრიგად, დგინდება, რომ სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს.

ინდიკატორი 2.1.2.4 - შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება."

5. საშუალო საფეხურზე დიდი ყურადღება ექცევა განმავითარებელ შეფასებას, მასწავლებლები ეცნობიან და იყენებენ განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან ინსტრუმენტებს. აცნობიერებენ, რომ განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. განმავითარებელი კომენტარით აღიწერება, თუ როგორ უმჯობესდება უნარების განვითარებასთან ერთად მოსწავლის მიღწევა. მოსწავლისთვის სწორად მიწოდებული განმავითარებელი შეფასება შედეგების გაუმჯობესების მნიშვნელოვანი საშუალებაა. მოსწავლეები თავად ერთვებიან შეფასების კრიტერიუმების შემუშავების პროცესში, თვითშეფასების რუბრიკების შემუშავებაში. სასკოლო სასწავლო გეგმით დამტკიცებულია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. ასევე კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებულია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც გამომდინარეობს შედეგების ინდიკატორებიდან და კომპლექსურის პირობიდან. მასწავლებლებმა წარადგინეს მათ მიერ შექმნილი განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები. დაასაბუთეს, თუ მათი გამოყენება როგორ შეუწყობს ხელს სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტურად წარმართვას. მომავალი სასწავლო წლისათვისაც შემუშავდება შეფასების რუბრიკები, რომელთა შექმნის პროცესში კვლავ ჩაერთვებიან მოსწავლეებიც, რაც დაეხმარება მათ გაიაზრონ შესასწავლი საკითხის მიზნები და აიღონ პასუხისმგებლობა. კურიკულუმში გათვალისწინებულია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები. **სახელმწიფო ენის კათედრას მიეცა რჩევა: შეფასების რუბრიკები კიდევ უფრო დახვეწონ, მოარგონ სასწავლო თემებს, გაითვალისწინონ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ცნებები და ქვეცნებები.**

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საგნობრივი ექსპერტის თქმით, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. როგორც მასწავლებლებთან ინტერვიუებისას გამოიკვეთა, ისინი დიდ ყურადღებას უთმობენ განმავითარებელ შეფასებას კონკრეტულ კომპლექსური ხასიათის დავალებაზე მუშაობისას. ყოველთვის გასცემენ ზეპირსიტყვიერ განმავითარებელ კომენტარს, რაც უბიძგებს მოსწავლეებს დაშვებული შეცდომის გამოსწორებისკენ და აჩვენებს ამ გამოსწორების შესაძლო გზებს. **სპორტის საგნობრივმა ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლამ წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების საგნობრივი რუბრიკები კურიკულუმში ასახული მხოლოდ ზოგიერთი თემისათვის, შესაბამისად სკოლას მიეცა რჩევა: შეიმუშაოს ყველა თემის შესაბამისი შეფასების მექანიზმი.**

ინდიკატორი 2.1.2.5 - შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება."

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა (საშუალო საფეხურის საგნობრივი
- კურიკულუმებით);
- სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- შეფასების რუბრიკები;
- სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის კათედრის ოქმები (კურიკულუმის შემუშავება);
- სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის საშუალო საფეხურის სასწავლო რესურსები.
- ადაპტირებული კომპლექსური დავალება სსსმ მოსწავლისთვის.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*
-

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

11. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;
12. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
13. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
14. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
15. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. საგნობრივ კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტირებს, სადაც მკაფიოდ ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, თემატურ ბლოკებს, საგნობრივ საკითხებს (რესურსებს, მასალას) შორის. შუალედური სასწავლო მიზნები (კომპლექსური დავალებები) აზუსტებს სამიზნე ცნენების ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, უზრუნველყოფს მკვიდრი წარმოდგენების განზოგადებას. შერჩეული დავალებებით, არაფორმალური მიმართულებით, დაგეგმილი აქტივობებით, მოსწავლეს გრძელვადიანი სამიზნე ცნებების გააზრება საგნობრივ და ცხოვრებისეული კონტექსტებთან მიმართებით უწევს. მოსწავლეს საშუალება ეძლევა ჩაერთოს შემოქმედებით პროცესში. შეიძინოს ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზების უნარ-ჩვევები.

ინდიკატორი 2.2.1.1 - შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება."

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით (მათ შორის, სასკოლო-სასწავლო გეგმა) და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად ირკვევა, სკოლაში დამკვიდრებული თანამშრომლობითი კულტურის პირობებში, სკოლა ახერხებს რეაგირება მოახდინოს, როგორც სამინისტროს მიერ განათლების პოლიტიკაში განხორციელებული ცვლილებების, ასევე სკოლაში შექმნილი სიტუაციის შესაბამისად. გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ სკოლას ჰყავს ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი ხელოვნების მიმართულებით და ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, რომლებიც მჭიდროდ თანამშრომლობენ სხვადასხვა კათედებთან. სკოლა დროულად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. მაგალითად, სკოლის პედაგოგიურმა კოლექტივმა განიხილა და თავისი სკოლის საჭიროებების მიხედვით მიიღო გადაწყვეტილებები 2023 წლის 21 ნოემბერში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის №40/ნ ბრძანების დანართით დამტკიცებულ ეროვნულ სასწავლო გეგმაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად. კერძოდ, შეიცვალა სასკოლო სასწავლო გეგმის სტრუქტურა და ახლებურად ჩამოყალიბდა შემადგენელი ნაწილები. სკოლის გადაწყვეტილებით არგუმენტირებული მსჯელობის შემდეგ განხორციელდა შემდეგი ცვლილებები: შეცვალა ინკლუზიური განათლების მარეგულირებელი

ნორმები, ასევე მიმდინარე სასწავლო წელს უცვლელად დატოვა შეფასების 10-ქულიანი სისტემა, საგნობრივი კათედრები და სხვ. გადაწყვეტილებების მიღების პროცესში აქტიურად იყო ჩართული თითოეული კათედრა.

ინდიკატორი 2.2.1.2 - შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება."

3. კათედრაზე შემუშავებულია როგორც სხვადასხვა ტიპის შემაჯამებელი სამუშაოების განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების სქემები. სხვადასხვა ტიპის დავალებებისათვის განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს მოსწავლეებსა და მშობლებს აცნობენ სასწავლო წლის დასაწყისში და მთელი სასწავლო წლის განმავლობაშიც. თითოეული მასწავლებელი ვალდებულია მოსწავლეებს გააცნოს ის კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც ფასდებიან მოსწავლეები სხვადასხვა ტიპის დავალებების შესრულების დროს, რაც უზრუნველყოფს მის გამჭვირვალობას. მნიშვნელოვანია, რომ შეფასება მიემართებოდეს ესგ-ში განსაზღვრულ საფეხურეობრივ შედეგებს კონკრეტულ სამიზნე ცნებებთან მიმართებით. მასწავლებლების განმავითარებელი კომენტარები ასახულია ელექტრონულ ჟურნალში. თუმცა სკოლაში არსებული შეფასების სისტემის სრულყოფა კიდევ ერთი გამოწვევაა და გარკვეული ცვლილებების განხორციელებაა საჭირო. სამომავლოდ კათედრა გეგმავს, რომ შეფასების სისტემა გახდეს უფრო მეტად ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი.

ინდიკატორი 2.2.1.3 - შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება."

4. „სასკოლო სასწავლო გეგმაში სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, სადაც ჩამოყალიბებულია ვერიფიკაციის მიზნები და ამოცანები, პრინციპები, ვერიფიკაციის პროცესი, შეფასების სისტემის ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირები. მოსწავლეთა სასწავლო შედეგებზე დაკვირვება მთელი წლის განმავლობაში ციკლური პროცესია. სკოლა აქტიურად ახორციელებს მიმდინარე სასწავლო პროცესის ანალიზსა და მოსწავლეთა სემესტრული/წლიური აკადემიური მიღწევების ანალიზს. 2023-2024 სასწავლო წლის მიმდინარე/წლიური შედეგების შეჯამება/ანალიზი კი შემუშავებული ვერიფიკაციის დოკუმენტის შესაბამისად მიმდინარეობს".

ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია

5. 2022-2023 სასწავლო წლამდე სკოლა აწარმოებდა მატერიალურ ჟურნალს, 2022-2023 სასწავლო წლიდან სკოლა გადავიდა ელექტრონული ჟურნალის წარმოებაზე. დირექტორის მოადგილე პასუხისმგებელია ჟურნალების მონიტორინგზე და პერიოდულად ამოწმებს მასწავლებლების მიერ ჟურნალის წარმოებას. სკოლაში ინახება დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები კანონმდებლობით დადგენილი ვადით. სკოლას, დირექტორის ბრძანებით ჰყავს არქივზე პასუხისმგებელი პირი. სკოლაში დაარქივებულია და ინახება: ანბანური წიგნი, ატესტატების წიგნი, ბრძანების წიგნი, პირადი საქმეები, პედაგოგიური საბჭოს ოქმები, სამეურვეო საბჭოს ოქმები, შემოსული და გასული წერილების აღრიცხვის ჟურნალი და სხვა.

ინდიკატორი 2.2.1.5 - შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება."

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის კათედრის სხდომის ოქმები I სემესტრის დასრულების შემდეგ;
- სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის 2023 წლის 22 დეკემბრის პედაგოგიური საბჭოს №10 ოქმი;
- სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის 2024 წლის 12 იანვრის პედაგოგიური საბჭოს №1 ოქმი;
- სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის 2024 წლის 09 იანვრის ხარისხის ჯგუფის №1 ოქმი;
- შესრულებული შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზები;
- საშუალო საფეხურზე დანართები შეფასების რუბრიკები;

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

9. კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში;
10. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას;
11. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

12. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას გააჩნია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სასწავლო პროცესის ციფრული ტექნოლოგიებით წარმართვისთვის. შესაბამისად, სკოლა უზრუნველყოფს საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობისას კომპიუტერული რესურსების გამოყენებას. სკოლა სრულად არის დაფარული ინტერნეტით. საკლასო ოთახების უმრავლესობა აღჭურვილია პროექტორით. მასწავლებლების ნაწილს აქვს პირადი პორტატული კომპიუტერი. საგნობრივ კურიკულუმებში მოცემულია მრავალფეროვანი ძირითადი და დამხმარე რესურსები. კომპიუტერში ჩატვირთულია საინფორმაციო რესურსები, როგორც მოსწავლეებისათვის, ისე მასწავლებლებისათვის. გარდა ამისა, სკოლისათვის ხელმისაწვდომია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული გზამკვლევები, მეთოდური სახელმძღვანელოები და სხვა რესურსები. სკოლის ბიბლიოთეკაში დაცულია 10000-მდე წიგნადი ფონდი, სადაც მოცემულია მოსწავლეთა ასაკის შესაბამისი ლიტერატურა, სახელმძღვანელოები და პერიოდული გამოცემები, რომლებსაც კათედრის წევრები საგაკვეთილო პროცესში იყენებენ. მასწავლებლები და მოსწავლეები თავადაც ქმნიან სასწავლო რესურსებს. სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, რომელიც

უმეტესწილად აღჭურვილია საჭირო ინვენტარით, განთავსებულია კოლბები; სქემები, მულაჟები; მიკროსკოპები; მაგნიტები; პლასტმასის ცილინდრები; კომპასი და სხვა კურიკულუმით განსაზღვრული კომპლექსური დავალებების გასახორციელებლად საჭირო რესურსები, რომლის დახმარებითაც მოსწავლეებს შეუძლიათ პრაქტიკული მუშაობა, კვლევის ჩატარება, მისი შედეგის აღრიცხვა, გაანალიზება და სათანადო დასკვნის გამოტანა. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ აქტიურად სარგებლობენ ვირტუალური ლაბორატორიითაც.

ლაბორატორიაში განთავსებულია ცეცხლგამძლე კარადა სხვადასხვა ქიმიური რეაქტივების შესაბამისი წესით შესანახად, გაყვანილია ონკანი. **თუმცა, ლაბორატორიას არ აქვს გამწოვი კარადა. აღსანიშნავია, რომ ვიზიტის პერიოდში მიმდინარეობდა მოლაპარაკება შესაბამის სამსახურთან გამწოვი კარადის დამონტაჟებასთან დაკავშირებით.**

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვით დაწესებულება აღნიშნულ ხარვეზს გამოასწორებს 27.05.2025 წლამდე. სკოლამ წარმოადგინა შემდეგი სახის მტკიცებულებები; დანართი 3 - 2024 წლის 27 მაისის №577184 წერილი სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასრუქტურის განვითარების სააგენტოს. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი ფასდება, როგორც „მეტწილად შესაბამისი“.

ინდიკატორი 2.2.2.1 შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება.“

2. სასკოლო სასწავლო გეგმაში თითოეულ კათედრას წარმოდგენილი აქვს საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი, ამასთან სასკოლო სასწავლო გეგმას თან ერთვის ძირითადი საგანმანათლებლო რესურსების (გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების) ჩამონათვალი კლასების მიხედვით და დამატებითი საგანმანათლებლო რესურსები. მასწავლებლები დამატებითი რესურსის შერჩევისას პრიორიტეტს ანიჭებენ ოფიციალურ ვებ-გვერდებს და საგანმანათლებლო მატერიალურ თუ არამატერიალურ რესურსს. სკოლის მიერ გამოყენებულ დამხმარე სასწავლო რესურსს კათედრაზე გავლილი აქვს ვალიდაცია.

ინდიკატორი 2.2.2.2 - შეფასდა, როგორც „შეესაბამება.“

3. სკოლას საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აქვს შესაბამისი მატერიალური რესურსი და საჭირო ინფრასტრუქტურა, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. ასევე შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, რომლითაც განსაზღვრულია სკოლის მოსწავლეების, მასწავლებლების და სხვა თანამშრომლების მიერ სკოლის სხვადასხვა რესურსით სარგებლობის პირობები. სკოლას აქვს საჭირო რაოდენობის მერხები, სკამები, კომპიუტერული ტექნიკა, წიგნადი ფონდი და სხვა საჭირო მატერიალური თუ არამატერიალური რესურსები.

ინდიკატორი 2.2.2.3 - შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება."

4. სკოლაში სულ 45 მასწავლებელია, აქედან საშუალო საფეხურზე ასწავლის 4 წამყვანი, 24 უფროსი და ერთი მოწვეული მასწავლებელი. პერსონალის მართვისა და განვითარების კუთხით, სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომლის მიზანია, თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება. ასევე, სკოლის მიზანია იმგვარი სამუშაო გარემოს შექმნას, სადაც თითოეულ თანამშრომელს ეძლევა საკუთარი პოტენციალის და პირადი მისწრაფებების რეალიზების შესაძლებლობა.

ინდიკატორი 2.2.2.4 - შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება."

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის 2023 წლის 18 აპრილის სამეურვეო საბჭოს ოქმი №6 (დამტკიცებულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა);
- სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის მასწავლებლების დამადასტურებელი სერტიფიკატები;
- სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის ციფრული განვითარების გეგმა;
- სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის საშუალო საფეხურის სასწავლო რესურსები;

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

7. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
8. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას;
9. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დასტურდება, რომ სკოლის სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმის მეთოდოლოგიის დოკუმენტის შესაბამისად. კურიკულუმის განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილია იმის აღწერა, თუ როგორ მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში (მონიტორინგი) და რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი (შეფასება). სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან. შესაბამისად, მოსწავლეთა სასწავლო შედეგების, დაგეგმილი აქტივობების ეფექტიანობის შესახებ მონაცემები განიხილება კათედრების სამუშაო შეხვედრებზე და ზიარდება მთელი სასკოლო საზოგადოებისთვის. ამასთან, სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც გულისხმობს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვას, განხორციელებას და შემდგომ შეფასებასთან დაკავშირებული აქტივობების გაუმჯობესებისკენ მიმართულ ღონისძიებებს.

ინდიკატორი 2.3.1.1 – შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება.“

2. სკოლაში მონიტორინგი და შეფასება სასწავლო პროცესის თანმდევი ნაწილია, კათედრის წევრები ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე მთელი სასწავლო წლის განმავლობაშიც და წლის ბოლოს, აანალიზებენ მოსწავლეთა შედეგებს (შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებები, სასკოლო პროექტები, მშობელთა ჩართულობა), განიხილავენ მოსწავლეთა ტიპურ საჭიროებებს, შესაძლებლობებს და გეგმავენ პრობლემის გადაჭრის გზებსა და საშუალებებს. ასევე, მომავალი სასწავლო წლის სამოქმედო გეგმას. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი უზრუნველყოფს განვითარებაზე ორიენტირებულ აქტივობებს.

ინდიკატორი 2.3.1.2 – შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება.“

3. სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს მასწავლებელთა გაკვეთილზე დასწრებას, უკუკავშირს, რეკომენდაციების მიცემას. კათედრის წევრები ესწრებიან გაკვეთილებს, ახორციელებენ მონიტორინგს და ერთმანეთს სთავაზობენ განვითარებაზე ორინტირებულ უკუკავშირს. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული

მხარდაჭერის ჯგუფი გეგმავს, უზრუნველყოს განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობების განხორციელება. მონიტორინგისა და შეფასების სისტემა სასკოლო საზოგადოების მხრიდან აღქმულია მხარდაჭერის მექანიზმად. სკოლაში საშუალო საფეხურზე მასწავლებლები გამოცდილების გაზიარების მიზნით ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე ("კრიტიკული მეგობარი") უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას და აძლევენ რჩევებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე. სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან.

ინდიკატორი 2.3.1.3 - შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება."

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- „სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის დამტკიცების შესახებ" 12.04.2023 წლის №2-58 ბრძანება;
- სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლაში ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის 2023 წლის 31 მაისის №1 სხდომის ოქმი;
- სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის 2023 წლის 02 ოქტომბრის სხდომის ოქმი №3;
- კოლეგის გაკვეთილზე დაკვირვების დოკუმენტი;
- შემაჯამებელი დავალების ანალიზები;
- I სემესტრის სსსმ მოსწავლის შუალედური შეფასება საგნებით;
- სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- გაკვეთილზე დაკვირვება საშუალო საფეხური ქართული ენა ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის ფარგლებში;
- მერვე კლასი ქართული ენა მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტირება;
- სასკოლო დიაგნოსტიკური წერების ანალიზი ქართულ ენასა და ლიტერატურაში;

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

9. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

10. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
11. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
12. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა პრიორიტეტს ანიჭებს მოსწავლის ჰოლისტურ შეფასებას, რაც გულისხმობს მონაცემების შეგროვებას მრავალფეროვანი წყაროებიდან. საგნის მასწავლებლები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, სისტემატურად იღებენ ინფორმაციებს დამრიგებლებისგან, აქვთ აქტიური კომუნიკაცია მშობლებთან, საჭიროების შემთხვევაში სპეცმასწავლებელთან, სკოლის ფსიქოლოგთან. სასწავლო პროცესის შეფასების წარმატება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული შეფასების კომპონენტების და ამოცანების გააზრებასთან. საშუალო საფეხურზე გამოიყენება როგორ განმსაზღვრელი ასევე განმავიათარებელი შეფასება, მონაცემების გაზიარება და ანალიზი ხდება მასწავლებელთა თანამშრომლობის გზით. სასწავლო პროცესის შეფასებაში აქტიურად არის ჩართული თითოეული კათედრა.

ინდიკატორი 2.3.2.1 – შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება.“

2. სასწავლო პროცესში მასწავლებელი მოსწავლეს აკვირდება და აფასებს სხვადასხვა კონტექსტში:. ამისათვის გამოიყენება როგორც ფორმალური საკლასო გარემო, დაგეგმილი კომპლექსური დავალებები, ასევე არაფორმალური აქტივობები, მაგ.: ექსკურსიები, გასვლით გაკვეთილები, რის საფუძველზეც მასწავლებელს გამოაქვს დასკვნები და აფასებს მოსწავლეებს. სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინებით განხორციელებული შეფასება ემსახურება მოსწავლის მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობას. მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს აგრეთვე მასწავლებლების თვითრეფლექსია, თუ რამდენად ეფექტიანად წარმართავენ სასწავლო პროცესს.

ინდიკატორი 2.3.2.2 – შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება.“

3. საშუალო საფეხურზე შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდი. შეფასების კონტექსტის გათვალისწინებით ნებისმიერი ჩართული მხარე ინდივიდუალურად/ერთობლივად არჩევს შეფასების მეთოდს. მონაცემთა შეგროვება ძირითადად ხდება ზეპირი ინტერვიუს, გამოკითხვის და სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით. ინფორმაციის შეგროვებისთვის და კითხვარების ხელმისაწვომობისთვის სკოლა იყენებს კომპიუტერულ ტექნოლოგიებს, სხვადასხვა პლატფორმების გამოყენებით იქმნება კონკრეტული საკითხის/პრობლემის კვლევისთვის კითხვარები, რომელიც ელექტრონული ფორმატით ეგზავნებათ კვლევაში ჩართულ პირებს.

ინდიკატორი 2.3.2.3 – შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება.“

4. საშუალო საფეხურზე თითოეულ კათედრას შემუშავებული აქვს შეფასების რუბრიკები, სადაც შეფასება ორიენტირებულია არა მხოლოდ მოსწავლის შედეგებზე, არამედ მოსწავლის სხვადასხვა უნარებზეც (კომუნიკაციის, კრიკტიკული აზროვნების, შემოქმედბითობის და სხვ.). საშუალო საფეხურზე დამრიგელბლები წლის ბოლოს ახდენენ მოსწავლეთა მრავალმხრივ შეფასებას, იქნება ეს მოსწავლის აკადემიური

მოსწრება თუ სასკოლო გარემოში მისი ქცევა, მოტივაცია. მოსწავლეებზე ინფორმაციის შეგროვება ხდება მშობელთა ჩართულობით. საშუალო კლასების დამრიგებლები და საგნის მასწავლებლები უწყვეტ რეჟიმში ხვდებიან მშობლებს, განიხილავენ მათთან მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებსა და პრობლემებს. ასევე მშობლებთან გასაუბრების შედეგად ადგენენ მოსწავლეთა საჭიროებებს.

ინდიკატორი 2.3.2.4 - შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება."

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 08 ნოემბრის №2-280 ბრძანება „სსიპ - ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის მოსწავლეთა ფსიქო-ემოციური მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის შესახებ";
- სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 08 ნოემბრის №2-281 ბრძანება „სსიპ - ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის მოსწავლეთა ფსიქო-ემოციური მხარდაჭერის ჯგუფის დებულების დამტკიცების შესახებ";
- სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის 2023 წლის 21 სექტემბრის მშობელთა კრების ოქმი №1;
- კითხვარი მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების კვლევაზე

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

5. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
6. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში დანერგილი პრაქტიკის მიხედით, ყოველი სასწავლო წლის ბოლოს კათედრები აანალიზებენ გავლილ სასწავლო წელს, გამოკვეთენ ძლიერ და სუსტ მხარეებს, ითვალისწინებენ წლის მანძილზე გამოვლენილი მონიტორინგის შედეგებს, რის საფუძველზეც განსაზღვრავენ სწავლა-სწავლების მიზნებს; სკოლას კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტშიც გაწერილი აქვს ის მიდგომები და პრინციპები, რომლითაც იხელმძღვანელებს კურიკულუმის გადასინჯვისა და რევიზიის პროცესი. 2023-2024 სასწავლო წლის დასრულებისას კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია მოხდება შემუშავებული დოკუმენტის საფუძველზე. ამ ეტაპზე კი ხდება მონაცემთა შეგროვება (შემაჯამებელების ანალიზი, სსსმ მოსწავლეთა შედეგების მონიტორინგი და სხვ.), ხოლო ახალი სასწავლო წლის კურიკულუმი განვლილი პროცესების/წინა წლის კურიკულუმის გაანალიზების შედეგად შემუშავდება..

ინდიკატორი 2.4.1.1 - შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება."

2. თვითშეფასების კითხვარის მიხედვით სკოლამ 2023-2024 სასწავლო წლის დასაწყისში დაწყებით საფეხურზე კურიკულუმის შემუშავებისას გაითვალისწინა წინა წლის გამოცდილება მოსწავლეთა ინტერესები/საჭიროებები. მასწავლებლებმა მშობლებთან შეხვედრის შემდეგ მოპოვებული ინფორმაციის გადამუშავების, და კათედრაზე მისი განხილვისა და დამუშავების შემდეგ დაინახეს, რომ მოსწავლეები გაცილებით აქტიურად არიან ჩაართულნი სასწავლო პროცესში, როდესაც მასწავლებლები იყენებენ მრავალფეროვანს სასწავლო რესურსებს და დავალებას ასრულებენ უშუალოდ სასწავლო პროცესის დროს. მიმდინარე სასწავლო წელს მასწავლებლები ცდილობდნენ, რომ დავალების პროდუქტი შექმნათ უშუალოდ საგაკვეთილო პროცესში და გამოეყენებინათ მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ასევე მოსწავლეთა ჩართულობასა და აკადემიური მოსწრების ხარისხს ზრდის არაფორმალური კუთხით დაგეგმილი აქტივობები, ინტეგრირებული გაკვეთილები. 2023-2024 სასწავლო წლის შეჯამების შედეგად საშუალო საფეხურის მასწავლებლები მომავალი წლის კურიკულუმს შეიმუშავებენ წინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით.

ინდიკატორი 2.4.1.2 - შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება."

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;

- სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის 2023 წლის 07 სექტემბრის № 2-193 ბრძანება „სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლაში სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“;
- სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლაში ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის 2023 წლის 31 მაისის №1 სხდომის ოქმი;
- სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს 2023 წლის 19 ივნისის №6 სხდომის ოქმი;
- სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს 2024 წლის 12 იანვარი №1 სხდომის ოქმი;
- სსიპ ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის კათედრის სხდომის ოქმები I სემესტრის დასრულების შემდეგ;
- შემაჯამებელი დავალების ანალიზები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

1. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრის აქტი.
2. დღის წესრიგი

თარიღი; 31. 05.2024 წელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ჯგუფის თავმჯდომარე; ზ. ჭანტურია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ჯგუფის წევრი; მაგდა მიქაბერიძე

ჯგუფის წევრი; ეთერი ბროლაძე

ჯგუფის წევრი; დავით ბოლქვაძე

ჯგუფის წევრი; ია გაგნიძე

ჯგუფის წევრი; ნაია ენდელაძე

ჯგუფის წევრი; სოფიო ხვადაგიანი

ჯგუფის წევრი; მზია დადვანი

ჯგუფის წევრი; საბა დარსაველიძე

ჯგუფის წევრი; ნატო ხაჭაპურიძე